პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— უორკერს პარტიის მოწოდება ამერიკის მემაღაროებისადმი.
— დემონსტრაცია სამხრეთ-სლავია-იტალიის კონვენციების რატიფიკაციის წინააღმდეგ დალმაციაში.
— რადიჩის მკვლელობის მონაწილენი პასუხისგებაში არიან მიცემული.
— საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესი კოპენჰაგენში.
— რკინისგზელთა ლოკაუტი ლილუაში (ინდოეთი).
— ინდოეთის პარტიებმა შეიმუშავეს ინდოეთის კონსტიტუციის პროექტი.
— 20 სექტემბერს ტაშკენტში გაიხსნება მესამე საკავშირო გეოლოგიური ყრილობა.

პარასკევი, 17 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 190 (2233)

მათი მანიფესტი

გუშინ ჩვენ გამოქვეყნებული გვქონდა მეორე ინტერნაციონალის კონგრესის მანიფესტის შინაარსი. ის გამოშვებულ იქნა კომინტერნისათვის „კონკურენციის გასაწევად“. რას უპირდაპირებენ სოციალ-შემთანხმებელნი კომუნისტების პოლიტიკას და მოქმედებას, რომ დასძლიონ მათი გავლენა მუშათა კლასში?

ავიღოთ ომის საკითხი. „მანიფესტში“ ვკითხულობთ: „მოსკოვში სწორედ ამჟამად შეკრებილია კომუნისტური ინტერნაციონალის კონგრესი. მან მიიღო პროგრამა, რომელშიაც იგი აცხადებს ახალი იმპერიალისტური ომის აუცილებლობას და მთელ თავის იმედს ამყარებს იმაზე, რომ ახალ მსოფლიო ომს ახალი ძალმომრეობითი რევოლიუცია მოყვება. რა უგუნურებაა მუშათა კლასის იმედების დამყარება ახალ ომზე, იმის ნაცვლად, რომ გააერთიანონ მთელი მსოფლიოს მუშები დაუღალავი ბრძოლისათვის სისხლის მღვრელი ბარბაროსობის წინააღმდეგ“.

ეს სიტყვები საზიზღარი პროვოკაციის, თვალთმაქცობის და გამცემლობის იშვიათ თაიგულს წარმოადგენენ. ისე გამოდის, თითქო კომინტერნი ომის მომხრე იყოს. ამ გზით ბაუერები ლამობენ ჩამორჩენილ მუშათა მასების მოტყუებას და მათ ამხედრებას კომუნისტების წინააღმდეგ. მაგრამ ეს პროვოკაციული ფანდი, ცხადია, ვერ გასჭრის. კომინტერნის ახლანდელმა კონგრესმა ანალიზი გაუკეთა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობას და ის იმ ერთად ერთ სწორ დასკვნამდე მივიდა, რომ კაპიტალისტური მსოფლიო ახალ ხოცვა-ჟლეტისათვის ემზადება, რომ კაცობრიობა ომის საფრთხის წინაშე იმყოფება. ესაა მდგომარეობის ობიექტიური ანალიზის შედეგი. მეორე ინტერნაციონალი კი ცდილობს ომის საშიშროება მიაფუჩეჩოს, მუშათა კლასის სიფხიზლე მიაძინოს და ის მოუმზადებელი შეახვედროს მას.

რა თქმა უნდა, კომუნისტური ინტერნაციონალი ყოველ ზომას ხმარობს ამ კატასტროფის ასაცილებლად. ამას მოწმობს ომის საწინააღმდეგო კამპანია, ამ მიზნით მუშათა მასების მობილიზაცია, რაც მისი მუშაობის მთავარ შინაარსს წარმოადგენს. და უტიფარი სიცრუეა „მანიფესტი“-ს მტკიცება, თითქო კომინტერნი ამ მხრივ არაფერს აკეთებდეს.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ალბად მეორე ინტერნაციონალი მუშაობს ომის ასაშორებლად, „მთელ მსოფლიოს მუშების გასაერთიანებლად დაუღალავი ბრძოლისათვის სისხლის მღვრელ ბარბაროსობის განმეორების წინააღმდეგ“. თუ როგორია ეს „მუშაობა“, სჩანს იქიდან, რომ ის ქადაგებს „ზეიმპერიალიზმის“ თეორიას, კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა მშვიდობიანად დაძლევის თეორიას. ამასთან იგი მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში მთელ იმედებს ამყარებს ერთა ლიგაზე, რომელიც თვითონ წარმოადგენს ომის ერთ ერთ იარაღს იმპერიალისტების ხელში. მისი „მუშაობა“, შემდეგ, იმაში გამოიხატა, რომ მარსელის კონგრესმა უარყო წინადადება განიარაღების საბჭოთა პროექტის მიღების შესახებ, აგრეთვე უარყო წინადადება, რომ სოციალისტებს სამხედრო კრედიტების წინააღმდეგ მიეცათ ხმა პარლამენტში. მაშასადამე, როგორც 1914 წ. და ეხლა, ისე მომავალშიც სოციალ-დემოკრატები ბურჟუაზიულ მთავრობებს ამოუდგებიან გვერდში და კვლავ შეეცდებიან ერთმანეთს მიუსიონ მასები „მშობლიურ“ იმპერიალიზმის ინტერესების დასაცავად. მეორე ინტერნაციონალის პარტიების „ომის საწინააღმდეგო საქმიანობა“, უნდა ვიფიქროთ, ისიც არის, რომ, მაგ., საფრანგეთში გატარდა პოლ ბონკურის პროექტი ქვეყნის მილიტარიზაციის შესახებ, ხოლო გერმანიის მთავრობა სოციალ-დემოკრატების მეთაურობით ახალ კრეისერებს აშენებს. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალ-შემთანხმებლები არავითარ მუშაობას არ აწარმოებენ მასების გაერთიანებისათვის „ახალ ბარბაროსობის განმეორების წინააღმდეგ“. პირიქით, მათი დანიშნულება მუშათა კლასის ძალების დაქსაქსვასა და ომის საწინააღმდეგო მოძრაობის ჩახშობაში მდგომარეობს. სულ ამას წინედ იყო, რომ გერმანიის მენშევიკურმა ხელისუფლებამ აკრძალა კომუნისტების ხელმძღვანელობით მოწყობილი დემონსტრაციები ომის საფრთხის წინააღმდეგ. ყველაფერი ეს აშკარაა და სოციალ-გამცემლები შეცდომაში ვერავის შეიყვანენ მათი და კომუნისტების პოზიციის შესახებ ომის საკითხში.

მიუხედავად კომინტერნის ყოველგვარი ცდისა ომის ასაცილებლად, მოსალოდნელია, რომ ის მაინც ატყდება. ამ შემთხვევაში ჩვენი ლოზუნგია—იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად, რევოლიუციონურ აჯანყების მოწყობა ბურჟუაზიის დასამხობად. სოც.-დემოკრ. ამის გაგონებაზე თმა ყალყზე უდგებათ. რა უყოთ: ისინი „გულჩვილი“ ადამიანებია, მათ არ მოსწონთ „ძალმომრეობითი“ რევოლიუცია, თითქო შესაძლებელი იყოს მშვიდობიანი რევოლიუცია, უსისხლოდ მუქთახორათა ბატონობის დამსხვრევა. აშკარაა, რომ ეს ვაჟბატონები, როგორც დღემდე, მომავალშიც შეეცდებიან, რომ ახალ ომმა კაპიტალიზმის საფუძვლები არ შეარყიოს, რომ ამ ომთან დაკავშირებით წარმოშობილ კრიზისისაგან მან თავი დააღწიოს.

არავითარი რევოლიუცია—ასეთია მათი პროგრამის და მოქმედების მთელი აზრი. მაშ როგორ ფიქრობენ ისინი საციალიზმის დამყარებას? მანიფესტი მოუწოდებს „კაპიტალის დიქტატურით და პოლიტიკური დიქტატურით დაჩაგრულთ“ მიემხრონ მეორე ინტერნაციონალს „სოციალიზმისათვის ბრძოლაში“. განა განმეორება უნდა, რომ სიტყვა „სოციალიზმს“ ყოველგვარი შინაარსი აქვს გამოცლილი, როცა მას მენშევიკები ხმარობენ. მათ ეს სიტყვა შერყვნეს. მათი თვალთმაქცობა იქამდე მიდის, რომ ისინი „ჩაგრულთ“ მოუწოდებენ „ბრძოლისაკენ“. ეს „ბრძოლა“ კი მათ ესმით როგორც მუშათა გაფიცვების ალაგმვა, მონებთან დამმობილება („სამრეწველო მშვიდობიანობა“ ინგლისში), საერთოდ ბურჟუაზიასთან კოალიციის და „თანამშრომლობის“ განხორციელება, ესე იგი მუშათა კლასის დამონება კაპიტალისადმი. ასეთია მათი „დემოკრატია“, რომლის დაცვას მენშევიკები თავის უპირველეს მოვალეობად აცხადებენ.

არა ნაკლებ საყურადღებოა ბრიუსელის კონგრესის მანიფესტის ის ნაწილი, რომელიც კოლონიალურ პრობლემას ეხება. სოციალ-შემთანხმებლები, მაგ., სცნობენ ინდოეთის ერების „თვითგამორკვევის“ უფლებას (ისიც, რა თქმა უნდა, ქაღალდზე). ინდოეთის სრულ დამოუკიდებლობას თუ გინდ სიტყვიერი აღიარებით ისინი ხომ ინგლისელ იმპერიალისტებს აწყენინებდენ. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ კონგრესი მოითხოვს სუეცის არხზე კონტროლის ერთა ლიგისათვის გადაცემას. ერთა ლიგაში კი ინგლისია გაბატონებული, მაშასადამე, სუეცის არხის სრულ პატრონად ფაქტიურად ისევ ინგლისის იმპერიალიზმი უნდა დარჩეს. ასე ესმით ჰენდერსონებს ერების განთავისუფლება.

ბოლოს, რამოდენიმე სიტყვა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ. მანიფესტი ილაშქრებს „ტერორისტული უმცირესობის“ წინააღმდეგ, რომელიც თითქო გაბატონებულია საბჭოთა კავშირში. ეს ძველი ზღაპარია, რომელიც ვერავისზე მოახდენს შთაბეჭდილებას. სოციალ - გამცემლები „ვერ ამჩნევენ“, რომ საბჭოთა სისტემა არის მშრომელთა ნამდვილი დემოკრატია და რომ საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი მასები თავის ხელისუფლებას აქტიურად უჭერენ მხარს. ეს მათ არ სურთ დაინახონ და აღიარონ, მაგრამ ამას კარგად ხედავენ ევროპის მუშები, თუგინდ ის მრავალრიცხოვანი დელეგაციები, რომელნიც ჩვენსკენ ხშირად მოეშურებიან. სიმართლის ხმამ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობის შესახებ უკვე მიაღწია დასავლეთის მუშებამდე და ამ სიმართლის დამახინჯება არავის შეუძლია.

მეორე ინტერნაციონალს თურმე გული შესტკივა იმ „სამეურნეო კრიზისების“ გამო, რომლებიც ვითომ „გრძელდებიან 11 წლის განმავლობაში რევოლიუციის შემდეგ“. ის განზრახ უმალავს თავის „მრევლს“ იმ უდიდეს სამეურნეო მიღწევებს და სოციალისტურ მშენებლობას, რის უარყოფას ვერ ახერხებენ ასე თუ ისე მიუდგომელი და პატიოსანი ბურჟუაზიული მეთვალყურენიც. სოციალ-გამცემლები ცდილობენ ჩვენი სამეურნეო დაბრკოლებები (მათი სიტყვით „კრიზისები“) მიაწერონ თვით საბჭოთა სისტემას და არა წარსულის მემკვიდრეობას ერთი მხრით და მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვას მეორე მხრით. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამ ბოროტ გალაშქრების შემდეგ რა ღირებულება აქვს მათ მტკიცებას, თითქო ისინი საბჭოთა კავშირის დამცველები იყვნენ!

ასეთია მათი მანიფესტი. თავის თავად ცხადია, ის ნაკლებ გამოდგება ისეთ დოკუმენტად, რომელსაც შეუძლია კომინტერნს კონკურენცია გაუწიოს. პირიქით, ეს მანიფესტი სავსებით აშკარავებს მეორე ინტერნაციონალის მოღალატურ ბუნებას.

სახიფათო კურსი

პოლონეთის ხელისუფლებამ მოსპო გამოძიება იმ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ, რომელნიც დააპატიმრეს ტერორისტ ვოიცეხოვსკის თავდასხმის შემდეგ საბჭოთა კავშირის საელჩო წარმომადგენელზე პოლონეთში ლიზარიევზე. არ შეიძლება ამ ცნობამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება არ მოახდინოს საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზრზე. როცა პოლონეთის მთავრობამ მწუხარება გამოსთქვა ამ თავდასხმის გამო და განაცხადა, რომ იგი „სასტიკ ზომებს მიიღებს, რათა მომავალში აღარ განმეორდეს ასეთი შემთხვევები“ და, რომ მას განზრახვა აქვს გამოარკვიოს თავდასხმის პირობები და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი, ჩვენ მაშინ ეჭვით შევხვდით პოლონეთის მთავრობის ამ განცხადებას და დაპირებას. ეს ეჭვი გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ღონისძიებებმა, რომლებიც მიიღო პოლონეთის მთავრობამ ვოიკოვის მოკვლის შემდეგ, სრულებით ვერ მიაღწიეს თავის დანიშნულებას და სრულებით ვერ შეასრულეს ემიგრანტ ტერორისტების დანაშაულებრივი მუშაობა.

ამჟამად ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სამართლიანი აღმოჩნდა ჩვენი ეჭვი. დღეს სავსებით გამოირკვა, რომ არაფერი არ გამოცვლილა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის სიცოცხლისა და მისი მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფის საქმეში. ვოიცეხოვსკის თავდასხმის შემდეგ პოლონეთის ხელისუფლებამ დააპატიმრა 13 თეთრგვარდიელი, რომელთა შესახებ მოაპოვებოდა ცნობები, რომ ისინი თავდასხმის თანამონაწილენი იყვნენ. დაპატიმრებულებმა ვარშავის საოლქო სასამართლოში განასაჩივრეს თავიანთი დაპატიმრება. სასამართლომ განიხილა მათი საჩივარი და სცნო, რომ, გაჩხრეკის დროს აღმოჩენილი მასალის მიხედვით, ისინი მიცემულ უნდა იქნენ პასუხისგებაში სისხლის სამართლის კანონთა დებულების მე-457 მუხლით (თანამონაწილეობა ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც მოეწყო მკვლელობის ჩადენის მიზნით) და რომ მათმა განთავისუფლებამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს გამოძიების მსვლელობას და დანაშაულის გამოაშკარავებას. ამიტომ სასამართლომ დაადგინა, 4 დაპატიმრებული დასტოვოს საპყრობილეში, ხოლო დანარჩენები განთავისუფლონ დიდი საწინდრის შეტანის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება სრულიად ნათელი და დასაბუთებული იყო, ცოტა ხნის შემდეგ უმაღლესმა ინსტანციამ გაანთავისუფლა ყველა დაპატიმრებული. დღეს კი, სამი თვის გამოძიების შემდეგ, პოლონეთის ხელისუფლებამ სცნო, რომ „მათ წინააღმდეგ არავითარი საბუთი არ მოიპოვება“, და გამოძიება მოსპო. ამით პოლონეთის ხელისუფლება დაადგა იმ თვალსაზრისს, რომ თავდასხმა ამხ. ლიზარევზე წარმოადგენს ვოიცეხოვსკის ინდივიდუალურ აქტს. ჩვენთვის ასეთი ვერსიები კავერდას გასამართლების შემდეგ უკვე ცნობილია. როგორც სჩანს, როდესაც საქმის ხანგრძლივი გაჭიანურების შემდეგ ვოიცეხოვსკი, როგორც იქნება, წარსდგება სასამართლოს წინაშე, ჩვენ კვლავ გავიგონებთ ზღაპრებს „შეშლილის ქმედობისა“ და „რუსი ადამიანის მისტიური ხასიათის“ შესახებ.

საბჭოთა საზოგადოებრივობა ვერასოდეს ვერ დაეთანხმება იმას, რომ კავერდას დანაშაული მისი ინდივიდუალური აქტი იყო. მით უფრო ნაკლებად მისაღებია ასეთი ვერსია ვოიცეხოვსკის მიმართ, რომელიც მეთაურობდა თეთრგვარდიელთა ერთ-ერთ ორგანიზაციას პოლონეთში და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ემიგრაციაში. პოლონეთის ხელისუფლების მოქმედება ვოიცეხოვსკის თავდასხმასთან დაკავშირებით, მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ პოლონეთის მთავრობას არ სურს აშკარად და ბოლომდე გამოიძიოს დანაშაულის ყველა გარემოება და დასაჯოს ყველა ის, ვინც მონაწილეობას იღებდა ამ დანაშაულის ჩადენაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ პოლონეთის ხელისუფლებამ ერთი თვის წინად ამნისტია შეუფარდა ვოიკოვის მკვლელს, რომ ემიგრანტული ტერორისტების ბუდის—„რუსული კომიტეტის“ ნაცვლად, რომელიც დახურა პოლონეთის ხელისუფლებამ, მოქმედებს „რუსებისთვის მზრუნველი კომიტეტი“, რომ პოლონეთის მთავრობამ არც გამოაქვეყნა ცნობა „რუსული კომიტეტის“ და „რუსეთის ახალგაზრდობის კავშირის“ დახურვის შესახებ და, რომ ოფიციოზმა „ეპოქა“-მ ამ ცნობის მოთავსების დროს მის წყაროდ დაასახელა თეთრგვარდიელების გაზეთი „ზა სვობოდუ“,—თუ ყველა ამას მხედველობაში მივიღებთ, ნათლად დავინახავთ, რა ზომებს ღებულობს პოლონეთის მთავრობა იმისათვის, რომ „შეუძლებელი გახადოს მომავალში“ კავერდისა და ვოიცეხოვსკის მსგავსი „გმირობანი“. მეტად საეჭვოა, რომ ამ საგმირო საქმეების მონაწილე თეთრგვარდიელებს პოლონეთიდან გადასახლება დიდ სასჯელად მიაჩნდეთ და, რომ ასეთმა ზომამ აიძულოს ისინი ხელი აიღონ ბოროტმოქმედებაზე.

პოლონეთის ასეთი დამოკიდებულება თეთრგვარდიელთა იმ ორგანიზაციების მუშაობისადმი, რომელნიც ცდილობენ შექმნან ახალი გართულება პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ პოლონეთში გაძლიერდა საბჭოთა კავშირისადმი აგრესიულად და მტრულად განწყობილ ჯგუფების გავლენა. საბჭოთა პრესამ უკვე აღნიშნა, რომ ერთ-ერთ მიზეზს, რომელმაც აიძულა პოლონეთის მთავრობა განეცხადებინა საბჭოთა მთავრობისათვის პროტესტი ბუხარინის სიტყვის გამო, წარმოადგენდა მისი სურვილი მოეხსნა თავისი თავიდან პასუხისმგებლობა ემიგრაციის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ნამდვილი ზომების მიუღებლობისათვის. პატეკის პროტესტთან დაკავშირებით, პოლონეთის პრესის მიერ გაჩაღებული ანტისაბჭოთა კამპანიის ზეგავლენით, თეთრგვარდიელი ტერორისტები გამოაცხადეს უდანაშაულოდ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელზე თავდასხმაში. პოლონეთის პრესა ცდილობს დაამტკიცოს, რომ საკავშირო მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივეა. ამით იგი კვლავ ქმნის ისეთ ატმოსფერას, რომელიც ხელს უწყობს ემიგრაციის ახალ გამოსვლას. აკი კავერდამ განაცხადა სასამართლოში, რომ მან ვოიკოვს ტყვია ესროლა, როგორც კომინტერნის აგენტს.

თეთრგვარდიელების აქტივობა რომელსამე ქვეყანაში დიდათაა დამოკიდებული იმ განწყობილებაზე, რომელიც გაბატონებულია ამ ქვეყნის ყველაზე უფრო გავლენიან წრეებში საბჭოთა კავშირის მიმართ. იყო დრო, როცა ემიგრაციის ბოროტმოქმედი ელემენტები ვერ ბედავდნენ პოლონეთის დედა ქალაქის ქუჩების გადაქცევას თავიანთი საგმირო საქმეების ასპარეზად. მაგრამ მაშინ პოლონეთის მთავრობას ძალიან კარგად ესმოდა განსხვავება საბჭოთა მთავრობასა და კომინტერნს შორის, და იგი არ გამოდიოდა დაუსაბუთებელი პროტესტებით, როგორც ამას ადგილი აქვს ამჟამად. აი, რა განუცხადა მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა სკშინსკიმ 1925 წ. 1 იანვარს მაშინდელ ოფიციოზურ „კურიერ პოლსკის“ თანამშრომელს: „მიუხედავად ყველაფრისა,—სთქვა სკშინსკიმ, — მე ვანსხვავებ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას მე-3 ინტერნაციონალის პოლიტიკისაგან, როგორც ორ სხვადასხვა პრობლემას. მე ვამბობ—„მიუხედავად ყველაფრისა“, ვინაიდან მე მხედველობაში ვიღებ ზინოვიევის წერილის გარშემო მომხდარ ინციდენტს და დიდი ბრიტანეთის მთავრობის პოზიციას ამ საქმეში. ჩვენი საზღვარი რუსეთთან რამოდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე გრძელდება. ჩვენ უნდა დავიცვათ თავი მესამე ინტერნაციონალის მებრძოლი კომუნიზმის აგიტაციისაგან, მაგრამ ეს სრულებითაც არ გულისხმობს რაიმე ანტიბოლშევიკური ბლოკის შექმნას. პირიქით, ჩვენი მისწრაფებაა — გამოვნახოთ მოდუს ვივენდი და მივაღწიოთ თანამშრომლობას“.

სამწუხაროდ, სკშინსკის სიტყვები მოდუს ვივენდის გამონახვისა და თანამშრომლობის მიღწევის აუცილებლობის შესახებ მხოლოდ სიტყვებად დარჩა და მათ შესაფერი საქმე არ მოჰყოლია. პოლონეთის მთავრობას რომ მართლაც სურდეს ამჟამად იმ სახელმწიფოებისათვის ესოდენ საჭირო კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცება, რომელთაც ასეთი ვრცელი საერთო საზღვარი აქვთ, იგი არ განაცხადებდა დაუსაბუთებელ პროტესტებს და მიიქცევდა ნამდვილ ზომებს თეთრგვარდიელ ტერორისტების ალაგმავად. ვოიცეხოვსკის საქმის „გამოძიების“ ხასიათი საუცხოვოდ ააშკარავებს პოლონეთის პოლიტიკის იმ კურსს, რომლითაც არ შეიძლება პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის მოწესრიგება. პოლონეთის მთავრობამ უნდა აიღოს სხვა კურსი, თუ მას არ სურს იკისროს პასუხისმგებლობა თავის ეხლანდელი პოლიტიკის მძიმე შედეგებისათვის.

„იზვესტია“, 16 აგვისტო.

საბჭოთა კავშირის გემების გაყიდვის გარშემო რუმინეთში

ჯავშნოსანის აგების საკითხი გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში

კულიჯი ომის ამკრძალავ ხელშეკრულების შესახებ

რუმინეთში დარჩენილ საბჭოთა ქონების საკითხი

რუმინეთის ნოტა საბჭოთა კავშირს

მოსკოვი, 16 აგვისტო. რუმინეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტაში, რომელიც მიიღო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა, ნათქვამია:

„გზათა სამინისტრომ გასცა განკარგულება განსაზღვრული რაოდენობის გემების გაყიდვის შესახებ. ეს გემები წარმოადგენენ საზღვაო ნადავლს და მეტად დაძველებულნი არიან. გასაყიდად დანიშნულ გემთა რიცხვიდან 17 გემი, რომლებიც ჩამოერთვა ავსტრიის არმიას, წარმოადგენენ ავსტრიის არმიის ნადავლს, წართმეულს რუსეთის არმიისაგან. ამ გემებს შორის, რომელთაც არა აქვთ არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა, არ არის არც ერთი საბუქსირო ან სხვა რამ დიდი ღირებულების გემი. ამ გემების გაყიდვიდან აღებული თანხები შენახული იქნება იმ კანონიერ მესაკუთრეთათვის გადასაცემად, რომელნიც შემდეგში იქნებიან გამორკვეული. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე ზომები, საერთაშორისო სასამართლოს თანახმად, მიღებულ იქნა რუსეთში რუმინეთის დეპუტატების მიმართ. (ადს).

საბჭოთა მთავრობის პასუხი

მოსკოვი, 16 აგვისტო. საბჭოთა მთავრობამ ამხ. ლ. ლიტვინოვის ხელმოწერით რუმინეთის მთავრობას გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომელშიც ნათქვამია:

„კავშირის მთავრობა პასუხისმგებლად სთვლის რუმინეთის მთავრობას იმ მატერიალური ზარალისათვის, რომელიც შეიძლება მიაყენოს კავშირს მისი ქონების გაყიდვამ. რამდენადაც საბჭოთა კავშირის მთავრობამ არ იცის, თუ რა მდგომარეობაში იქნებიან გემები მათი გაყიდვის მომენტში, რის გამოც მას არ შეუძლია შეაფასოს მათი ნამდვილი ღირებულება, იგი იტოვებს უფლებას არ სცნოს ის გარიგებანი, რომელთა საფუძველზე აპირებს რუმინეთის მთავრობა კავშირის ქონების გაყიდვას. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია აგრეთვე დაეთანხმოს იმას, რომ გემების გაყიდვიდან აღებული თანხები გადაეცეს მესაკუთრეს, რომლის გამორკვევასაც რუმინეთის მთავრობა შემდეგში აპირებს. საბჭოთა კავშირის მთავრობა განმეორებით აცხადებს, რომ აღნიშნული ქონების ერთად-ერთ კანონიერ მესაკუთრეს წარმოადგენს საბჭოთა მთავრობა. საკუთრების ეს უფლება ვრცელდება როგორც თქვენ დეპეშაში აღნიშნულ ქონებაზე, ისე ყოფილი რუსეთის არმიის და რუსეთ-დუნაის ნაოსნობის საზოგადოების მთელ ქონებაზე“.

იძულებითი რეზოლიუცია

ბერლინი, 15 აგვისტო. სოციალ-დემოკრატ მინისტრების თანხმობამ ჯავშნოსანის აგებაზე აღშფოთება გამოიწვია მუშათა მასებში. ამ გარემოებამ — სოციალ-დემოკრატების ცეკა და აგრეთვე რეიხსტაგის ფრაქციის ბიურო აიძულა მიეღოთ შეერთებულ სხდომაზე რეზოლიუცია, რომლითაც ისინი ცდილობენ გაიმიჯნონ სოციალ-დემოკრატ მინისტრების პოლიტიკისაგან. რეზოლიუციაში გამოთქმულია მწუხარება, რომ სოციალ-დემოკრატ მინისტრებმა „ვერ გამონახეს საშუალება ხმის მიცემით გარკვევით ეჩვენებიათ კაბინეტისათვის, რომ ისინი მთელ პარტიასთან ერთად წინააღმდეგი არიან ჯავშნოსანის აგებისა, ისინი მხოლოდ ფორმალურ იურიდიულ საბუთებზე მიუთითებდნენ“. გადაწყდა მოიწვიონ შაბათს ბერლინში რაიხსტაგის ფრაქციის პლენუმი და აგრეთვე ცეკას პლენუმი ჯავშნოსანის აგების საკითხის შესახებ.

სოც. - დემოკრატების რამდენიმე პროვინციალურმა ორგანიზაციამ მკაცრი საპროტესტო რეზოლიუციები მიიღეს სოციალ-დემოკრატ მინისტრების მოქმედების წინააღმდეგ. „ფორვერტს“-ი აცხადებს, რომ ესდეკ-მინისტრების თანხმობამ ჯავშნოსანის აგებაზე გაცილებით უფრო გაართულა მდგომარეობა პარტიაში, ვიდრე სოციალ-დემოკრატების თანხმობამ ყოფილ თავადებისათვის ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურებაზე. (ადს)

კულიჯის „იმედები“

ნიუ-იორკი, 15 აგვისტო. ვისკონსინის შტატში ომის ყოფილ მონაწილეთა რეაქციონური ორგანიზაციის კონფერენციაზე კულიჯმა განაცხადა:

„კელოგის ხელშეკრულება მშვიდობიანობის უფრო მეტ იმედებს აძლევს მსოფლიოს, ვიდრე ოდესმე, შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდებიან ხელშეკრულებას. ხელშეკრულება შეერთებულ შტატებს და ხელშეკრულების სხვა მონაწილეთ არ უშლის ხელს სათანადოთ დაიცვან თავი თავდასხმისაგან. ხელშეკრულება გვავალებს არ დავესხათ თავს სხვებს იმ შემთხვევაში, როცა დარწმუნებული ვართ, რომ ისინი არ ფიქრობენ ჩვენზე თავდასხმას“.

საარჩევნო კამპანია

ათინა, 15 აგვისტო. საბერძნეთის კომპარტია ფართო კამპანიას აწარმოებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. ყველა საარჩევნო ოლქებში წამოყენებულია მუშათა და გლეხთა მთლიანი ფრონტის ბლოკის კანდიდატები. ხშირია ბლოკის მოწოდებათა კონფისკაციის შემთხვევები. ბლოკის წარმომადგენლებს აპატიმრებენ. ბლოკის კამპანია დიდ თანაგრძნობას ჰპოულობს მასებში, მაგრამ საეჭვოა, რომ ბლოკმა შესძლოს სამ კანდიდატზე მეტის გაყვანა პარლამენტში, ვინაიდან ახალი საარჩევნო კანონი უზრუნველჰყოფს ბურჟუაზიულ პარტიების გამარჯვებას.

ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების გარშემო

საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება ეჭვს იწვევს

ბერლინი, 15 აგვისტო. ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის განმტკიცების გამო გერმანიის შერყეული იმედები იმის შესახებ, რომ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება დაჩქარდებოდა, უკანასკნელ დღეებში უფრო მეტად შეირყა საერთაშორისო პოლიტიკის სხვადასხვა ფაქტების წყალობით.

უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტი: როგორც ირკვევა, „მანჩესტერ გარდიენის“ მხილება იმის შესახებ, რომ ინგლისის ჯარი მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის ჯარის მანევრებში, ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს თანხმობითა და მოწონებით მოხდა.

„ფოსიშე ცეიტუნგის“ ლონდონელი კორესპონდენტი ამის გამო სწერს: **კეშენდენმა** და გარეშე საქმეთა მინისტრის ახალმა ამხანაგმა **ლინდსეიმ** მეგობრული თანხმობა განაცხადეს საფრანგეთის მიწვევაზე, რათა მთელი მსოფლიოსათვის დაენახვებიათ ახლახან დადებული საზღვაო კომპრომისის სიმბოლიური მნიშვნელობა — „იარაღით დამმობილება“ ინგლისსა და საფრანგეთს შორის (ადს).

სულელური უდარდელობის შედეგი

ლონდონი, 15 აგვისტო. ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ“-ი აღნიშნავს, რომ ინგლისის პოლიტიკას „ლოკარნოს ხაზიდან გადახვევის საფრთხე“ მოელის და სწერს:

„ინგლისი ამჟამად, როგორც სჩანს, ეხმარება საფრანგეთს—გახადოს რეინის ოლქის ოკუპაცია უფრო შეურაცხმყოფელი გერმანიის თავმოყვარეობისათვის. ეს ან შეთანხმებით გამოწვეული პოლიტიკის ნაწილია, და ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა გადასცდა ლოკარნოსა და სხვა მრავალ პოზიციას, ანდა ეს სულელური უდარდელობის შედეგია. ორივე შემთხვევაში პერსპექტივები სერიოზულია“.

მდგომარეობა ჩინეთში

კონტრაბანდა იარაღის დაკავება

ხარბინი, 15 აგვისტო. ჩინეთის საბაჟომ დაამთავრა იმ ქაღალდების და ლურსმების დათვალიერება, რომლებიც დაიკავეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის სადგურის ხარბინის საბაჟოს ეზოში. კონტრაბანდა იარაღის ღირებულება 40.000 დოლარს უდრის. დოკუმენტების მიხედვით, ტვირთი გამოგზავნილია ვლადივოსტოკით ოსაკადან. გამომგზავნია — იაპონიის ფირმა ტაკიკურა, მიმღებია — ხარბინის იაპონიური ფირმა იამადა. (ადს)

შეთანხმება მიღწეულია

ხარბინი, 15 აგვისტო. მუკდენის პოლიტიკური წრეების აზრით, შეთანხმება მუკდენსა და ნანკინს შორის ნამდვილად მიღწეულია. შეთანხმების საბოლოო ჩამოყალიბება და მისი გამოქვეყნება მოხდება, როგორც სჩანს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაიდება შეთანხმება იაპონიისა და ნანკინის მთავრობის შორის. (ადს)

სიმპრონის ინტერვიუ

პეკინი, 15 აგვისტო. სიმპრონი (ჩჟან ცზო-ლინის ყოფილი მრჩეველი, ინგლისის ჟურნალისტი) მუკდენიდან დაბრუნებისას ესაუბრა უცხოელ კორესპონდენტს. მან განაცხადა, რომ ჩჟან ცზო-ლინი მოჰკლა იაპონიის საიდუმლო საზოგადოებამ, იაპონიის სამხედრო პირების დახმარებით.

„ჩჟან ცზო-ლინის მოკვლა — განაცხადა სიმპონმა — იაპონიის ერთგვარი მანევრია იმ ფარულ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს მანჯურიის რკინის გზის ქსელზე ბატონობისათვის“-ო.

სიმპონმა დაწვრილებითი ცნობები მისცა კორესპონდენტს ჩჟან ცზო-ლინის მატარებლის დაღუპვის შესახებ. ეს ცნობები მან შეკრიბა მატარებლის დაღუპვის მიზეზების პირადი გამოკვლევის საშუალებით. დასასრულ სიმპონმა განაცხადა, რომ იმის მსგავსად, რასაც ადგილი ჰქონდა კორეიაში 1895 წ. იაპონიის მთავრობას ბოლოს და ბოლოს ახლაც დასჭირდება იმართლოს თავი მკვლელობაში თანამონაწილეობის ბრალდებისაგან. (ადს).

ჩინეთის პრესა ინგლის-ჩინეთის შეთანხმების შესახებ

შანხაი, 16 აგვისტო. ჩინური ხელმძღვანელი ორგანოები „ჩაინა ტაიმსი“ და „რესპუბლიკენ დეილი ნიუსი“ უარყოფით შეხვდნენ ინგლის-ჩინეთის შეთანხმებას. ისინი აღნიშნავენ: **ჩინეთს თვითონ უნდა მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება, ახლა კი პირიქით, მან უნდა გაიღოს ინგლისის სასარგებლოდ.**

ვან-ჩჟენ-ტინის ნოტაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ჩინელი დემონსტრანტების დახოცვის შესახებ შანხაის საერთაშორისო სეტლმენტში, ვანსიანისათვის ყუმბარების დაშენისა, შამინის ხოცვა-ჟლეტისა და უთანასწორო ხელშეკრულებათა გაუქმების შესახებ. გაზეთები მეტად უკმაყოფილონი არიან იმითაც, რომ ინგლისის გენერალური კონსულის ნოტა, სინანულის გამოთქმის ნაცვლად, ნანკინისათვის ყუმბარების დაშენას სთვლის აუცილებელ თავდასაცავ ზომად (ადს).

პროფკავშირების უფლებათა შეზღუდვა

შანხაი, 16 აგვისტო. გომინის საგენტო იუწყება: პროფკავშირების სარეორგანიზაციო კომიტეტმა, რომელიც სამხედრო ხელისუფლებამ დანიშნა, აცნობა ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციას, რომ სასტიკად აკრძალულია გაფიცვების გამოცხადება კომიტეტთან შეუთანხმებლად. (ადს).

გერმანიის მელითონეთა ყრილობა

ბერლინი, 15 აგვისტო. გერმანიის მელითონეთა პროფკავშირების ყრილობაზე 117 ხმის უმრავლესობით 92 წინააღმდეგ უარყოფილი იქნა სამანდატო კომისიის წინადადება მემარცხენე უმცირესობის მიერ ბერლინში ამორჩეულ დელეგატების მანდატების გაუქმების შესახებ. ამასთან ერთად მიღებულია რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ მომავალში მემარცხენე უმცირესობის მომხრე მელითონეების წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამწყვეტი ზომები.

წინადადება ბერლინის დელეგაციის მანდატების გაუქმების შესახებ უარყოფილ იქნა ყრილობის მიერ მასების ზეგავლენით, რაც იმაში გამოიხატა, რომ ყრილობამ მიიღო მომავალი საპროტესტო დეპეშა.

ყრილობამ მიიღო კავშირის ცეკას რეზოლიუცია, რომელიც სცნობს კონფლიქტების სამედიატორო გარჩევის არსებულ წესს. ამის წინააღმდეგ მემარცხენე უმცირესობასთან ერთად ხმა მისცა სოციალ-დემოკრატების 80-დე დელეგატმა (ადს).

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

15 აგვისტოს დილის სხდომა

ამხ. ერკოლის მოხსენება

მოსკოვი, 16 აგვისტო. 15 აგვისტოს დილის სხდომა გაიხსნა ამხ. კატაიამას თავმჯდომარეობით.

ამხ. ერკოლიმ (იტალია) გააკეთა თანამოხსენება რევოლიუციონური მოძრაობის შესახებ კოლონიებსა და ნახევარკოლონიებში.

„მეორე ინტერნაციონალმაც,—სთქვა ამხ. ერკოლიმ,—დასვა კოლონიალური საკითხი თავის კონგრესზე ბრიუსელში. კომინტერნი ამ საკითხს პირადათ არ ეხება თავის კონგრესებზე. კომინტერნის პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითად დამახასიათებელ თვისებას ყოველთვის შეადგენდა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დაკავშირება კაპიტალისტურ სახელმწიფოებში კოლონიების დაჩაგრული მასების ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან.

იმ დროს, როდესაც იმპერიალისტები ომს ამზადებენ, რევოლიუციონურ მოძრაობას კოლონიებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატია ითვალისწინებენ ამ მნიშვნელობას, და სოციალ-დემოკრატია, რომელიც წინედ მორცხვად უჭერდა მხარს იმპერიალისტურ კოლონიალურ პოლიტიკას, ეხლა სავსებით აშკარად უჭერს მხარს. ბრიუსელის კონგრესი უმაგალითო იყო მუშათა კლასის ინტერესების გამცემლების მხრივ. ეს იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია უფრო მიუახლოვდა ხელისუფლებას და სურს დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია კოლონიები მართოს კაპიტალიზმის ინტერესების სასარგებლოდ. მეორეს მხრით, სოციალ-დემოკრატიას ეშინია, რომ რევოლიუციონური მოძრაობის განვითარება კოლონიებში გარიყავს სოციალ-დემოკრატებს, ვინაიდან ისინი ცდილობენ შეაჩერონ ეს მოძრაობა.

რეზოლიუციები მეორე ინტერნაციონალის იმ კონგრესებისა, რომლებიც ომის წინ შეიკრიბნენ, საერთოდ და მთლიანად სისწორით აფასებდნენ იმპერიალისტურ კოლონიალურ პოლიტიკას, მაგრამ არ გამოჰყავდათ ერთად-ერთი სწორი რევოლიუციონური დასკვნები და არ მოუწოდებდნენ კოლონიალურ ხალხებს რევოლიუციონური მოქმედებისაკენ. შტუტგარტის კონგრესის ყველაზე უფრო რადიკალური რეზოლიუციაც კი, რომელიც გმობდა იმპერიალისტურ კოლონიალურ პოლიტიკას, კოლონიალური ხალხების მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებდა რეფორმების გზით.

შტუტგარტიდან ბრიუსელამდე სოციალ-დემოკრატიამ ღალატის დიდი გზა განვლო. ყველა სოციალ-დემოკრატიული პარტია ემხრობა „თავისი“ ბურჟუაზიის კოლონიალურ სამფლობელოთა შენარჩუნებას ან უფლებას კოლონიებზე იმ ქვეყნების ბურჟუაზიისათვის, რომელთაც კოლონიები არა აქვთ.

სოციალ-დემოკრატიის პოზიცია კოლონიალურ საკითხში აიხსნება სოც.-დემოკრატიის იმ თეორიით, რომელიც ამართლებს კოლონიალურ ექსპანსიას, როგორც საწარმოო ძალთა განვითარების საშუალებას. ბრიუსელის კონგრესის რეზოლიუცია კაპიტალიზმს ახასიათებს, როგორც კოლონიების ეკონომიური და კულტურული განვითარების ფაქტორს. ამ მსჯელობის შეუსაბამობა აშკარაა ყოველი მარქსისტისათვის, ვინაიდან კაპიტალისტების კოლონიალური პოლიტიკა მიზნად ისახავს ზემოგების მიღებას კოლონიალური ხალხების გაძლიერებული ყვლეფის გზით და არა კოლონიების საწარმოო ძალთა განვითარებას. კოლონიალური კაპიტალი ცდილობს გააფართოვოს თავისი წილი ზემოგებაში, რისთვისაც იგი მიმართავს კოლონიების მოსახლეობის ექსპლოატაციის სხვადასხვა მეთოდს—დაწყებული პრიმიტიული ძარცვით და გათავებული კაპიტალისტური ექსპლოატაციის რთული ფორმების გამოყენებით.

სოციალ-დემოკრატიული პარტიები თეორეტიულად და პრაქტიკულად არ სცნობენ კოლონიალური ხალხების თვითგამორკვევის უფლებას. ბრიუსელის კონგრესის რეზოლიუციაში ვერ ნახავთ სოციალისტური ტენდენციის ნატამალსაც კი, იგი თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია იმპერიალისტური მისწრაფებებით. რეზოლიუცია კოლონიებს ჰყოფს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ქვეყნებად და ავტონომიას კოლონიებს ანიჭებს განვითარების ხარისხის მიხედვით. ეს სავსებით შეეფერება ერთა ლიგის წესდებას. ბრიუსელის რეზოლიუცია მოითხოვს ჩინეთთან დადებულ უთანასწორო ხელშეკრულებების გაუქმებას; მაგრამ სოციალ-დემოკრატიის მთელი მოქმედება ეწინააღმდეგება ამ მოთხოვნას. ასე, მაგალითად, ბელგიელმა სოციალ-დემოკრატმა, ყოფილმა მინისტრმა დებრიუკერმა პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთმა გააუქმა უთანასწორო ხელშეკრულებანი, ინგლისის მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის უმრავლესობა წინააღმდეგი იყო იმისა, რომ დაეგმო ინგლისის ინტერვენცია ჩინეთში. მეორე ინტერნაციონალმა მიიღო გომინდანის დელეგატები — ჩინეთის კონტრ-რევოლიუციის სულის ჩამდგმელები.

ბრიუსელის რეზოლიუციაში კრინტიც კი არ არის დაძლეული ეგვიპტეს შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის მუშათა პარტიას განზრახვა აქვს,—თუ ის კვლავ ჩაუდგება ხელისუფლებას სათავეში, — გააგრძელოს მაკდონალდის პოლიტიკა ეგვიპტეს მიმართ.

სოციალ-დემოკრატებმა დაადასტურეს სიკვდილით დასჯის განაჩენი, რომელიც ინდონეზიის რევოლიუციონერებს გამოუტანეს. იმ დროს, როდესაც კოლონიალური ხალხები იარაღით ხელში იბრძვიან თვითგამორკვევის უფლებისათვის, სოციალ-დემოკრატია ცდილობს შეზღუდოს ეს თვითგამორკვევის უფლება, იგი ფაქტიურად იმპერიალისტების მხარეზე დგება. სოციალ-დემოკრატია აცხადებს, რომ იგი ისწრაფვის „კარგი“ კოლონიალური პოლიტიკისაკენ. ასეთ „კარგი“ კოლონიალური პოლიტიკის მაგალითია ფრანგი სოციალისტების მოთხოვნა კოლონიალური ხალხების პოლიტიკური ასიმილიაციის შესახებ. ბრიუსელის კონგრესის რეზოლიუციაში გათვალისწინებულია ამ კოლონიალური პოლიტიკის მეთოდები: კოლონიალური ხალხების თანდათანობით „აღზრდა“, ავტონომიის გაფართოება კულტურული დონის აწევის მიხედვით და სხვა. არსებობს ამ პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების ერთი ილიუსტრაცია: ფრანგი სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ საარჩევნო უფლება გავრცელდეს კოლონიების მხოლოდ იმ ადგილობრივ მოსახლეებზე, რომლებმაც ფრანგული წერა-კითხვა იციან. საარჩევნო უფლება სამხრეთ აფრიკაში სოციალ-დემოკრატებს სურთ შეზღუდონ განათლებისა და ქონებრივი ცენზით. სოციალ-დემოკრატების ამ კოლონიალური პოლიტიკის მიზანია კოლონიების ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის გარყვნა და მათი დაკავშირება იმპერიალისტებთან. ეხლა, როცა უკვე ცხადია, რომ აგრარული პრობლემა კოლონიებში შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ აგრარული რევოლიუციის გზით, სოციალ-დემოკრატები, მაგალითად, აფრიკისათვის აყენებენ ასეთ მოთხოვნილებას: მხოლოდ ის მიწა შეიძლება იქნას ცნობილი კოლონიების ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებად, რომელიც თეთრების მფლობელობაში არ იმყოფება. კარგი კოლონიზატორების ამ პოლიტიკის დაგვირგვინებას წარმოადგენს წინადადება იმის შესახებ, რომ კოლონიები ერთა ლიგის ოპეკას დაუმორჩილონ.

ამგვარად მეორე ინტერნაციონალის კოლონიალური პოლიტიკა გულისხმობს იმპერიალისტური კოლონიალური პოლიტიკისათვის მხარის დაჭერას. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს გათახსირებული მუშათა არისტოკრატიის შექმნას იმპერიალისტებისათვის მხარის დასაჭერად, აგრეთვე რეფორმისტული მოძრაობის განვითარებას კოლონიებში.

ბრიუსელის კონგრესმა ნათლად გვიჩვენა, რომ მეორე ინტერნაციონალი იმპერიალიზმის აგენტია. ჩვენ უნდა გამოვააშკარავოთ მეორე ინტერნაციონალის ის როლი კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატისა და კოლონიებისა და ნახევარ კოლონიების ჩაგრული მასების წინაშე. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშაობა კოლონიებში და კოლონიალური ქვეყნების მუშებსა და გლეხებს დავანახვოთ, რომ რეფორმიზმი არის იმპერიალიზმთან თანამშრომლობა და რომ მხოლოდ კომინტერნს შეუძლია გაანთავისუფლოს ისინი ჩაგვრისაგან“. (ტაში).

კოლონიალურ ხალხების წარმომადგენელთა გამოსვლა

კოლონიალური ხალხების წარმომადგენლებმა დაახასიათეს მდგომარეობა თავიანთ ქვეყნებში.

ამხ. დარსონის სიტყვა

1923 წლის რკინის გზის დიდ გაფიცვასთან დაკავშირებით,—სთქვა ამხ. დარსონმა (ინდონეზია),—ინდონეზიის კომპარტიამ მოახერხა თავისი გავლენის გაძლიერება და მასიური მოძრაობის ხელში ჩაგდება. ამით მან მოქმედების სარბიელი შეუზღუდა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებს. ყველა უმნიშვნელოვანეს პროფკავშირში ხელმძღვანელი როლი კომპარტიას ეკუთვნოდა. არც ერთი ადგილობრივი გაზეთი ისე არა ყოფილა გავრცელებული, როგორც ჩვენი გაზეთი. მაგრამ 1926 წლის აჯანყების მძიმე დამარცხების შემდეგ ნაციონალისტურმა პარტიებმა ხელახლა მოიპოვეს გავლენა, რადგან ფიზიკურ განადგურებას გადარჩენილ კომუნისტთა ზოგი ხელმძღვანელი საპატიმროში იჯდა, ზოგიც გაძევებული იქნა.

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

არჩევნების სამზადისი ლატვიაში

მოსკოვი, 16 აგვისტო. „იზვესტია“-ს კორესპონდენტი რიგიდან, ბორისოვი იუწყება, რომ ლატვიაში უკვე დაიწყო სეიმის წევრათ ასარჩევ კანდიდატთა სიების წარდგენა. საარჩევნო კომისიაში შეტანილია ოცდაათამდე სია. პირველათ შეიტანეს თავიანთი სიები დამოუკიდებელმა სოციალისტებმა და მემარცხენე მუშების და მშრომელ გლეხების ჯგუფმა.

„ჯავშნოსანის სოციალისტები“

მოსკოვი, 16 აგვისტო. „იზვესტიას“ ბერლინელი კორესპონდენტი კაიტი გადმოგვცემს, რომ გერმანიის მშრომელ მასებში ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა ახალ ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა სოციალ-დემოკრატების რიგებსაც მოედო. საქსონელები აწყობენ მრავალ მიტინგებს, სადაც მკაცრი რეზოლიუციები გამოაქვთ მთავრობის ამ დადგენილების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ათი ათასმა წევრმა ცვიგაუდან გაგზავნა ბერლინში დეპეშა, რომელშიაც სასტიკ პროტესტს აცხადებს ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ და მოითხოვს მთავრობიდან სოციალ დემოკრატ-წევრების გასვლას. გაძლიერებულ აგიტაციას აწარმოებს ამ დადგენილების წინააღმდეგ აგრეთვე გერმანიის კომპარტიაც. ეწყობა მუშათა მასიური კრებები, ვრცელდება ფურცლები და სხვა.

სოციალ დემოკრატების იმედები არ გამართლდა. მათ მუშებმა მიაკრეს სამარცხვინო სახელი: „ჯავშნოსანის სოციალისტები“.

ამიერ-კავკასიელები საკავშირო სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 16 აგვისტო. უკვე ორი დღეა სწარმოებს შეჯიბრები რესპუბლიკანურ გუნდებს შორის. ჯერ-ჯერობით მდგომარეობა ასეთია: ტანთვარჯიშობაში პირველ ადგილზეა უკრაინა, მეორე ადგილი უჭირავს ამიერ-კავკასიას. ფუტბოლის მატჩი უზბეკისტანსა და ამიერ-კავკასიას შორის უშედეგოთ დამთავრდა. ხტომაში ადგილიდან კარგ შედეგებს მიაღწია ქალმა ზალდასტანიშვილმა (ამიერ-კავკასია) ის გადახტა ორ მეტრზე და 28 სანტიმეტრზე.

პურის საცხობი ქარხნები

მოსკოვი, 16 აგვისტო. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში აგოს 30 ახალი პურის საცხობი ქარხანა. მათ შორის ამიერ-კავკასიაში აგებულ იქნება 14 ქარხანა. გარდა ამისა, ბაქოში მოწყობილ იქნება ფაბრიკა-სამზარეულო.

ახალი ფილმი ლენინის შესახებ

მოსკოვი, 16 აგვისტო. „სოვკინოს“ გადაწყვეტილი აქვს გაგზავნოს კინო-ექსპედიცია ციმბირში იმ ადგილების გადასაღებათ, სადაც ცხოვრობდა ამხ. ლენინი გადასახლების დროს. გადაღებული იქნება კრასნოიარსკი, ამ ქალაქის ციხეები, ბინები სადაც ცხოვრობდა ამხ. ილიჩი და სხვა.

ბიბლიოთეკა

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოწვევით

მიმდინარე თვის 21-ს, ხამშაბათს, საღამოს 6 საათზე, ქ. თბილისში (სასახლე, წითელი დარბაზი) შესდგება:

ავტონომიურ რესპ. და სამაზრო აღმასკომების წარმომადგენლების

თათბირი

საქართველოს სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის განსახილველად

დღის წესრიგი:

1. სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი (წინასწარი) გეგმა
   თანამოხსენებით: ა. პურეულის კულტურის გეგმა
   ბ. მესაქონლეობის „
   გ. მევენახეობის „
   დ. მებაღეობის „
2. საბჭოთა მეურნეობის გეგმა
3. კოლმეურნეობის „
4. მიწათმოწყობის „
5. სატყეო მეურნეობის „

(დელეგატები უნდა გამოცხადდნენ სასახლეში, ოთახი № 60)

ს.ს.ს.რ სახელმწიფო საგეგმო კომისია.

ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატები ამბობენ, რომ ინდონეზიის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში კომუნისტების გავლენა მხოლოდ ეპიზოდი იყო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს იყო არა ეპიზოდი, არამედ მაჩვენებელი იმისა, რომ წვრილ-ბურჟუაზიული ხელმძღვანელობის პერიოდი ინდონეზიის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში დამთავრდა.

1926 წლის მოძრაობის შეცდომები: სუმატრაზე აჯანყება დაიწყო ორი თვით გვიან, ვიდრე იავაზე; არ მომხდარა მთელი მუშათა კლასის მობილიზაცია; პირველი შეტევა დაიწყო ქალაქებში, სადაც პოლიციას დიდი ძალა აქვს; არ მომხდარა აჯანყების რიგიანი ორგანიზაციული მომზადება.

უახლოესი ამოცანები: პარტიისა და პროფკავშირების განადგურებული აპარატის აღდგენა და განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გლეხთა მოძრაობისათვის.

საჭიროა მთელი ენერგიით ბრძოლა კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის, მუშათა მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ამნისტიისათვის და სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის. ეს ლოზუნგები უნდა შევუთანხმოთ ძირითად ლოზუნგს: ინდონეზია ჰოლანდიისაგან დამოუკიდებელი უნდა გახდეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კონგრესი განამტკიცებს ჩვენი პარტიის კავშირს დიდად განვითარებული ქვეყნების მოძმე პარტიებთან და ეს პარტიები მეტ თეორეტიულ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევენ ჩვენს პარტიას“ (ტაში).

15 აგვისტოს საღამოს სხდომა

15 აგვისტოს საღამოს სხდომაზე კონგრესის საღამოს სხდომაზე პირველად

ამხ. სიკანდერის სიტყვა

ორატორი შეეხამა ზოგიერთი ამხანაგის თეორიას იმის შესახებ, რომ ინდოეთი ჰკარგავს კოლონიის ხასიათს.

„ინდოეთის საზოგადოების კლასობრივი შემადგენლობის ანალიზი,—სთქვა სიკანდერმა,—გვიჩვენებს ამ თეორიის შეუსაბამობას. ინდოეთის მოსახლეობას შემდეგი კატეგორიები შეადგენენ: მიწადმოქმედი არისტოკრატია ფეოდალიზმის ელფერით; მცირერიცხოვანი, მაგრამ დიდად განვითარებული ბურჟუაზია, წვრილ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია, გლეხთა დიდძალი მასები და სამრეწველო პროლეტარიატი. ბურჟუაზია და წვრილი ბურჟუაზია ერთმანეთზე გადაბმულია მჭიდრო ეკონომიური კავშირით და აგრარული ინტერესებით. ინგლისის იმპერიალიზმი გამოდის მთლიანი ფრონტით მიწადმოქმედ არისტოკრატიასთან ერთად და იმორჩილებს სამრეწველო ბურჟუაზიას. ამგვარად, ინგლისის იმპერიალიზმი აძლიერებს რეაქციონერ ძალებს და არა სამრეწველო ბურჟუაზიის ძალებს, როგორც ამას გვეუბნება თეორია იმის შესახებ, რომ ინდოეთი ჰკარგავს კოლონიის ხასიათს“-ო.

ამხ. სტრახოვის სიტყვა

თავის დიდ სიტყვაში ამხ. სტრახოვმა (ჩინეთი) მარქსისტული ანალიზი გაუკეთა ჩინეთის რევოლუციის მთელ ისტორიას უკანასკნელი წლების განმავლობაში.

ჩინეთის რევოლუციის დამარცხება,—სთქვა სტრახოვმა,—ჩინეთის კომპარტიის ოპორტუნისტული შეცდომების შედეგია. ძირითადი შეცდომა ის იყო, რომ პარტიას შეგნებული არა ჰქონდა ჩინეთის რევოლუციის მთავარი შინაარსი—აგრარული რევოლუციის ხასიათი. მეორეს მხრით, ჩინეთის კომპარტიას შეგნებული არა ჰქონდა ჩინეთის ბურჟუაზიის ეროვნულ-რეფორმისტულ მისწრაფებათა გაქარწყლების საჭიროება. რასაკვირველია, დამარცხება უნდა ავხსნათ არა მარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური მიზეზებითაც, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კონტრ-რევოლუციის თვალსაჩინო ძალები.

უხანის მთავრობის გადადგომის შემდეგ პარტიულმა ხელმძღვანელობამ შეიგნო ოპორტუნისტული შეცდომები და ენერგიული ბრძოლა აუტეხა ამ შეცდომებს.

უახლოესი დროის განმავლობაში ჩინეთის კომპარტიის გენერალური ხაზი უნდა იყოს მასებისათვის ბრძოლა.

პარტიის ამოცანებია: მუშათა და გლეხთა მასების შეკავშირება, გამოყენება მასების უკმაყოფილებისა მიწადმფლობელი კლასისადმი, ბურჟუაზიისა და გომინდანისადმი, ბრძოლა ეროვნულ-რეფორმისტული და წვრილ ბურჟუაზიული ილუზიების წინააღმდეგ და ამ ილუზიებთან მჭიდრო დაკავშირებული მესამე პარტიის შექმნის ლოზუნგის წინააღმდეგ. მეორეს მხრით, კომპარტია უნდა ებრძოლოს ლუმპენ-პროლეტარიატის პუტჩისტურ სულიერ განწყობილებას. ჩინეთის რევოლუციის ტალღამ დიდი მარცხი განიცადა, მაგრამ იგი არ მომკვდარა და კვლავ ცოცხლობს. ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ძალ-ღონე, რომ შემდგომი რევოლუციონური ტალღის აგორებასთან ერთად მოვამზადოთ გამარჯვებით დასაგვირგვინებელი აჯანყება“.

კონგრესის შემდეგი სხდომა მოხდება 16 აგვისტოს დილით.

რკინისგზის მუშათა ლოკაუტი

ქაბული, 16 აგვისტო. კალკუტიდან მიღებული ცნობით, ლილუას რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა შეაჩერეს მუშაობა და მოითხოვეს, რომ შესრულებული იქნეს შეთანხმება უკანასკნელი გაფიცვის შეწყვეტის შესახებ. როდესაც მათ უარი უთხრეს, გაფიცულებმა წარადგინეს ახალი მოთხოვნილებები: სამუშაო ხელფასის გადიდება 25 პროცენტით, გადიდებული ჯილდო კვირა და უქმე დღეებში მუშაობისათვის, მუშების უზრუნველყოფა ბინით, ყოველწლიურად ორი კვირის შვებულების მიცემა მუშებისათვის, ყველა დათხოვნილი მუშის აღდგენა სამუშაოზე 7 დღის განმავლობაში და სხვ.

ადმინისტრაციამ ლოკაუტი გამოაცხადა, სახელოსნოებს იცავს პოლიცია (ადს).

ღამის ცნობები

ლიტვის პასუხი გოლუვკოს წერილზე

კოვნო, 16 აგვისტო. გამოქვეყნებულია ლიტვის პასუხის ტექსტი გოლუვკოს წერილზე 13 აგვისტოს თარიღით, რომელიც შეიცავდა პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის 30 აგვისტოს ჟენევაში მოწვევის წინადადებას. ლიტვის საპასუხო ნოტაში აღნიშნულია, რომ კენიგსბერგი, რომელიც იყო პირველად დასახელებული შეხვედრ პუნქტად, შეიძლება შეიცვალოს სხვა რომელიმე ქალაქით მხოლოდ იმ რეგლამენტის მიხედვით, რომელიც იქნა მიღებული კენიგსბერგის კონფერენციაზე. ამიტომ სურდა ლიტვას კონფერენციის მოწვევა კენიგსბერგში 15—20 აგვისტოს. ლიტვის ამ წინადადებაზე პასუხი ჯერ კიდევ არ მოსულა. გოლუვკოს წერილი, სადაც იგი იძლევა წინადადებას კონფერენციის მოწვევისა 30 აგვისტოს ჟენევაში, არ შეიძლება მიღებულ იქნეს მხედველობაში, რამდენადაც მას არ მიუღია პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარის ზალესკის დასტური. შემდეგ ვოლდემარასი, რომელიც აწერს ხელს ლიტვის ნოტას, საგანგებოდ სცდილობს აღნიშნოს, რომ პოლონეთის ასეთი წინადადება, თუ იგი მიიღებს ზალესკის დასტურს, ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს ლიტვის დელეგაციაზე, რადგანაც ერთა ლიგის მუშაობა, რომელიც იწყება იმავე 30 აგვისტოს, მიიპყრობს მხარეთა მთელ ყურადღებას და შეუძლებლად გახდის პოლონეთ-ლიტვის დელეგაციის სერიოზულ მუშაობას. ვოლდემარასი აცხადებს, რომ იგი დავალებულად სცნობს თავს, თუ პოლონეთის დელეგაცია აცნობებს ვოლდემარასს რა ინტერესებს პოლონეთის დელეგაცია—კონფერენციის წმინდა ფორმალური პროცედურა თუ კონფერენციის სერიოზული მუშაობა. ვოლდემარასი აცხადებს, რომ ლიტვის დელეგაცია თავის მხრივ პირველ ხარისხოვან მნიშვნელობას აკუთვნებს კონფერენციის მუშაობას, რის გამოც შეუძლებლად სთვლის კონფერენციის მუშაობას იმავე დროს, როდესაც გაიმართება ერთა ლიგის სხდომები (ადს).

იაპონიის პრესის „შეურაცხმყოფელობა“

ხარბინი, 16 აგვისტო. ამ ბოლო თვეებში იაპონიის და მასთან ერთად თეთრგვარდიელთა პრესაც მანჯურიაში გულმოდგინედ ავრცელებდენ აშკარა სიცრუეს იმის შესახებ, რომ ვითომ ბარგის მიმართულებით სწარმოებს საბჭოთა და მონღოლების ჯარების კონცენტრაცია. გუშინ და დღეს იაპონიის გაზეთები ხარბინში და თეთრგვარდიელთა მონარქისტული ორგანო „რუსკოე სლოვო“ ათავსებენ ცნობებს ბარგის ოლქში დაწყებულ „სამხედრო მოქმედების“ შესახებ. თეთრგვარდიელთა გაზეთის სიტყვით, ბარგის საზღვრებს მეტადრე მიუახლოვდა მონღოლთა ცხენოსანი რაზმები, რომელნიც აწარმოებენ შეტევას ხაილარზე. გაზეთი ამტკიცებს, რომ „მომავალ ამბებს სერიოზული მნიშვნელობა ექნებათ აღმოსავლეთ ჩინეთის დასავლეთი ხაზისათვის სადგ. ციციკარამდე. გასაკვირველია ის გარემოება, რომ იაპონიის პრესამ, რომელიც წინასწარმეტყველობდა არეულობას ამ რაიონში, გაცილებით ადრე, ვიდრე სანამ დაიწყებოდა ეს ამბები, იცოდა მათ შესახებ. არა ნაკლებ იწვევს ეჭვებს ის გარემოებაც, რომ ბარგის ამბები მოხდა იმ დროს, როცა გამწვავდა იაპონია-ჩინეთის ურთიერთობა (ადს).

პოლონეთის კონსტიტუციის გადასინჯვა

ვარშავა, 16 აგვისტო. შვებულებაში მყოფმა პრემიერმა ბარტელმა განუცხადა ოფიციოზურ გაზეთის „ეპოქა“-ს კორესპონდენტს, რომ უახლოეს დროში პოლონეთის კონსტიტუციაში უთუოდ უნდა იქნეს შეტანილი ზოგიერთი ცვლილება და რომ კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტზე მუშაობს ეგრედ წოდებული მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკი (ადს).

ბოლდუინის მოადგილე

ლონდონი, 16 აგვისტო. პრემიერ ბოლდუინის მოადგილედ მისი ლონდონში არ ყოფნის დროს, დაინიშნა ლორდ-კანცლერი ხეილშემი (ადს).

ინდოეთის კონსტიტუციის პროექტი

ლონდონი, 15 აგვისტო. ინდოეთის ყველა პარტიის მიერ დაარსებულმა კომიტეტმა გამოიმუშავა ინდოეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვით ინდოეთს უნდა მიეკუთვნოს კანადის, ავსტრალიის და სამხრეთ-აფრიკის კავშირის მსგავსი დომინიონის უფლებები (ადს).

სამხრეთ-სლავიაში

ნეტუნის კონვენციების რატიფიკაცია

ვენა, 15 აგვისტო. ნეტუნის კონვენციების რატიფიკაციის გამო სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილემ შუმენკოვიჩმა განაცხადა. ეს რატიფიკაცია ადასტურებს სამხრეთ-სლავიის მთავრობის მისწრაფებას, რომ იტალიასთან დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა. გლეხურ-დემოკრატიული კოალიცია იზიარებს პასუხისმგებლობას რატიფიკაციისათვის რადგან მისი ლიდერები ტრუმბიჩი, რადიჩი და პრიბიჩევიჩი შედიოდნენ იმ მთავრობათა შემადგენლობაში, რომლებმაც მოამზადეს კონვენცია და ხელი მოაწერეს მას. (ადს).

პრიბიჩევიჩი უარჰყოფს

ვენა, 15 აგვისტო. ბელგრადის პრესა ხაზს უსვამს იმას, რომ ოპოზიციონურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა პრიბიჩევიჩმა „ნეუე-ფრეიე-პრეს“-ის რედაქციას გაუგზავნა შესწორება იმ ინტერვიუსი, რომელიც დაიბეჭდა. პრიბიჩევიჩი აცხადებს, რომ იგი ლაპარაკობდა „მხოლოდ სამხრეთ-სლავიის ერების სრული თანასწორობაზე და არა ფედერალისტურ სახელმწიფო წყობილებაზე“.

პრიბიჩევიჩი გადაჭრით უარჰყოფს შუმენკოვიჩის განცხადებას იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობა ნეტუნის კონვენციებისათვის გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის ლიდერებსაც ეკისრებათ.

ზაგრების ოპოზიციონური პრესა კვლავ განაგრძობს კამპანიას კონვენციების წინააღმდეგ (ადს).

პროტესტი ნეტუნის კონვენციების წინააღმდეგ

ვენა, 15 აგვისტო. 14 აგვისტოს სპლიტში (დალმაციის ნავსადგური) გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ნეტუნის კონვენციების და კოროშეცის მთავრობის წინააღმდეგ. დემონსტრანტები გარეკეს ჟანდარმერიამ და სამხედრო ნაწილებმა. ბევრი დააპატიმრეს. (ადს).

საბერძნეთ-სამხრეთ სლავიის ხელშეკრულება და პოლონეთ-სამხრეთ სლავიის კონვენციები

ვენა, 15 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სკუპშჩინამ ერთხმად დაამტკიცა საბერძნეთ-სამხრეთ სლავიის ხელშეკრულება რომელიც აწესრიგებს სავაჭრო ნაოსნობას, და პოლონეთ-სამხრეთ სლავიის კონვენციები (ადს).

რადიჩის მკვლელობის თანამონაწილეებს სასამართლოს გადასცემენ

ვენა, 15 აგვისტო. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სკუპშჩინამ ერთხმად დაადგინა, სასამართლოს გადასცეს დეპუტატები პოპოვიჩი და იოვანოვიჩი. მათ ბრალდებათ მონაწილეობა სკუპშჩინაში მომხდარ მკვლელობის მოწყობაში (ადს).

საკავშირო სპარტაკიადა

ამიერ-კავკასიელები სპარტაკიადაზე

მოსკოვი, 16 აგვისტო. სპარტაკიადაზე მოხდა ამიერ-კავკასიისა და უზბეკისტანის ფეხბურთელების შეჯიბრება.

შესვენებამდე ბრძოლა უფრო ხშირად სწარმოებს უზბეკისტანელების კარებთან მათმა მეკარემ რამდენჯერმე აიცილა საფრთხე. პირველი თამაში დამთავრდა ამიერ-კავკასიელთა სასარგებლოდ (2:0).

შესვენების შემდეგ როლები შეიცვალა: უზბეკისტანელები შეტევაზე გადავიდნენ, ამიერ-კავკასიელები თავს იცავდნენ. მე-20 წუთზე უზბეკისტანელებმა ძლიერი იერიშების საშუალებით პირველი ბურთი შეაგდეს ამიერ-კავკასიელების კარებში, ხოლო 10 წუთის შემდეგ—მეორე ბურთი. კანონიერი დროის გასვლის გამო მსაჯმა მისცა დამატებითი დრო საბოლოო შედეგის გამოსარკვევად. მაგრამ გამწვავებულმა ბრძოლამ, რომელიც განსაკუთრებულის სისწრაფით ვითარდებოდა, შედეგი არ გამოიღო და თამაში დამთავრდა 2:2. ამგვარად, პირველობის საკითხი არ გადაწყვეტილა და შეჯიბრება ისევ გაიმართება.

ამიერ-კავკასიელთაგან განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ თავდამსხმელთა მარჯვენა ფრთა, ცენტრი, ნახევარმცველები და გუნდის კაპიტანი ჟორდანია. უზბეკისტანელების მხრივ კარგად თამაშობდა მეკარე ჩეპიშევი და ყველა მცველი.

გიმნასტიკაში შეჯიბრების პირველი ორი დღის შემდეგ ამიერ-კავკასიამ დაიჭირა მცირე ადგილი. ხიშტებით ფარიკაობაში ამიერ-კავკასიელმა ანტონოვმა დაიჭირა მეორე ადგილი. ფარიკაობაში 3 დღის განმავლობაში შეჯიბრების შემდეგ ამიერ-კავკასიამ დაიჭირა მეორე ადგილი.

ქალთა შეჯიბრებაში (რბენა 80 მეტრზე) ამიერ-კავკასიის გუნდმა ოვსიანიკოვის, ტიმოფეევის და ფომინას შემადგენლობით დაიჭირა 12 ადგილი.

საფინალო შეჯიბრებაში—ადგილიდან მანძილზე გადახტომაში— ამიერ-კავკასიელმა ზალდასტანიშვილმა დაიჭირა მეექვსე ადგილი.

ველოსიპედისტების შეჯიბრებაში ამიერ-კავკასიელი ცვერიანოვი ლიდერ მარკევიჩთან ერთად უკანასკნელ ადგილზე დარჩა. ტენისში შეჯიბრების დროს ამიერ-კავკასიამ მოუგო ბელორუსიას (6:5). კალათბურთში ვაჟების შეჯიბრების დროს ამიერ-კავკასიამ მოუგო საფრანგეთს (34:8). კალათბურთში ქალების შეჯიბრების დროს ამიერ-კავკასიამ მოუგო საფრანგეთს (15:2).

მე-5 დღე

მოსკოვი, 16 აგვისტო. გაიმართა შეჯიბრება ცურვაში ქალებისათვის 1.000 მეტრზე. დისტანცია პირველად გაიარა ხატუნცევამ (მოსკოვი) 19 წ. და 23 წამის განმავლობაში მოხდა აგრეთვე ვაჟების შეჯიბრება: 300 და 100 მეტრზე გვერდით ცურვაში. გამარჯვებული 300 მეტრზე ცურვაში გამოვიდა შუმინი (ლენინგრადი)—4 წუთი 19 წამი და ტოლმაჩევი (ციმბირი). 100 მეტრი (ვეტერანებისათვის) მიიგო ბოიკომ (უკრაინა), მეორე ადგილი დაიჭირა ფეტისოვმა (ჩრდილო კავკასია).

გაიმართა ველოსიპედისტების შეჯიბრება 50 კილომეტრზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო მოსკოვის, უკრაინის, ამიერ-კავკასიის, ცენტრალური სამიწათმოქმედო რაიონის და საფრანგეთის 12 ველოსიპედისტმა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება ამ დისტანციაზე მიიღო გრიგოლ კოზლოვმა, რომელმაც მიაღწია ახალ საკავშირო რეკორდს—14 წ. 28,8 წამს ძველი რეკორდი ეკუთვნოდა მასვე და უდრიდა 46 წუთს და 22 წამს. მეორე ადგილი დაიჭირა იპოლიტოვმა, მესამე —კოსტილანსკიმ მეოთხე—სტანიმ. ყველანი ისინი მოსკოვის წარმომადგენლები არიან. გრილანჟემ (საფრანგეთი) მე-8 ადგილი დაიჭირა (ადს).

მოსკოვი, 16 აგვისტო. 200 მეტრზე რბენაში კორინკომ (შორეული აღმოსავლეთი) დისტანცია გაიარა 222 წამ. წუთში, რაც ახალ საკავშირო რეკორდს წარმოადგენს. 1.000 მეტრზე რბენაში პირველი ადგილი დაიჭირა მაკსუნომა (ლენინგრადი), მეორე ადგილი ისოხოლამ (ფინეთი), მესამე—ვანსენმა (საფრანგეთი); ტიმზრაუმ (ინგლისი) მეხუთე ადგილი დაიჭირა (ადს).

საქმე ქალის წამების შესახებ

ალი-ბაი-რომლი, 16 აგვისტო. 14 აგვისტოს სალიანის მაზრის სოფელ ალი-ბაირამლიში აზერბეიჯანის უზენაეს სასამართლოს სესია შეუდგა დურუმ გეიდარ-კიზის წამების საქმის გარჩევას.

ამ საქმის გამო სამართალში მიცემულია მედუქნე მამედ-გული-სადიხოვი, მისი ცოლი გიულუ უსეინ ალი-კიზი, ძმა და შვილი, კარატუგაევის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ნებიევი და ალი-ბაირამლის დაირის თავმჯდომარე ოღლუჯევი.

დაბარებულია 23 მოწმე. მიუხედავად ცხარე მუშაობისა მინდვრად, ახლო-მახლო სოფლებიდან მრავალი გლეხი მოვიდა საქმის გარჩევაზე დასასწრებლად.

საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით, საქმის მდგომარეობა ასეთია:

კულაკმა მამედ გული სადიხოვმა მოისურვა 1924 წელს გარდაცვლებული თავისი ძმის ქონების ხელში ჩაგდება. ამისთვის სარდაფში ჩაამწყვდია ქონების კანონიერი მემკვიდრე გარდაცვლებულის ქალიშვილი დურუმ. მალულად გაშიშვლებული დურუმი სადიხოვმა მიაბა ბოძზე ფუთიანი ჯაჭვით ბნელ სარდაფში, სადაც დურუმმა ამ მდგომარეობაში ოთხი წელიწადი გაატარა. ამ დროის განმავლობაში დურუმს გამუდმებით სცემდნენ და დასცინოდნენ სადიხოვი, მისი ძმა, ცოლი და შვილი კომკავშირელი.

ეს ამბავი იცოდნენ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ მენტიევმა და დაირის თავმჯდომარემ ოღლუჯევმა (უკანასკნელი პარტიის წევრია), მაგრამ მათ არავითარი ზომები არ მიიღეს სადიხოვის წინააღმდეგ.

საქმე გამოაშკარავდა ადგილობრივად წყალსაქაჩავის მექანიკოსის მოჰკარიოვის მეოხებით ამ უკანასკნელმა შემთხვევით გაიგო დურუმის წამების ამბავი და ყოველივე იუსტიციის სახალხო კომისარიატს აცნობა.

წამებამ გამოიწვია დურუმის დროებითი სიგიჟე. დაავადება, რომელმაც ამჟამად თითქმის სრულებით განვლო.

დაკითხვის დროს მამედ-გული სადიხოვმა თავი დამნაშავედ არ სცნო. მისი სიტყვით დურუმი შეშლილია, იგი დროგამოშვებით მირბოდა სახლიდან, ხევდა ტანისამოსს და სხვა. დურუმი ორჯერ გათხოვეს, მაგრამ, სადიხოვის სიტყვით, ორივე ქმრებმა ცუდი ყოფაქცევის გამო, თავი მიანება.

შემდეგ სადიხოვი მოუთხრობს სასამართლოს, რომ მას დაჰყავდა დურუმი სამკურნალოდ მკითხავებთან, მოლებთან და ექიმებთანაც კი.

რაც შეეხება დურუმის მიჯაჭვას ბოძზე, სადიხოვმა სთქვა, რომ, მართალია, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დურუმი მივაბით ბოძზე, მაგრამ სარდაფში არ ჩაგვიმწყვდევია.

სასამართლოს შეკითხვაზე, რით აიხსნება ის გარემოება, რომ ბოქლომი, რომელიც ჯაჭვს ედო, იმდენად დაჟანგებული აღმოჩნდა, რომ შეიქნა მისი დამსხვრევა, სადიხოვმა პირდაპირი პასუხი ვერ მისცა.

15 აგვისტოს დილით გაგრძელდა სადიხოვის დაკითხვა. სადიხოვმა შეცვალა პირველი თავისი ჩვენება და განაცხადა, რომ ერთხელ წყალდიდობის დროს დურუმი მივაბი ჯაჭვით, რადგანაც მეშინოდა, წყალში არ გადავარდნილიყო.

— განა თქვენთვის ამ დროს საშიში არ იყო სახლში ყოფნა?—შეეკითხა თავმჯდომარე.

— ჰო, საშიში იყო.

— მაშასადამე, მიჯაჭვული დურუმ წყალში დახრჩობა მოელოდა?

სადიხოვი, რომელიც არ მოელოდა ასეთ შეკითხვას, დაიბნა. მან გაარკვეული პასუხი ვერ მისცა.

სასამართლოს შეკითხვაზე, როდის და რამდენჯერ მიაბა მან დურუმი ჯაჭვით, სადიხოვი არეულ პასუხებს იძლევა.

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა სადიხოვის 18 წლის ვაჟი სადიხი. მან უარჰყო თავისი მონაწილეობა დურუმის წამებაში. მისი სიტყვით, დურუმს სულ ორჯერ მიაბეს ჯაჭვით ბოძზე: პირველად—ერთი დღით, ხოლო მეორედ—ერთი კვირით. მამის მოქმედებაში იგი არ ერიოდა, რადგან ცემისა ეშინოდა. იმის შესახებ, რომ დურუმი შეშლილია და ამიტომ საჭირო იყო მისი მიჯაჭვა სადიხის სიტყვით, სოფლის საბჭოს და დაირის თავმჯდომარეებიც კი ლაპარაკობდნენ.

სხვადასხვა კითხვაზე სადიხი დაიბნა. მისი ახლანდელი ჩვენება ეწინააღმდეგება გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას (ადს).

შემოდგომის თესვის კამპანიისათვის

ამიერ-კავკასიის ა. ლ. კომკავშირის ყველა ორგანიზაციას

შემოდგომის თესვის კამპანიას, რომელიც მიმდინარე წელს ტარდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ეკონომიურად, არამედ პოლიტიკურადაც. ამ კამპანიის გადამწყვეტი მომენტებია: გლეხობის და ახალგაზრდობის ფართო მასების საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობა თესვის კამპანიის ამოცანებისადმი, სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაშლა ნათესის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის სასოფლო მეურნეობის მაქსიმალური კოლექტივიზაციის გატარებით, არსებულ გაერთიანებათა გადიდება, თავის დროზე და რაციონალურად განაწილება როგორც სათესლე მასალის, ისე სასოფლო - სამეურნეო მანქანებისა და იარაღის, განსაკუთრებით მექანიკური წევითი ძალისა.

მთავრობის ღონისძიებებს (სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება და საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის სადირექტივო წერილი— „პრავდა“ 22 და 27 ივლისის თარიღით) მარცვლეულის და ტექნიკური კულტურების საშემოდგომო ნათესის (ბამბა შირბახტი, თამბაქო კენაფი, მატყლი ხორბალი; ქერი და სხ.) კონტრაქტაციის შესახებ საშემოდგომო თესვის კამპანიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვთ გლეხობისათვის საჭირო დახმარების აღმოჩენის საქმეში—სოფლის მეურნეობის სწრაფი ტემპით აღორძინებისა და ნათესის სივრცის გადიდებისათვის, მეურნეობის მოსავლიანობისა და სამეურნეო ეფექტის ზრდისათვის და აგრეთვე პროდუქციის გასაღების საქმის ჯეროვან ნიადაგზე დაყენებისათვის.

მარცვლეული და ტექნიკური კულტურების ნათესის კონტრაქტაცია ხელს უწყობს როგორც მთელი სოფლების, ისე ცალკე საწარმოო ჯგუფების ნათესთა გაერთიანებების შეკავშირებას და მანქანების მიწოდებას ამ გაერთიანებათათვის, განსაკუთრებით რთული მანქანების (სალეწი მანქანები, ტრაქტორები) მიწოდებას შეღავათიან პირობებში, ავანსების განაწილებას მთესველთა შორის, უფრო კი სოფლის ღარიბთა შორის, ხელსაყრელ პირობებში, აგროტექნიკური დახმარების აღმოჩენას შეღავათიან პირობებში იმ მეურნეობათათვის, რომლებსაც ეხება კონტრაქტაცია, სათესლე ფონდის გამოყენებას კონტრაქტაციის უზრუნველსაყოფად და იმ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის მეურნეობის აღორძინებას.

კონტრაქტაციის წარმატებით გატარება ხელს შეუწყობს მეურნეობის განვითარების მოწესრიგებას და მის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე და გაანთავისუფლებს ღარიბ და საშუალო გლეხობას კულაკის გავლენისაგან.

ამიერ-კავკასიის პირობებში, სადაც თესლბრუნვის 75 პროცენტს საშემოდგომო ნათესი შეადგენს, საშემოდგომო თესვის, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების თესვის კამპანიას და საშემოდგომო ნათესების კონტრაქტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

კომკავშირი და გლეხთა ახალგაზრდობა, როგორც ენერგიული ცოცხალი ძალა სოფლად, მთელი ძალ-ღონით და ენერგიით უნდა დაეხმაროს პარტიას და მთავრობას როგორც თესვის კამპანიის, ისე საშემოდგომო ნათესის კონტრაქტაციის გატარებაში.

საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძლევა შემდეგ კონკრეტულ წინადადებებს:

1. კომკავშირის მთელმა მასამ და გლეხურმა ახალგაზრდობამ უნდა შეიგნონ ის მნიშვნელობა, რომელიც თესვის კამპანიისა და ნათესების კონტრაქტაციას აქვს სოფლის მეურნეობისა და სახელმწიფოსათვის და კრებებისა და პრესის საშუალებით უნდა ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია.

2. კომკავშირმა აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს, რათა მათ მოამზადონ ყველა საჭირო ორგანიზაციული ღონისძიება და უზრუნველყონ სათესლე მასალით მოსახლეობა, პირველ რიგში, კოლექტიური მეურნეობანი, ღარიბი გლეხობა, მცირე შეძლების მქონე საშუალო გლეხები და აგრეთვე ის ახალგაზრდობა, რომელსაც თესლი სჭირდება.

3. რადგან მოსახლეობას არა ჰყავს საკმაო მუშა-საქონელი, ამიტომ ყურადღება მიექცეს მექანიკური წევითი ძალის მაქსიმალურ გამოყენებას (ტრაქტორების მაქსიმალურ დატვირთვას).

4. უნდა შევეცადოთ, რომ ადგილობრივი გამქირავებელი პუნქტები სრული დატვირთვით მუშაობდნენ.

5. საჭიროა თვალყურის დევნება, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები თავის დროზე და რაციონალურად ნაწილდებოდეს. სასოფლო-სამეურნეო მანქანებით პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იქნენ კოლექტიური მეურნეობანი, ღარიბ გლეხთა არტელები, სამანქანო ამხანაგობები, ღარიბ გლეხთა მეურნეობანი და ღარიბი ახალგაზრდობის კოლმეურნეობანი, არტელები, სამანქანო ამხანაგობანი და მეურნეობანი.

6. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თესლის გაწმენდას თესლის საწმენდი პუნქტების საშუალებით. ამ საქმეში, უწინარეს ყოვლისა, ჩაბმულ უნდა იქნენ კომკავშირელები.

7. საჭიროა თვალყურის დევნება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობისათვის და მათ მიერ პარტიის დირექტივების შესრულების შემოწმება.

8. კომკავშირის უჯრედებში უნდა ჩატარდეს კამპანია ხვნა-თესვისათვის კოლექტივებისა და გაერთიანებათა მოსაწყობად მომავალ საშემოდგომო თესვის კამპანიაში.

9. არსებულ გაერთიანებებში (კოლმეურნეობანი, [illegible] ბანი, არტელები, სამანქანო ამხანაგობანი და სხ.) ჩაბმულ უნდა იქნენ ღარიბი გლეხების და საუკეთესო საშუალო გლეხური ახალგაზრდობის, უწინარეს ყოვლისა კი კომკავშირელების რაც შეიძლება მეტი მეურნეობანი. დამოუკიდებელ კომკავშირელ მეურნის შეუსვლელობა გაერთიანებაში (თუ ასეთი არსებობს სოფლად) ეწინააღმდეგება კომკავშირის გადაწყვეტილებებსა და ამოცანებს.

10. კომკავშირის ცალკე უჯრედებსა და სარაიონო ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ დავალება, რომ აუცილებლად დაითესონ (ამა თუ იმ რაიონის თესვის კამპანიის გეგმის მიხედვით) ხორბლეულით და ტექნიკური კულტურებით განსაზღვრული სივრცე, თვითეული რაიონის მეურნეობის ხასიათთან შეფარდებით. ამასთანავე უნდა შევეცადოთ, რომ ხვნა-თესვა აწარმოონ კოლექტიურად, ხოლო სათანადო ორგანოებმა მიაწოდონ მათ თესლი, სასოფლო-სამეურნეო იარაღი და გაუწიონ აგრონომიული დახმარება.

11. დახმარება უნდა გაეწიოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანოებს მთესველებთან ხელშეკრულების დადებისა, თესლისა და კრედიტის თავის დროზე მიწოდებისა და კონტრაქტაციისათვის ავანსების განაწილების საქმეში.

12. უნდა შევეცადოთ კომკავშირელთა ნათესების მაქსიმალურ კონტრაქტაციას.

13. კომკავშირელებმა პირადი მაგალითით უნდა გასწიონ აგიტაცია გლეხებში, რომ მათ სოფლის მეურნეობაში იხმარონ გაწმენდილი და დახარისხებული თესლი, სასუქი და სთესონ მწკრივად.

14. სოფლის საზოგადოებრიობის დახმარებით კონტროლი უნდა გაეწიოს იმას, თუ რამდენად შეეფერება მთესველების მიერ ავანსის დახარჯვა მათ მიერ ნაკისრ იმ ვალდებულებას, რომელიც შეეხება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დამუშავების მეთოდებს და აგრო-ტექნიკურ ღონისძიებათა გამოყენებას.

15. უნდა მოეწყოს და გაფართოვდეს სასოფლო-სამეურნეო წრეების ქსელი ამა თუ იმ სოფლის ან რაიონის მეურნეობათა ტიპებთან შეფარდებით და ეს წრეები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ შესაფერისი ხელმძღვანელებით და საჭირო ლიტერატურით.

16. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიურ აგრო-ტექნიკურ პროპაგანდას, სხვადასხვა წრეების დაარსებას, კრებებისა და საუბრების მოწყობას სოფლის სამკითხველოებში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხებზე. სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქებას კედლის გაზეთებში და აგრონომების და სოფლის კულტურული ძალების (მასწავლებლების, ექიმების და სხ.) ფართოდ გამოყენებას.

17 კომკავშირის უჯრედებმა უნდა იკისრონ კრებებისა და სპეციალური საწარმოო თათბირების მოწყობა სამანქანო ამხანაგობებთან, კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან. ეს კრებები და თათბირები შეადგენენ და განახორციელებენ თესვის გეგმებს და გაანაწილებენ ტრაქტორებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამანქანო ამხანაგობების გეგმის შედგენას. აღნიშნულმა ამხანაგობებმა უწინარეს ყოვლისა უნდა დაამუშაონ თავიანთი ღარიბი წევრები.

18. კომკავშირის ორგანიზაციებმა შემოდგომის თესვის კამპანიაში უფრო მეტად უნდა განამტკიცონ ღარიბი გლეხებისა, ბოგანოებისა და საშუალო გლეხების ბლოკი სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოწესრიგებული გამოყენებით და კონტრაქტაციაში ნათესების კოლექტიური დამუშავებით.

19. თესვის კამპანიის განვითარებისათვის წარმოებული მუშაობის ერთ-ერთ მთავარ სახეს წარმოადგენს აგრო-კულტშეტევა, კომკავშირელების გალაშქრება და სხ. მაგრამ აგრო-კულტშეტევას და გალაშქრებას თესვის კამპანიაში უფრო კონკრეტული და გეგმიანი ხასიათი უნდა ჰქონდეს, მაგალითად: აგრონომიული გალაშქრება თესლის გაწმენდისათვის, სამელიორაციო არხების გასწორება, საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება, გალაშქრება უყაირათობისა და უგზოობის წინააღმდეგ, გალაშქრება აგრონომიული უცოდინარობის წინააღმდეგ და სხ. კონკრეტიული საკითხები.

20. კომკავშირის კომიტეტმა, თვითეულმა რესპუბლიკის, მაზრისა და რაიონის თესვის კამპანიის ამოცანებთან შეფარდებით უნდა დასახონ ამ დირექტივის პრაქტიკული განხორციელების გეგმა და შეუდგნენ მის შესრულებას არა უგვიანეს 1 სექტემბრისა.

მუშაობის მსვლელობისა და მდგომარეობის შესახებ სისტემატიურად უნდა აცნობონ საკ. ა. ლ. კ. კ. ა.-კ. სამხარეო კომიტეტს:

საკ. ა. ლ. კ. კ. ა-კ. სამხ. კომიტეტი

პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ*)

(25 წლისთავის გამო)

ლიგის ყრილობის უკანასკნელი სხდომის დღეს, პლეხანოვმა, რომელმაც დაინახა, რომ უმცირესობაზე არავითარი გაფრთხილება და არავითარი მუქარა არ მოქმედობს, განუცხადა ლენინსა და ლენგნიკს, რომ „მას არ შეუძლია ესროლოს თავისიანებს“, რომ „უმჯობესია შუბლში ტყვია, ვიდრე განხეთქილება“, რომ „საჭიროა მაქსიმალური პირადი დათმობანი“—და როგორც ამას ამხ. ლენინი ადასტურებს თავის 1914 წ. 20 თებერვლის წერილში („საზღვარგარეთული ლიგის მეორე ყრილობის ოქმების კომენტარიებში“) და როგორც ამას ამოწმებს მარტოვიც თავის „ბრძოლაში საალყო წესებთან რუსეთის ს.-დ. მ. პარტიაში“ (გვ. 45) პლეხანოვი იმუქრებოდა რედაქციიდან გამოსვლით, თუ ლენინი და ცეკა არ დასთანხმდებოდნენ უმცირესობის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

ლენინი შეეცადა ერთ თავის წერილში შეეყენებინა პლეხანოვი ამ განზრახვის განხორციელებიდან.

მაგრამ, როგორც ჩანს, პლეხანოვს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი შეთანხმება უმცირესობასთან, თუგინდ ამისათვის საჭირო გამხდარიყო ჩამოცილება უმრავლესობისაგან. პლეხანოვმა, როგორც ამას ამტკიცებს მისი ფრაზა 2 ოქტომბრის წერილში ლენინისადმი: „მათ (ე. ი. მარტოვის მომხრეებმა) ჯერჯერობით ვერაფერი გარკვეული ვერ მითხრეს“-ო[1]).—იმავე დღეს, როცა ლენინისაგან ზემოხსენებული გამაფრთხილებელი წერილი მიიღო, მოლაპარაკება დაიწყო უმცირესობასთან მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ. ეს მოლაპარაკება გაგრძელდა 2 ნოემბერს და 3 ნოემბერს სტაროვერმა (პოტრესოვმა) უმცირესობის სახელით „გარკვეული“ მოთხოვნილება წარუდგინა პლეხანოვს.

როცა ლენინმა დაინახა, რომ პლეხანოვს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უმცირესობასთან შეთანხმება და დარწმუნებულია, რომ ვითომ ამით ბოლოს მოუღებს პარტიულ უთანხმოებას, გადასწყვიტა გამოსულიყო [illegible], პირველ ნოემბერს მან გადაეცა პლეხანოვს ოფიციალური განცხადება რედაქციიდან გასვლის შესახებ.

* *

„გარკვეული პირობები“, რომლებიც ოპოზიციამ წარუდგინა პლეხანოვს ასეთი იყო:

1) მოლაპარაკება სწარმოებს ერთის მხრივ ცენტრალურ ორგანოს რედაქციასა და ც. კ. და მეორეს მხრივ ყრილობის დადგენილების გამო წარმოშობილ ოპოზიციას შორის.

2) აღდგენილ უნდა იქნეს „ისკრა“-ს ძველი რედაქცია.

3) ც. კ. შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნეს ოპოზიციის წევრთა განსაზღვრული რაოდენობა; სისწორით ეს რაოდენობა გამორკვეული იქნება მოლაპარაკების დროს. მოლაპარაკების დაწყებიდან ყოველგვარი კოოპტაცია ცეკაში უნდა შეწყდეს.

4) საბჭოში ორი ადგილი ეთმობა ოპოზიციის წევრებს.

5) ლიგის ყრილობა და მისი დადგენილებები კანონიერად უნდა იქნას ცნობილი. ლიგის ადმინისტრაციაში შეყვანილი იქნება მისი უმცირესობის ერთი წევრი.

ამრიგად, როცა მარტოვის მომხრეებმა დაინახეს პლეხანოვის მერყეობა, მათ მადა გაეზარდათ და გარდა „ისკრა“-ს ძველი რედაქციის აღდგენისა (მეორე ყრილობის დადგენილების წინააღმდეგ) მოითხოვეს „ოპოზიციის წევრთა განსაზღვრული რაოდენობის შეყვანა ცეკაში“ (და არა მხოლოდ ორის, როგორც წინედ), ე. ი. ცეკას ერთბაშად დაპყრობა განიზრახეს.

ლენინი, რომელიც ც. კ. თვლიდა უკანასკნელ პოზიციად, საიდანაც კიდევ შეიძლებოდა პლეხანოვის უკანდახევის გამო გათავხედებული ოპოზიციის იერიშების მოგერიება და აგრეთვე ერთგვარი ზეგავლენის მოხდენა მარტოვის ხელში გადასულ რედაქციაზე იმ მხრივ, რომ უკანასკნელს მაქსიმალურად დაეცვა ყრილობის დადგენილებები, ყველა ზომებს იღებს, რომ საზღვარი დაუდვას მარტოვის მიმდევრების მადაგახსნილობას. (ამ პერიოდში ლენინი უკვე ცეკაში იყო მიწვეული კოოპტაციით) მოუწოდებს რუსეთში მყოფ ცეკას წევრებს—ნოსკოვსა და კრჟიჟანოვსკის სასწრაფოდ ჩავიდნენ ჟენევაში, რომ ახლო მონაწილეობა მიიღონ შინაპარტიულ ბრძოლაში.

ლენინის ყველა იმდროინდელი წერილები რუსეთელ ამხანაგებისადმი გამსჭვალულია, როგორც ყოველთვის, უდიდესი ზრუნვით პარტიის მომავალი ბედისათვის.

„ძვირფასო მეგობრებო,—სწერს ის ამხ. კრჟიჟანოვსკის 1903 წ. 4 ნოემბერს,—შენ ვერც კი წარმოიდგენ რა ამბები მოხდა აქ.. საქმე იმაშია, რომ პლეხანოვმა ლიგის ყრილობაზე მომხდარ სკანდალების შემდეგ უცებ შეიცვალა გზა და დაგვღალატა მე, კურცი (ფ. ვ. ლენგნიკი) და ყველანი ჩვენ. საშინლად, სამარცხვინოდ ახლა ის წავიდა, რომ უჩვენოდ [illegible] მარტოვის მიმდევრებს, რომლებიც ხედავენ რა, რომ ის შეუშინდა განხეთქილებას, მოითხოვენ ორჯერ და ოთხჯერ მეტს, მოითხოვენ არა მარტო ექსცუბებს, არამედ თავისიანების მიღებას ცეკაში (და არც ამბობენ რამდენს და ვის), ორი თავისიანის მიღებას საბჭოში... პლეხანოვი სამარცხვინოდ შეუშინდა განხეთქილებას და ბრძოლას! მდგომარეობა საშინელია, მტრები ზეიმობენ და გათავხედდნენ, ჩვენები აღშფოთებული არიან [1]).

მეორე წერილში, რომელიც დაწერილია 5 ნოემბერს, ლენინი სწერს [2]):

„ჩემი პირადი აზრით—ყოველგვარი დათმობა ცეკას მხრივ იქნებოდა დამამცირებელი და სრულიად გაუტეხდა სახელს ახლანდელ ცეკას. საჭიროა, რომ ლანი (გ. მ. კრჟიჟანოვსკი) და ნილი (ვ. ა. ნოსკოვი) გამოემგზავრონ აქ, რაც შეიძლება ჩქარა, საქმე ძალიან ცუდად არის—და თუ ცეკა მზად არ არის სასტიკ ბრძოლისთვის, ბოლომდე ბრძოლისთვის—სჯობს ყველაფერი ერთბაშად დავთმოთ. ასეთი დემორალიზაციის დაშვება, ასეთ შეთანხმებებზე წასვლა ნიშნავს მთელი საქმის დაღუპვას“.

მესამე წერილში, რომელიც კრჟიჟანოვსკის 8 ნოემბერს გაუგზავნა ლენინმა ჩვენ ვკითხულობთ [3]):

„ერთხელ კიდევ დაბეჯითებით გთხოვ ჩამოხვიდე, სწორედ შენ, და შემდეგ კიდევ ერთი-ორი ცეკადან. ეს აუცილებლად და დაუყოვნებლივ საჭიროა. პლეხანოვმა გვიღალატა ჩვენ, აღშფოთება ჩვენს ბანაკში საშინელია; ყველანი აღშფოთებული არიან, რომ ლიგაში მომხდარ სკანდალების გამო პლეხანოვი დასთანხმდა პარტიული ყრილობის დადგენილებათა გადაკეთებაზე... სახეში იქონიე, რომ მე ახლა ვიბრძვი არა ცენტრ. ორგანოს რედაქციისათვის, მე სავსებით ურიგდები იმას, რომ პლეხანოვმა ხუთეული შეადგინოს უჩემოდ. მაგრამ მე ვიბრძვი ცეკასთვის, რომლის ხელში ჩაგდებას აპირებენ მეუმცირესენი პლეხანოვის სამარცხვინო ღალატის შემდეგ... ბრძოლა ცენტრალურ ორგანოს რედაქციისათვის წაგებულია უიმედოთ პლეხანოვის ღალატის გამო, მშვიდობიანობის ერთად-ერთი შანსია: შევეცადოთ მივცეთ მათ ცენტრ. ორგანოს რედაქცია და შევინარჩუნოთ ცეკა“.

თუმცა, როგორც ვხედავთ, პლეხანოვი მზად იყო დაეკმაყოფილებინა უმცირესობის მოთხოვნილებები, მაგრამ „ყრილობის დადგენილებათა გადაკეთება“ იმდენად სახიფათო რამ იყო, რომ პირველ ხანებში იგი ერიდებოდა მთელი პასუხისმგებლობის მიღებას თავის თავზე და მოითხოვდა ცეკას დასტურს. ცეკასაგან პასუხის მიღება კი გაჭიანურდა კრჟიჟანოვსკის ჟენევაში ჩასვლის მოლოდინში.

ამ მომენტამდე კი პლეხანოვი ამზადებდა ნიადაგს, რომ გაემართლებინა დათმობებზე წასვლა უმცირესობის მიმართ და თავისი უკან დახევა. წერილი «Чего не делать», რომელიც პლეხანოვმა „ისკრა“-ს № 52-ში მოათავსა (ეს ნომერი მხოლოდ პლეხანოვის რედაქტორობით გამოვიდა), უკან დახევის გამართლების ცდასთან ერთად წარმოადგენდა რევიზიას იმ პოლიტიკისას, რომელსაც ლენინთან ერთად წინად იცავდა პლეხანოვი.

განა სხვაფრივ შეიძლება შეფასებული იქნეს ფრაზა: „ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ ამჟამად არ უნდა ვიყოთ მკაცრი იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც ერთ დროს იხრებოდენ „ეკონომიზმისაკენ“... მართალია, ჩვენ ახლაც კიდევ გვაქვს სადაო საკითხები მრავალ მათგანთან: უთანხმოებანი სავსებით არ გამქრალან. მაგრამ ახლა ამ უთანხმოებათ არა აქვთ იმდენად არსებითი მნიშვნელობა, რომ ღირდეს აღელვება და აშლა მათ გამო“?

ასეთი არგუმენტებით კი სავსე იყო პლეხანოვის წერილი. რუსეთის ლიბერალიზმის მამათმთავარი ყოფილი მარქსისტი სტრუვე თავის „ოსვობოჟდენიე“-ში პლეხანოვის ამ „ფერისცვალებას“ მიესალმა წერილით „Знаменательный поворот“. პლეხანოვმა ამაზე გაბრაზებით უპასუხა, რომ მას „ვერ გაუგეს“, მაგრამ მისმა შემდგომმა ევოლუციამ ნათლად დაამტკიცა, რომ მას მშვენივრად „გაუგეს“. მისი „რა არ უნდა ვქნათ“ მართლა რომ მიჯნა შეიქნა მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში, გადაიქცა „ღირსშესანიშნავ მობრუნებათ“ ოპორტუნისტულ ჭაობისაკენ.

მაგრამ პლეხანოვი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ „გადაირბინა“ უმცირესობის მხარეზე [1]) და თავის გუშინდელ მოწინააღმდეგეებთან ერთად შეუდგა ნამდვილი შეთქმულების მოწყობას ლენინისა და უმრავლესობის წინააღმდეგ. აქსელროდისა და მარტოვის საზღვარ-გარეთ გამოცემული წერილები ნათელს ფენენ იმ მოლაპარაკებას, რომელსაც უმრავლესობისაგან მალულად აწარმოებდა პლეხანოვი მარტოვის ჯგუფთან.

17 ნოემბრის (1903 წ.) წერილში აქსელროდისადმი მარტოვი შემდეგ სწერს იმ თათბირის შესახებ, რომელიც მას პლეხანოვთან ჰქონდა იმ დღეს:

„დღეს ჩვენ პლეხანოვთან ერთად ვარჩევდით საკითხს: როგორ მოვიქცეთ? საქმე იმაშია, რომ ლენინის მომხრენი გაძლიერებით ამხედრებენ „ხალხს“ პლეხანოვის წინააღმდეგ. რომელსაც ბრალს დებენ იმაში, რომ მან ყრილობის „სურვილის“ წინააღმდეგ სურს რედაქციაში შეიყვანოს მარტოვის მიმდევრები. ამით უნდა შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ც. კ. შემდგომი ბრძოლისათვის,—ლენინის მეთაურობით, —„ისკრასთან“. პლეხანოვმა დაჰკარგა ცეკას მხრივ დათმობების იმედი. რომ ხელი შეუშალოთ ლენინის განზრახვებს, ჩვენ ასეთი გეგმა შევიმუშავეთ: როგორც კი აქ ჩამოვა ც. კ. წევრი (მას ამ დღეებში მოელიან), პლეხანოვი აცხადებს ცეკაში, რომ ლენინის მიერ უარის თქმისა და არსებულ მძიმე პირობების გამო, ის, პლეხანოვი, არ იღებს თავის თავზე ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას 4 წევრის კოოპტაციისათვის, რაც აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, და ამიტომ სურს გაიგოს ცეკას აზრი. ორში ერთი: ან ცეკამ, თუ სურს, რომ „ისკრა“ გამოდიოდეს, უნდა უპასუხოს, რომ არსებულ პირობებში კოოპტაციას საჭიროდ აღიარებს და მაშინ პლეხანოვს ეხსნება პასუხისმგებლობა და ლენინი კარგავს ჩვენთან ბრძოლის ერთ იარაღს. ან ცეკა მოერიდება პასუხს ანდა პირდაპირ განაცხადებს, რომ ამ და ამ პირების კოოპტაცია არასასურველია და მაშინ ჩვენ გვრჩება ასეთი გამოსავალი: პლეხანოვი აქვეყნებს „ისკრა“-ში თავის მოლაპარაკებას ცეკასთან და მიმართავს კომიტეტებს ასეთივე კითხვით იმ ანგარიშით, რომ მათგან ორი თვის ვადაში მიიღოს პასუხი: პასუხის მიღებამდე ჩვენ შევდივართ რედაქციაში და თუ პასუხი უარყოფითი დარჩა, გავდივართ იქიდან [1]).

* *

დაბოლოს კრჟიჟანოვსკი, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა ლენინი, ჩავიდა ჟენევაში. 25 ნოემბერს შესდგა ცეკას სხდომა, რომელსაც დაესწრნენ: ლენინი, ლენგნიკი, კრჟიჟანოვსკი და გალპერინი [2]). ამ სხდომაზე შემუშავებულ იქნა პასუხი—ულტიმატუმი უმცირესობის წინადადებებზე. თუმცა ლენინი მომხრე იყო უფრო მკაცრი მოთხოვნების წარდგენისა ოპოზიციისათვის [3]), მაგრამ ცეკას წევრთა უმრავლესობამ საჭიროდ სცნო უფრო მეტი ლმობიერების გამოჩენა და ცეკას პრესტიჟის შეუბღალავად მაქსიმალურ დათმობებზე წასვლა. ცეკა თანხმდებოდა „ოთხის“ კოოპტაციაზე რედაქციაში, უმცირესობის ორი წარმომადგენლის შეყვანაზე ცეკაში და ერთი ადგილის დათმობაზე პარტიის საბჭოში.

ცეკას ამ პასუხის მიღების შემდეგ პლეხანოვმა გადასწყვიტა ესარგებლნა თავისი უფლებით (რედაქციაში კოოპტაციის უფლება ყრილობამ ცენტრ. ორგანოს რედაქტორებს მიანდო) და იმავე დღეს (25 ნოემბერს) „ერთხმად“ იყო კოოპტაცია: მარტოვს, პოტრესოვს, აქსელროდს და ზასულიჩს. პლეხანოვის ეს ნაბიჯი მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ მას სურდა გაეადვილებინა უმცირესობისათვის შემდგომი ბრძოლა ცეკას წინააღმდეგ.

ამრიგად მარტოვის ჯგუფმა მიზანს მიაღწია: „პლეხანოვის მიერ მიცემული პასპორტით“ ის შევიდა „ისკრა“-ს რედაქციაში. ეს მოხდა „ისკრა“-ს ორმოცდამეთორმეტე ნომრის გამოსვლის შემდეგ.

* *

მას შემდეგ, რაც „ისკრა“ უმცირესობის ხელში გადავიდა, მან სრულიად გამოიცვალა მიმართულება. დაიწყო უმცირესობის პოზიციის გამართლება უკანა რიცხვით [4]). ადგილებს არ გამოეპარათ ის „ფერისცვალება“, რომელიც № 52-დან განიცადა „ისკრა“-მ. მთელმა რიგმა ადგილობრივმა კომიტეტებმა დაგმეს „ისკრა“-ს ახალი პოზიცია.

„ძველი „ისკრა“ ასწავლიდა რევოლიუციონურ ბრძოლის ჭეშმარიტებას. ახალი „ისკრა“ ასწავლის: დათმობას და შეგუებას. ძველი „ისკრა“ იყო მებრძოლ ორთოდოქსიის ორგანო. ახალი „ისკრა“ გვაწვდის ჩვენ ოპორტუნიზმს—უმთავრესად საორგანიზაციო საკითხებში. ძველმა „ისკრა“-მ რუსის და დასავლეთ-ევროპიელ ოპორტუნისტების სიძულვილი დაიმსახურა. ახალი „ისკრა“ „მოჭკვიანდა“ და ჩქარა აღარ შერცხვება ქების, რომელსაც მას უძღვნიან უკიდურესი ოპორტუნისტები. ძველი „ისკრა“ გადაუხრელად მიდიოდა თავის მიზნისაკენ, და მისი სიტყვა არ განსხვავდებოდა საქმისაგან. ახალ „ისკრა“-ში მისი პოზიციის შინაგანი სიყალბე აუცილებლობით წარმოშობს—ვისიმე ნებისყოფისა და შეგნებისაგან დამოუკიდებლად—პოლიტიკურ ფარისევლობას. იგი გაჰყვირის კრუჟკოვშინის წინააღმდეგ, რომ ამით დაჰფაროს კრუჟკოვშინის გამარჯვება პარტიულობაზე. იგი ფარისევლურად კიცხავს განხეთქილებას, თითქო რამდენიმე მაინც დისციპლინიან პარტიაში წარმოსადგენი იყოს სხვა საშუალება განხეთქილების წინააღმდეგ, ვიდრე უმცირესობის დამორჩილებისა უმრავლესობისათვის. იგი აცხადებს, რომ საჭიროა ანგარიშის გაწევა რევოლიუციონერ საზოგადოებრივ აზრისათვის და, ფარავს რა აკიმოვების ქებათ-ქებას, ეწევა ბორიკანობას პარტიის რევოლიუციონური ფრთის კომიტეტების შესახებ. ვაი სირცხვილი! როგორ შეარცხვინეს მათ ჩვენი ძველი „ისკრა“! [1]).

ასე დაახასიათა ამხ. ლენინმა „ისკრა“-ში მომხდარი „გარდატეხა“.

* *

„ისკრა“-ს რედაქციის დაპყრობის შემდეგ უმცირესობამ დაიპყრო პარტიის საბჭოც (ცენტრალურ ორგანოს გარდა ყრილობაზე არჩეულ პლეხანოვისა, საბჭოში ჰყავდა ორი წარმომადგენელი). ამრიგად უმრავლესობას შერჩა ერთად-ერთი ციხე-სიმაგრე—ცენტრალური კომიტეტი. ამ უკანასკნელის დაპყრობის მოლოდინში, მარტოვის მიმდევრებმა გადასწყვიტეს იმდენად განემტკიცებინათ თავისი მდგომარეობა ცენტრალურ ორგანოს რედაქციაში, რომ ნოლამდე დაეყვანათ ცეკას გავლენა და ფუნქციები, რაც თავისუფლად მოახერხეს პარტიის საბჭოს დასტურით: ტრანსპორტი, ლიტერატურის გავრცელება, ცენტრალური კომიტეტის ეს ფუნქციები „ისკრა“-ს ახალ რედაქციას დაეკისრა. მასვე მიეცა ადგილებზე „ლიტერატურულ“ აგენტების დაგზავნის და ცალკე პარტიული კასის შექმნის უფლება. უმრავლესობას ფაქტიურად წაერთვა პარტიული სტამბით სარგებლობის საშუალება და სხვ.

დარწმუნდნენ რა, რომ ნიადაგი საკმაოდ მომზადებულია ცეკაზე შეტევის დასაწყებათ, უმცირესობამ განაახლა იერიში. პლეხანოვმა, რომელმაც ამ დროისათვის სრულიად დაივიწყა თავისი უთანხმოებანი უმცირესობასთან, „ისკრა“-ს № 64-ში მოათავსა წერილი „ახლა დუმილი აღარ შეიძლება“, რომელშიც მოითხოვდა ლენინის გამორიცხვას ცეკადან. ცეკას წევრმა ლიადოვმა პლეხანოვის ამ მოთხოვნაზე უპასუხა წერილით, რომელშიც წინადადებას აძლევდა პლეხანოვს უფრო გარკვევით დაესაბუთებინა ლენინის წინააღმდეგ წამოყენებული „ბრალდებები“. მაგრამ პლეხანოვმა გარკვეული „ბრალდებების“ წამოყენებას ამჯობინა ლანძღვით სავსე პასუხის მიცემა ლიადოვისათვის („ისკრა“-ს № 67).

მაგრამ ც. კ. უკვე იწყებოდა მერყეობა. ც. კ.-ის წევრი—გლებოვ-ნოსკოვი, რომელიც მეორე ყრილობის დამთავრების მეორე დღეს წინადადებას აძლევდა ლენინსა და პლეხანოვს მიეწვიათ რედაქციაში ოთხი დანარჩენი რედაქტორი, კვლავ შეიქნა „კომპრომისების“ პოლიტიკის მქადაგებელი.

1904 წ. იანვარში ც. კ. წარმომადგენლებმა პარტიის საბჭოში შეიტანეს წინადადება მესამე ყრილობის მოწვევის შესახებ. ეს წინადადება საბჭომ უარჰყო. საკითხის გარჩევის დროს ცეკაში ერთი ხმის უმრავლესობით წინადადება ყრილობის მოწვევის შესახებ უარყოფილ იქნა.

იმავე წლის ივლისში ჟენევაში დარჩენილ ცეკას სამმა წევრმა (გლებოვ-ნოსკოვმა, კრჟიჟანოვსკიმ და ლენგნიკმა) მიიღო რეზოლიუცია, რომელიც წარმოადგენდა სრულ კაპიტულიაციას უმცირესობის წინაშე, რამაც საშინელი აღშფოთება გამოიწვია ადგილებზე. მთელმა რიგმა კომიტეტებმა დაჰგმო ეს სამარცხვინო კაპიტულიაცია, ისე როგორც თავის დროზე დაგმეს პლეხანოვის ღალატი.

მას შემდეგ, რაც უმცირესობამ დაიპყრო უმრავლესობის უკანასკნელი ციხე-სიმაგრე, სრულიად გაჰქრა იმედი იმის, რომ შინაპარტიულ უთანხმოებას მშვიდობიანი გზით მოეღებოდა ბოლო. 1904 წ. აგვისტოში ჟენევაში შესდგა „ოცდაორის“ კონფერენცია, რომელიც ვლ. ილიჩმა მოიწვია. კონფერენციამ შეიმუშავა—დეკლარაცია მოწოდება პარტიისადმი, რომელშიც მიცემული იყო შექმნილი შინაპარტიული მდგომარეობის ანალიზი და დასახული ის კონკრეტიული ღონისძიებები, რომლითაც პარტიას თავი უნდა დაეღწია უმცირესობის შეურიგებლობით და უდისციპლინობით შექმნილ მდგომარეობიდან.

„მდგომარეობა აუტანელი და შეუძლებელი შეიქნა.—სწერდნენ დეკლარაციის ავტორები.— ამ მდგომარეობის შემდგომი გაგრძელება პირდაპირ ბოროტმოქმედება იქნებოდა.

პირველ საშუალებად ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ჩვენ მიგვაჩნია სრული სიცხადე და გულახდილობა პარტიულ ურთიერთობაში. ტალახში და ბურუსში უკვე არ შეიძლება სწორი გზის პოვნა. თვითეულმა პარტიულმა მიმდინარეობამ, თვითეულმა ჯგუფმა აშკარად და გარკვევით უნდა სთქვას,-თუ რას ფიქრობენ ისინი პარტიის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ და როგორი გამოსავალი აქვთ მათ წარმოდგენილი. ამ წინადადებით მივმართავთ ჩვენ ყველა ამხანაგებს, პარტიის ყველა მიმართულებათა წარმომადგენლებს. პრაქტიკულ გამოსავალს კრიზისიდან ჩვენ ვხედავთ მესამე პარტიული ყრილობის მოწვევაში. მხოლოდ მას შეუძლია მდგომარეობის გამორკვევა კონფლიქტების გადაჭრა, ბრძოლის ჩაყენება შესაფერ ფარგლებში,—მის გარეშე შეიძლება მოველოდეთ პარტიის მხოლოდ თანდათან გახრწნას“.

პარტიული ყრილობის მოწვევა მით უფრო აუცილებელი შეიქნა, რომ რუსეთში მწიფდებოდა და ღრმავდებოდა რევოლიუციონური კრიზისი. თვითმპყრობელობის მიერ იაპონიასთან დაწყებულმა ომმა ჩქარა დაამტკიცა რუსეთის აბსოლიუტიზმის უსუსურობა რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიის ინტერესების დაცვის საქმეში. იაპონიის ახალგაზრდა იმპერიალიზმმა მთელი რიგი სასტიკი დამარცხებები აგემა რუსეთის გაცილებით მრავალრიცხოვან არმიებს. ბრძოლის ველზე დამარცხებამ გააღრმავა კონფლიქტი ბურჟუაზიასა და თვითმპყრობელობას შორის. დაიწყო ფართო მოძრაობა რეფორმების სასარგებლოდ. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისაგან მოითხოვდა პასუხს მთელ რიგ კითხვებზე. ბუნებრივია, რომ ოპორტუნისტულ ჭაობში ჩაფლული „ისკრა“-ს პასუხები შორს იყო იმ პასუხებისაგან, რომელიც რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას უნდა მიეცა „წყეულ კითხვებზე“.

მაგრამ უმცირესობამ, რომელმაც ცენტრალური ორგანოები დაიპყრო მხოლოდ იმით, რომ ფეხქვეშ გათელა მეორე პარტიული ყრილობის ნებისყოფა, სრულიად არ ულიმოდა მესამე ყრილობის მოწვევის პერსპექტივა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კომიტეტების უმრავლესობამ აშკარად დაჰგმო „ისკრას“ ახალი კურსი.

მარტოვის ჯგუფი, რომელიც ცენტრალურ ორგანოების დაპყრობამდე თვით „იმუქრებოდა“ უმრავლესობას მესამე ყრილობის მოწვევით (იხ. „17 პლატფორმა“), ახლა ყრილობის მოწვევის სასტიკი მოწინააღმდეგე შეიქნა იმ საბაბით, რომ „ყრილობა განხეთქილებას გამოიწვევს“-ო. მარტოვსა და მის კომპანიას განხეთქილებათ ის არ მიაჩნდა, რომ კომიტეტების უმრავლესობა მათ წინააღმდეგ იყო განწყობილი, მათ თითქო არ უნდოდათ იმის დანახვა, რომ პარტია ფაქტიურად ორად იყო გაყოფილი. მათი „არგუმენტი“ იყო მხოლოდ მანევრი რომელიც მიზნად ისახავდა ყრილობის გადადებას იმ დრომდე, სანამ „ისკრა“-ს ახალი მეთაურები შესძლებდნენ ადგილების „დამუშავებას“ თავის ყაიდაზე.

მაგრამ უკვე გვიან იყო დაწყებული ბრძოლის შეჩერება.

იმავე (1904) წლის ნოემბერში რუსეთში დაარსდა უმრავლესობის კომიტეტების ბიურო, რომელიც შეუდგა ენერგიულ მზადებას ყრილობის მოწვევისათვის.

უმრავლესობის კომიტეტების ბიურო შეიქნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონური ფრთის ორგანიზაციული ცენტრი. ცხოვრებამ მოითხოვა უმრავლესობისაგან, რომელიც მტკიცედ იდგა მეორე ყრილობის დადგენილებათა სადარაჯოზე, საკუთარ ლიტერატურული ორგანოს შექმნა ადგილების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. 1905 წ. დასაწყისში გამოვიდა ბოლშევიკური „ვპერიოდ“, რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის მებრძოლი ორგანო. „ვპერიოდ“-ის გამოსვლის შემდეგ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს გავლენა კიდევ უფრო გაიზარდა, ამასთან ერთად გაფართოვდა კამპანია მესამე ყრილობის მოწვევის სასარგებლოდ.

უმრავლესობის კომიტეტების ბიურო

ზევით (მარცხნიდან მარჯვნივ) ამხ. ბოგდანოვი, რიკოვი, ლიტვინოვი. ქვევით: ამხ. გუსევი, მენდელშტამი (ლიადოვი), რუმიანცევი. სულ ქვევით შუაში—ამხ. ზემლიაჩკა.

როცა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელშიც შემრიგებლები იყვნენ მოკალათებულნი, დაინახა, რომ კომიტეტების უმრავლესობა ბიუროს უჭერს მხარს და ყრილობა მაინც შესდგება მისი სურვილის წინააღმდეგ, გადაწყვიტა დათმობაზე წასულიყო ბიუროს მიმართ და მონაწილეობა მიეღო ყრილობის მოწვევაში. ამის შედეგი იყო შეთანხმება ცეკასა და საორგანიზაციო კომიტეტს შორის და შექმნა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო კომიტეტის, რომელშიც შევიდნენ ორივე ორგანიზაციის წარმომადგენლები.

ცეკას შეთანხმებამ უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსთან სასტიკი აღშფოთება გამოიწვია მარტოვის მიმდევრებში. „ისკრა“-მ (№ 91) წერილში „პარტიის საყურადღებოდ“ სასტიკად გაილაშქრა ამ შეთანხმების წინააღმდეგ. „ისკრა“-ს № 95-ში კი გამოქვეყნდა პარტიის საბჭოს დადგენილება, რომელიც უკანონოდ აცხადებდა ამ შეთანხმებას, მაგრამ აქ მხედველობაშია მისაღები ერთი გარემოება. ცეკას და უმრავლესობის კომიტეტების ბიუროს შეთანხმება შეიცავდა საიდუმლო მუხლს, რომლის თანახმად მიღწეული შეთანხმება ძალაში რჩებოდა გარეშე იმ პოზიციისა, რომელსაც საბჭო დაადგებოდა.

მესამე ყრილობა შესდგა 1905 წ. 25 აპრილს. მასზე წარმომადგენლები გაგზავნა 29 კომიტეტმა: ეს ყრილობა ბოლშევიკური საორგანიზაციო პრინციპების ბრწყინვალე გამარჯვებას წარმოადგენდა.

საკმაო არის თვალი გადავავლოთ ყრილობის მიერ მიღებულ მთელ რიგ რეზოლიუციებს: შეიარაღებული აჯანყების შესახებ, დროებითი რევოლიუციონური მთავრობის შესახებ, რ. ს.-დ. მ. პ. აშკარა (ლეგალური) გამოსვლების შესახებ, ლიბერალებთან დამოკიდებულების შესახებ და სხვ., რომ ნათელი შეიქნეს, რომ მესამე ყრილობამ პასუხი გასცა ყველა იმ დროინდელ პოლიტიკურ კითხვებზე.

ყრილობამ ამავე დროს განმანადგურებელი განაჩენი გამოუტანა იმ ხაზს, რომელსაც რედაქციიდან ლენინის გასვლის შემდეგ ატარებდა „ისკრა“.

„იღებს რა მხედველობაში,—ნათქვამია მესამე ყრილობის რეზოლიუციაში,—რომ „ისკრა“-ს რედაქცია არ გამოცხადდა ყრილობაზე და არ მიიღო ზომები თავისი შემდგომი საქმიანობის შესათანხმებლად მესამე ყრილობის გადაწყვეტილებებთან და დირექტივებთან; რომ ახალ „ისკრა“-ს რედაქციის საქმიანობა სრულიად არ იძლევა გარანტიას ტაქტიკური საკითხების სწორად გადაჭრისას მომავალში,—მესამე ყრილობა ადგენს, რომ გაზეთი „ისკრა“ აღარ არის პარტიის ცენტრალური ორგანო და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს შექმნას ახალი ცენტრალური ორგანო, პარტიის წესდების თანახმად, სახელწოდებით „პროლეტარი“.

ეს იყო ახალ „ისკრა“-ს ოპორტუნისტული ხაზის ღირსეული შეფასება.

მეორე მხრივ ყრილობამ საუკეთესო შეფასება მისცა იმ საქმიანობას, რომელსაც „ვპერიოდ“ ეწეოდა. რეზოლიუციაში „ვპერიოდ“-ის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ:

„იღებს რა მხედველობაში იმ რევოლიუციონურ ინიციატივას, რომელიც გამოიჩინა „ვპერიოდ“-მა, როცა გამოვიდა პარტიაში „ისკრა“-ს ოფიციალური დროშით შემოპარულ გადახრების კრიტიკით, იმ რევოლიუციონურ ალღოს, რომელიც გაზ. „ვპერიოდ“-მა გამოიჩინა რევოლიუციონური მოძრაობით ტაქტიკური საკითხების დაყენებაში და გაშუქებაში, იმ ენერგიას, რომლითაც „ვპერიოდ“ აწარმოებდა ბრძოლას პარტიაში აღდგენილ დემაგოგიური მეთოდების წინააღმდეგ, შემდეგ, იღებს რა მხედველობაში თვალსაჩინო როლს, რომელიც „ვპერიოდ“-მა ითამაშა ბრძოლაში პარტიულობის აღსადგენად, და, დაბოლოს მის მნიშვნელობას ყრილობის მოწვევაში,—ყრილობა მადლობას უცხადებს „ვპერიოდ“-ის რედაქციას.

ამრიგად ყრილობამ გაჰკიცხა და დაჰგმო „ისკრა“ გაოპორტუნისტებულ ხელმძღვანელების მოღვაწეობა და სავსებით გაამართლა პოზიცია უმრავლესობის, რომელიც მეორე ყრილობის დადგენილებათა სადარაჯოზე იდგა [1]).

ასე დასრულდა შინაპარტიული ბრძოლის ერთი პერიოდი რ. ს.-დ. მ. პარტიაში.

ე. წ—ძე.

---

*) დასასრული, (იხ. „კომუნისტი“ № 189).

[1]) „Ленинский сборн.“, წიგნ. VII, გვ. 202.

[1]) „Лен. сб.“ VII, 207-28.

[2]) იქვე, გვ. 210.

[3]) იქვე, გვ. 218.

[1]) გაიხსენეთ, როგორ კიცხავდა იგი ისარლ (თოფურიძის) ასეთსავე ნაბიჯს წერილში რ. ს.-დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტის სახელზე. იხ. „კომუნისტი“ № 174.

[1]) ამონაწერი მოყვანილია „Ленинский сборн.“, წიგნ. VII, გვ. 236.

[2]) ლენინთან ერთად კოოპერაციით მიწვეული ცეკაში.

[3]) იხ. „Лен. сборн.“, წიგნი VII, გვ. 209

[4]) მაგალითისათვის შემდეგიც კმარა: ბროშურაში „ბრძოლა საალყო წესებთან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში“ მარტოვი გამოდის „ჭაობისა“ და ანტი-ისკრელების დამცველად. იმ ფაქტს, რომ ცენტრალიზმის და „ისკრა“-ს პრინციპიალური მოწინააღმდეგენი მასთან ერთად ილაშქრებდნენ მტკიცე ისკრელების წინააღმდეგ, ის [illegible] უწოდებს „ნახევარი პარტიის აჯანყების დასაწყისს“. (იხ. ხსენებული ბროშურა, გვ. 20) ეს ბროშურა გამოვიდა „ისკრა“-ს ახალი რედაქციის (და მაშასადამე პლეხანოვის) [illegible] ტურით. აქედან ცხადია, თუ რა ფასი ჰქონდა მარტოვის „[illegible]“ [illegible] პარტიისა და ლიგის ყრილობაზე.

[1]) ლენინი, „ერთი ნაბიჯი წინ, ორი უკან“, ტომი VII, გვ. 481, 482.

[1]) სხვათაშორის, წესდების პირველი მუხლი, რომელიც მეორე ყრილობამ მარტოვის რედაქციით მიიღო, მესამე ყრილობაზე შეცვლილ იქნა ლენინის რედაქციის მიხედვით და ამრიგად მოისპო ის ხვრელი, რომელიც მერყევმა ისკრელებმა დაუტოვეს ოპორტუნისტულ ელემენტებს პარტიაში შესაძრომად.

საბჭოთა საქართველო

წერილები

კახეთის აღმშენებლობისათვის

(წერილი სიღნაღიდან)

კახეთის სოფლებში აღმშენებლობა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. შენდება ახალი შენობები, რომლებიც დიდძალი საშენი მასალა საჭიროება, მაგრამ ამ მხრივ დიდი ნაკლი გვექვს. მთელ კახეთის მაზრაში დღემდე არც ერთი აგურ-კრამიტის ქარხანა არ არის, რომ შესაძლებელი გახდეს კარგი ღირსების და საღი მასალის მიწოდება მოსახლეობისათვის.

სამაგიეროთ თითქმის ყველა სოფელში მოიპოვება პატარ-პატარა აგურხანები, ან საკირეები, რომლის პროდუქცია დაბალი ღირსებისაა და ძვირაც ჯდება. რაც შეეხება კრამიტს, მისი ქარხნები თელავის რაიონშია, კურდღელაურის, ტყალთის და წინანდლის თემებში. აქ საუკეთესო ღირსების კრამიტი იჭრება და მთელ კახეთს აკმაყოფილებს, მაგრამ აქაც მუშაობა ისევ პრიმიტიულია.

საქართველოს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს აგურ-კრამიტის ქარხნის გახსნა კახეთის მაზრაში. ამ მიზნისათვის ორიჯერ იყვნენ მივლინებული სამი ინჟინერ-სპეცი, რომელთაც შემოიარეს მთელი კახეთი, გამოიკვლიეს ყველა რაიონის ნიადაგი და საუკეთესო ადგილი აღმოჩნდა კურდღელაური, კახ. რკ. გზის თელავის სადგურთან. აქ მოიპოვება საუკეთესო ღირსების თიხის დიდი მარაგი. წელიწადში, რომ ოთხი მილიონი აგურ-კრამიტი მოიჭრას, 100 წლის საყოფი ნედლი მასალაა. ამავე ქარხნისათვის საჭირო წყალიც და რაც მთავარია, ქარხანა რკინის გზიდან დაშორებული იქნება ერთი, ან ორი კილომეტრით.

კომისიის გამოკვლევით ამ ქარხნის პროდუქცია ბევრად იაფი დაჯდება, ვიდრე მაგ. თბილისში, ან ადგილობრივ კუსტარულ ქარხნების. თვით ქარხნის აგებასაც დიდი თანხა არ მოუნდება: წყლის გამოყვანა საჭირო არ არის, არც გზის კეთება დასჭირდება და უმთავრესად მუშათა ბინების აშენებაც აუცილებელი არაა, ვინაიდან ახლო-მახლო სოფლები მიაწოდებენ ქარხანას მუშა-ხელს.

ამ ქარხნის აგება უკვე დამტკიცებულია საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს მიერ და შეტანილია 5 წლ. გეგმაში.

ეხლა, სიღნაღ-თელავის მაზრების გაერთიანების შემდეგ, მაზრის ცენტრში—გურჯაანში დაიწყება დიდი მშენებლობა, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს კარგი და იაფი სააღმშენებლო მასალის დამზადება. ეს კი მხოლოდ ამ ქარხნის გახსნით არის შესაძლებელი.

ამიტომ კახეთის სამაზრო აღმასკომს მართებს უპირველეს ყოვლისა ამ აგურ-კრამიტის ქარხნის გახსნა, რომელიც მომგებიანი წარმოებაც იქნება და თან ხელს შეუწყობს კახეთის მაზრის და კერძოდ გურჯაანის აღმშენებლობას.

გან—ლი.

ექიმების ჯგუფური შვებულება

ლიუქსემბურგი, ბორჩ. მაზრა

ლიუქსემბურგში საექიმო დახმარების საქმე ჯერ კიდევ ვერ არის თავის სიმაღლეზე დაყენებული. ნაკლები ყურადღება ექცევა ჯანმრთელობის დაცვას და დაავადებასთან ბრძოლას.

ამავე დროს, ძლიერ ცუდად არის დაყენებული მედიკურ-პერსონალის შვებულებაში წასვლის საკითხი.

მაგალითად, ივლისში ხალხი რომ სულ გაწყვეტილიყო ვერც ერთ ექიმს ვერ იპოვიდით ლიუქსემბურგში, (იყო კიდეც ორი შემთხვევა ამ ხნის განმავლობაში საექიმო დახმარების გარეშე სიკვდილისა).

აი შვებულებაში წამსვლელთა სია:

სასამართლოს ექსპერტი—სანიტ-ექიმი აგარონოვი, ლიუქსემბურგის ამბულატორიის ექიმ-თერაპევტი—გირტცელი. ამავე საავადმყოფოს და ამბულატორიის გამგე ნაზაროვი, გერმანელების ამბულატორიის ექიმ-თერაპევტი, ფერინგერი. კბილის ექიმი და თვით სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილების გამგე შიუკაშვილი.

ბებია-ფერშლების ჩამოთვლა ზედმეტათ მივაჩნია, რადგანაც ესეც საკმარისია.

ვილა დარჩა ლიუქსემბურგის ექიმებიდან თავის ადგილზე, რომ ავადმყოფობის შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს ხალხისათვის?

განა მიზანშეწონილია ყველა ექიმების შვებულებაში ერთად წასვლა?

ამის შესახებ ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა გვიპასუხოს.

ყანელი.

გზები არ გვივარგა

საგარეჯო, გარე-კახეთი.

საგარეჯოს თემში გზები ერთობ უნუგეშო მდგომარეობაშია. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას სასოფლო გზებზე, სადაც წვიმიან დღეებში მიმოსვლა შეუძლებელი ხდება. ზოგან ბოგირებიც ჩაქცეულია და ეს კიდევ უფრო აძნელებს მიმოსვლის საქმეს. სოფლებს დასჩემდათ ერთი ცუდი ჩვეულება, მაგალითად თუ ერთ ადგილას გაფუჭდა სასოფლო გზა, ნაცვლად იმისა, რომ ეს ადგილი შეაკეთონ, მის გვერდით იწყებენ მიმოსვლას, ხოლო გზის შეკეთებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ს. საგარეჯოდან სადგურამდე მისასვლელი გზა უკვე ოთხ წელზე მეტია, რაც დაგეგმულია, მაგრამ მის გაკეთებას დღემდისაც არაფერი ეშველა.

ვერ ვეღირსეთ აგრეთვე გზების გასატკეპნი „კატოკი“-ს მიღებას და გასულ წელში შეკეთებული გზები მოუტკეპნაობის გამო ისევ გაფუჭდა.

სხვათა შორის არხების გაუწმენდაობამ და მათში ზედმეტ წყლის დენამაც გამოიწვია გზების დაფარვა წყლით და მათი დაზიანება.

საჭიროა გზების შეკეთების საქმეს დროზე მიექცეს ყურადღება.

გ. გარსიაშვილი.

რატომ ჩაახშვეს თვითმოქმედება?

გორის თემი, ქუთაისის მაზრა.

გორის და წითელი ხევის თემები მოწყვეტილი არიან მაზრის ცენტრიდან ხეირიანი გზებისა და სატელეფონო ხაზის უქონლობის გამო. ამიტომ მიმდინარე წლის აპრილში ორივე თემის გლეხობამ შეკრიბა 2.200 მანეთი და გადასცა ეს თანხა ქუთ. ფ.-ტ. კანტორის გამგის თანაშემწე—მოქ. შანიძეს. ამ თანხით უნდა გაეყვანათ ბაღდადიდან გორის თემამდე სატელეფონო ორმავთულიანი ხაზი და დაედგათ ორივე თემების აღმასკომებში სათანადო მიმღები აპარატები.

თორმეტ ივლისს ქუთაისის ფოსტა-ტელ. კანტორამ დაიწყო მუშაობა აღნიშნულ ხაზის გასაყვანად. ყოველგვარ ხარჯებს და შავ სამუშაოებს გლეხობა კისრულობდა. მცხოვრებლები დიდი ხალისით ასრულებდნენ ყოველგვარ სამუშაოს, მაგრამ მოულოდნელად 30 ივლისს მოქ. შანიძის განკარგულებით მუშაობა შესწყდა და მომუშავეები უკანვე იქნენ გაწვეულნი.

მუშაობის შეჩერებამ გლეხობაში დიდი გაკვირვება და უკმაყოფილება გამოიწვია. როდესაც გლეხობის წარმომადგენლები შანიძესთან ახსნა-განმარტებისათვის მივიდნენ მათ ასეთი პასუხი მიიღეს: „თქვენთან ხელშეკრულება არ დაგვიდვია და ამიტომ თქვენი ხაზის გაყვანა ცენტრში არ დაგვიმტკიცეს, რის გამო უფლება არ გვაქვს მუშაობა დავიწყოთ“.

მოქ. შანიძემ გლეხობის წარმომადგენლები ერთი კვირა ალოდინა ქუთაისში და ბოლოს დასდო ხელშეკრულება, რომელშიც ორი აპარატის დადგმაზე ჯერ უარს ამბობდა, ხოლო ბოლოს გაკეთების ვადა ერთი წლით გადასდვა.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ხელშეკრულების დადება იყო საჭირო, რატომ კანტორამ შანიძის სახით არ დასდო ასეთი ფულის მიღებამდე, ხოლო თუ მუშაობის დაწყება ცენტრის დაუკითხავად არ შეიძლებოდა, რატომ დაიწყებინა მუშაობა?

საჭიროა გამოირკვეს სათანადო ორგანოების მიერ შანიძის მოქმედება.

ქორიდი.

სათემო ცენტრით ვერ ვსარგებლობთ

გორის თემი, ქუთაისის მაზრა.

ხსენებული თემის მოსახლეობა 2.000 კომლამდე აღწევს. თემის ფარგლები ერთობ დიდია და ის ბუნებრივად გაყოფილია ორ ნაწილად „მთათ“ და „ბარად“. თვითმპყრობელობის დროს სათემო ცენტრი მოთავსებული იყო ბარში, განაპირა ადგილას, სადაც ადვილად მობრძანდებოდნენ ეტლით ბოქაულები და ხალხს მთიდან მათრახებით მოერეკებოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც სათემო ცენტრი ისევ ძველ ადგილას დარჩა და მთის მოსახლეობა, რომელიც 700 კომლს შეადგენს, ისევ მოწყვეტილია თემის ცენტრიდან. ისინი ვერ სარგებლობენ ვერც 7-წლედით, ვერც საექიმო პუნქტით და სხვა დაწესებულებებით, რომლებიც მოთავსებულია სათემო აღმასკომთან.

არა ერთხელ აღძრა შუამდგომლობა, რომ სათემო ცენტრი საშუალო ადგილზე გადმოეტანათ, მაგრამ საკითხი დღესაც მოუგვარებელია. მაგრამ საშუალო ცენტრის გამონახვა მაინც ვერ მიაღწევს მიზანს, ვინაიდან თემის ტერიტორია იმდენად დიდია, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი მაინც ვერ გახდება.

აქ მხოლოდ ერთად-ერთი გამოსავალი შეიძლება გამოინახოს. ეს არის თემის ორად გაყოფა, როგორც ის ბუნებრივადაც არის გაყოფილი და მთის ნაწილში ცალკე სათემო ცენტრის მოწყობა. მხოლოდ ეს იქნება საუკეთესო გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

გულშემატკივარი.

„იშვიათი“ პოლიტგანმანათლებელი.

ხიდისთავის თემი, გურია.

ამას წინედ ოზურგეთის პოლიტგანმა თემებში გაგზავნა მოძრავი კინო, რასაც ხელმძღვანელობდა იპოლიტე მამალაძე. უნდა აღინიშნოს, რომ მამალაძის მუშაობაში ბევრ ნაკლს ჰქონდა ადგილი, რაც გლეხობაში უკმაყოფილებას იწვევდა. აი ამისი რამოდენიმე მაგალითიც: ხიდისთავში მოეწყო კინო-სურათის ჩვენება. მამალაძემ ბლომად გაყიდა ბილეთი და იმაზე კი არ იზრუნა, შესაძლებელი იყო თუ არა ამოდენა ხალხს ენახა სურათი, სურათის ჩვენება მოეწყო სკოლის დერეფანში, სადაც მოთავსდებოდა 70 კაცი, ბილეთები კი სამასამდისაც იყო გაყიდული. ამის გამო ხალხის უმრავლესობა გარედ დარჩა. მხოლოდ დიდი თხოვნის შემდეგ ინება მამალაძემ სურათის ღია ცის ქვეშ ჩვენება.

რამდენიმე დღის შემდეგ იგივე სურათი უჩვენეს სოფ. წიფნაგვარში. აქაც დამსწრენი ბლომად აღმოჩნდნენ. კინო მოეწყო ამავე სოფლის სკოლაში, ხოლო აპარატი გარედ იდგა და მუშაობდა. სკოლის ეზოში იყო სკოლის მზრუნველი ამხ. ივ. გუნთაიშვილი და თვალყურს ადევნებდა, რომ შეგროვილ ხალხს სკოლაში არაფერი გაეფუჭებიათ. შეგროვილმა ახალგაზრდობამ უცაბედათ კინო-აპარატი წააქცია. ამის გამო მამალაძემ უშვერი სიტყვებით მიმართა ხალხს. გუნთაიშვილმა მოინდომა მამალაძის დამშვიდება, მაგრამ მამალაძემ ბოლოს მასზე იყარა ჯავრი, ხელით შეურაცყოფა მიაყენა გუნთაიშვილს და იარაღითაც დაემუქრა.

აი როგორი პოლიტგანმანათლებელი მუშაობა ჩაატარა მამალაძემ გურიის სკოლებში.

მაყურებელი.

დაგვეხმარეთ სკოლის გახსნაში

ს. ზილდა, სამხრეთ-ოსეთი

ამ სოფლის მოსახლეობის ორი მესამედს ქართველები შეადგენენ, ხოლო ერთი მესამედი ოსებია, მათ მშვენივრად იციან ქართული ენა. ორივე ერის გლეხობის ერთმანეთისადმი განწყობილება ძველთაგანვე კარგია. აქვთ საერთო საძოვარი, საერთო ტყე და სასოფლო წისქვილები. გზები კეთდება გლეხობის შეთანხმებული მუშაობით. ტყის მოვლა-პატრონობა რამდენადაც შესაძლებელია, კარგად არის დაყენებული. მხოლოდ გლეხობის მთავარ სიძნელეს შეადგენს სკოლის უქონლობა. 12-15 კილომეტრის მანძილზე სოფელ ღრომში არსებობს სკოლა, რომლის აგებაში ჩვენს სოფელსაც მიუძღვის წილი, მაგრამ ამ სკოლით ჩვენი ბავშვები სიშორის გამო ვერ სარგებლობენ.

ადგილობრივი ახალგაზრდობა სწავლა-განათლებას ძალზე ეტანება. ხშირად ბავშვები ხის ნატოტებზე სწერენ ტყვიის ფანქრით, რადგან ქაღალდი არა აქვთ. დღემდე ბავშვებისათვის ქაღალდის უფასოდ მომწოდებელი იყო მჭედელი ნ. ელიაური, რომელსაც ზოგჯერ გორიდან მოჰქონდა ქაღალდი, ამჟამად ის მეჯვრისხევში გადავიდა და სხვა ვინმე ყურის მგდები არავინ არის.

გლეხებს ესაჭიროება ხელმძღვანელობა პირველდაწყებითი სკოლის დაარსებისათვის, რასაც სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს.

მ. ელიაური.

ჯერ ისწავლონ, მერე იმსახურონ.

ს. დიდი-ლილო, თბ. მაზრა.

მეხუთე წელია, რაც ლილოში კოოპერატივი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ ეღირსა მას გამოცდილი და საქმის მცოდნე ნოქარი; ხშირად ცვლიან ნოქრებს, ზოგს უცოდინარობის გამო, ზოგს რაიმე ბოროტმოქმედებისათვის, ხოლო მოყავთ ისეთები, რომლებიც წინანდელზე უფრო გამოუცდელი და უცოდინარნი არიან.

ამას წინედ დაითხოვეს ნოქარი ბიგაზოვი და მის ნაცვლად გამოაგზავნეს ვინმე ურტალიშვილი, კაცი სრულიად უვიცი, რომელმაც ორჯერ-ორი არ იცის რამდენია. ორი გირვანქა ნავთის და სამი გირვანქა საპნის საფასურის გამოანგარიშებას მთელი საათი უნდება. ამ ხნის განმავლობაში სავაჭროში გროვდება მყიდველები და იმართება რიგები. სამი საათის მუშაობას ანდომებს რვა საათს, შემდეგ კეტავს კოოპერატივს და აცხადებს ხვალ მოდითო. ნავთისა თუ მარილისათვის მოსული გლეხები ხელცარიელი ბრუნდებიან სახლში და უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

ნეტავი როდის ეღირსება ლილოს კოოპერატივი საქმის მცოდნე ნოქარს?

მნახველი.

უარვყოფთ რელიგიურ დღეობებს

ს. ზედა-შუხუთი, გურია.

ძველთაგანვე სოფ. ზედა-შუხუთის მცხოვრებნი დღესასწაულობდნენ საეკლესიო დღეობას—„მარიობას“. (15 აგვისტო ძველი სტილით). ამ დღეს მთელი მოსახლეობა დიდ მზადებაში იყო. ყველას სურდა ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ და შესაფერისად შეხვედროდნენ დღეობაზე მოსულ სტუმრებს. დიდი ეკონომიური ზარალი მოჰქონდა გლეხობისათვის ამ დღესასწაულს. ბევრი ღარიბი გლეხი ვალში ვარდებოდა და შემდეგ მთელი წლის განმავლობაში უხდებოდა მის გადახდას.

მაგრამ უკანასკნელად შუხუთის მოსახლეობაც დარწმუნდა, რომ რელიგიურ დღეობებს მისთვის ზარალის მეტი არაფერი მოჰქონდა. ამიტომ მოწვეულ იქნა სასოფლო კრება, სადაც ერთხმად დაადგინეს: ამიერიდან აღარ იდღესასწაულონ „მარიობა“ და ამ დღეს ყველანი ერთსულოვნად გამოვიდნენ სასოფლო გზების შესაკეთებლად. გლეხები თავიანთ დადგენილებაში მოუწოდებენ აგრეთვე დანარჩენ თემებსაც, თუ სადმე კიდევ არის დარჩენილი რელიგიური დღეობების უქმობა, მათაც მიბაძონ ამ მაგალითს.

ბაბი.

წერილებიდან

ცაიში (ზუგდიდის მაზრა). აქ არსებული გოგირდის სამკურნალო აბანო სამაზრო აღმასკომმა წელს საფუძვლიანად შეაკეთა. აშენდა ახალი ბინები, შეკეთდა ვანები და აბანოზე მისასვლელი გზები, დაარსდა საექიმო პუნქტი და სხვ. ამრიგად ავადმყოფთათვის შესაძლებელია ყოველგვარი დახმარების აღმოჩენა.

ილონ.

ყაზბეგი (თბ. მაზრა). ამჟამად ყაზბეგში ორი სასამართლო მუშაობს. ერთი მათგანის სხდომები იმართება თეატრში, ხოლო მეორის სამკითხველოში, ამის გამო გლეხობა სამკითხველოთი ვეღარ სარგებლობს. საჭიროა სასამართლოს სხვა შენობაში მოთავსება.

ელგუჯა.

ს. ძეგვი (გორის მაზრა). ძეგვში აგეს რკ. გზის ახალი სადგური, რამაც საკმაოდ ბევრი სახნავ-სათესი მიწები მოიყოლა თავის ფარგლებში, ამ მიწების უმეტესობა ისეთ გლეხებს ეკუთვნოდათ, რომელთაც ისედაც არ ჰქონდათ საკმაო მიწა. საჭიროა სამაზრო აღმასკომმა გლეხობას მისცეს სამაგიერო სახნავ-სათესი მიწები.

ზ. ხოლ-შვილი.

ს. კასპი (გორის მაზრა). კასპის სამკითხველოს შენობა უნუგეშო მდგომარეობაშია. დერეფანს ბოძები არა აქვს, ჭერს ჩამონგრევა მოელის, სახურავიდან წვიმის დროს წყალი თავისუფლად ჩამოდის. თემ-აღმასკომი კი სამკითხველოს შენობის შესაკეთებლად არავითარ ზომებს არ იღებს, ნუ თუ 50 მანეთის გადადება ვერ შესძლო თემ-აღმასკომმა ამ მიზნისათვის?

შ. შაველაშვილი.

მუშათა ცხოვრება

საზარტო სათამაშოები აგარაკებზე.

(წერილი ბორჯომიდან)

საზარტო სათამაშოები აგარაკებზედაც ჰყვავიან. სოკოსავით მოიდო ბორჯომ-ყვავილ-ბაკურიანის ეს მახინჯი მუწუკები. ქუჩაში ისე ვერ გაივლით, რომ რაიმე სათამაშოს არ შეხვდეთ.

სათამაშოების მეპატრონეთ ნება-დართული აქვთ აწარმოონ თამაშობა დახურულ შენობაში. მაგრამ მოიჯარადრეები ამას არ სჯერდებიან და სათამაშოებს იქ მართავენ, სადაც ბევრი ხალხი იკრიბება: ბაღში, პარკში, ქუჩის პირას, კოოპერატივის გვერდით.

მერე რა ხრიკებს, რა ახალ ახალ „ფოკუსებს“ არ იგონებენ, რომ მიიზიდონ გულუბრყვილო მოქალაქენი, გაცყვლიფონ და გაატყაონ.

ბორჯომის პარკში სიმებიანი ორკესტრი სტუმრების ყურთა სმენას ატკბობს. ამავე პარკში ერთ ადგილას დიდი ყვირილი და ალიაქოთია. იცოდეთ იქ საზარტო სათამაშო არის გამართული, იქ შეიძლება ათმა შაურმა ოცდახუთი მანეთი მოიგოს.

ოცდახუთი მანეთი—ათი შაური! ვის არ წაიტყუებს ასეთი მომხიბლავი პერსპექტივა. განსაკუთრებით თამაშს ის ეტანება, ვისაც უკანასკნელი მანეთი დარჩენია ჯიბეში. ფიქრობს: იქნებ ამ ერთი მანეთით ფულის პატრონი გავხდეო. ერთი მეორეზე გადადის ათშაურიანები, მაგრამ საბოლოო ანგარიშში ყველა ცარიელი რჩება. კიდევ და კიდევ ცვივა ფული სათამაშოს სალაროში, მაგრამ ბედი არავის ულიმის.

მოთამაშეებში ჩოჩქოლია: „აქ მოტყუილებაა, სიყალბეა...“

— „რატომ არავის არ ერგო“.

დაფიქრდა მოიჯარადრე.

„მიკიტანმა და სირაჯემ თვალი უყვეს ერთმანეთისა“..

არჩევდნენ კიდევ ათშაურიანები და ოცდახუთი მანეთის ნომერი ერგო ერთ პიროვნებას, რომელიც ყველაზე უფრო ცხარობდა.

დაითვალეს ფული, მაგრამ სალაროში არ აღმოჩნდა ამდენი. რაც დააკლდა იმის მაგიერ მომგებს დიდი აბრეშუმის შალი მისცეს. ბედნიერმა ხტუნვით გასწია შინისაკენ. მიატოვა სათამაშო ალაგი, აღადგინა სათამაშოს პრესტიჟი-ნდობა!

მეორე დღეს იგი ბორჯომიდან წაღვერისაკენ მიქროდა, თურმე სუ იტყვით, ის ამ სათამაშოების მოხერხებული აგენტი ყოფილა.

აი როგორ არის საქმე, აი როგორ იტყუებენ თავს ამ საზარტო სათამაშოების სტუმრები და მოყვარულნი.

თბილისის საბჭომ და მისმა კომუნალურმა სექციამ დიდი ხანია ხმა ამოიღო და დაადგინა საზარტო სათამაშოების დახურვა.

არის ცენტრალური მთავრობის დადგენილებაც ამ სათამაშოების სავსებით დახურვის შესახებ. ოქტომბრიდან მათ ანდერძი უნდა აეგოს, მაგრამ ვეცადოთ, რომ „პეტრეს მოსვლამდე პავლეს ტყავი არ გააძრონ“.

მართალია, ზოგი ჩვენი სახელმწიფო დაწესებულება ცოტაოდენ სარგებლობას სათამაშოებიდან ღებულობს, მაგრამ ამ დაწესებულებამ არ იცის, თუ რას სჩადიან მოიჯარადრეები.

საჭიროა ზომების მიღება, საჭიროა სათამაშოების მოიჯარადრეთა ალაგმვა. მოიჯარადრეებმა იციან თავიანთი მატყუარობის და კარპაშობის დასასრული რომ დგება და შემოდგომის ბუზივით მწარედ დაიწყეს კბენა.

ადგილობრივი ხელისუფლება უნდა ჩაუფიქრდეს საქმეს და თუ სულ ვერ მოსპობს ამ სამარცხვინო მოვლენას, რამოდენიმედ მაინც შეზღუდოს მატყუარების და უსინდისო არამზადების მოქმედება.

ძველი მუშ.

გაკვეთილი სამეურნეო მუშაკებისათვის

(მემანქანე ხოშტარიას საქმე)

პლეხანოვის კლუბის დარბაზი გაჭედილია მუშებით. მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიურომ თავის სხდომა მუშებთან დაახლოების მიზნით ლენინის რაიონში გადმოიტანა. აქვე სხედან მუშა მსაჯულები.

კრებას ხსნის საჩივართა ბიუროს თავმჯდომარე ამხ. მარკაროვი. გასარჩევია ოთხი საქმე, მაგრამ ამათგან ყველაზე საინტერესოა მემანქანე ხოშტარიას სამუშაოდან მოხსნის საკითხი.

ხოშტარია მოხსნილი იყო ამა წლის 24 აპრილს. ამის შესახებ გაზეთ „მუშა“-ში მოთავსდა მუშკორ ძია ლევანის წერილი, რომლის მიხედვითაც დაიწყო გამოძიება.

მოხსენებას აკეთებს ამხ. დემეტრაშვილი. ის აუდიტორიას აცნობს საქმის მდგომარეობას. შეკითხვების შემდეგ იხსნება კამათი, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მუშებიც. გამოირკვა, რომ მემანქანე ხოშტარია სამსახურიდან მოუხსნიათ სრულიად უკანონოდ, რაშიაც ბრალი მიუძღვით, როგორც ამიერ-კავკ. რკინის გზის მმართველ ამხ. პოზდეევს, ისე რევიზორ ვარლამოვს.

ინსპექციის საჩივართა ბიურო ამ საქმის გამო ადგენს: მემანქანე ხოშტარია აღდგენილ იქნეს თავის თანამდებობაზე, გაცდენილი დროის ხელფასი, რომელიც უნდა მიიღოს ხოშტარიამ, გადახდეს პირადათ ამიერ-კავკ. რკინის გზათა მმართველს ამხ. პოზდეევს და რევიზორ ვარლამოვს, თანახმად სახ. კომ. საბჭოს მიერ 1926 წ. 5 მარტს მიღებული დადგენილებისა.

ამ დადგენილებას მუშები დიდის კმაყოფილებით და აღფრთოვანებით შეხვდნენ.

მემანქანე ხოშტარიას საქმე გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი სამეურნეო ორგანოების და დაწესებულებების სათავეში მდგომ ზოგიერთ ამხანაგებისათვის. დროა ამ ამხანაგებმა შეიგნონ, რომ მუშების მოხსნის დროს საკმაო სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო.

ნიკო მკერვალი.

დამსახურებული მუშები

(წერილი ხაშურიდან)

ამხ. სპ. ბოლოთაშვილი

სპირიდონ ბოლოთაშვილი დასაფასებელია იმ მხრივ, რომ იგი 54 წლის განმავლობაში ემსახურება რკინის გზას.

ამხ. სპირიდონი 1874 წ. მიიღეს თბილისის მთავარ სახელოსნოში მჭედლად, მაგრამ 1889 წ. იგი სამუშაოდან მოხსნეს, როგორც არასაიმედო პიროვნება. 1892 წელს ბოლოთაშვილი ისევ მიიღეს ხაშურის დეპოში ზეინკლად და მას შემდეგ ერთგულად და პატიოსნად მუშაობს ტრანსპორტზე.

საჭიროა ამხ. სპირიდონს შრომის გმირის სახელწოდება მიენიჭოს.

ამხ. დ. ახალკაცი

ამხ. დავით ახალკაცი დაიბადა 1875 წელს. ის სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ ხაშურის დეპოში ზეინკლად იქნა მიღებული.

ამჟამად ახალკაცი მემანქანეების გამრიგებლის მოვალეობას ასრულებს.

ამხ. დათიკო 1901 წლიდან მუშურ სკოლასაც ემსახურება. ხაშურის კლუბის გამგეობამ გადასწყვიტა ამისთვის მას იუბილე გადაუხადოს.

ახალკაცი რევოლუციონურ მოძრაობაშიც მონაწილეობდა.

მისაბაძია ასეთი მუშაკი.

მუნე.

ტრანსპორტის მცარცველები

(რკ. გზის ექსპლოატაციის დარგი)

ჩვენს წარმოებებში კიდევ მრავალ ადგილას არიან მოკალათებული გაფუჩქავატებული პარაზიტები, რომლებიც როგორც წინად, ისე ეხლაც თავის მდგომარეობას ბოროტად იყენებენ და სახალხო ქონებას საკუთარი სარგებლობისათვის ანადგურებენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ასეთ მოხელეებს ფრთები შეაკვეცა. მაგრამ ძველიდანვე სახალხო ქონების მითვისებას ნაჩვევნი თითებს იკვნეტენ და თუ დრო იხელთეს არას დაზოგავენ. ასეთ პირებს მთელი ჯგუფები ჰყავთ შედგენილი და უმოწყალოდ სძარცვავენ ტრანსპორტს. ჯერჯერობით რვა ამგვარი პარაზიტია აღმოჩენილი.

ვინ არიან ეს ვაჟბატონები? ესენი არიან მოქ. დავით ზუბიევი, რომელმაც მძარცველთა ჯგუფი შეადგინა, მისი „ძმა-ბიჭები“ მახარაძე ალექსანდრე, ხეჩაშვილი თეოფანე, ბარბაქაძე ვლადიმერი, ტაბუნოვი სოლომონი, ცხადაძე კალისტრატე, ციბაძე არისტარხი და მაღლაკელიძე ალექსანდრე.

ყველა ეს პირები მსახურობდენ რკ. გზის ექსპლოატაციის მე-2 განყოფილებაში მებარგებლად. მათ აუარებელი ფართალი და ძვირფასი საქონელი გაიტანეს სამსახურის ასრულების დროს და მიითვისეს, რითაც რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს ტრანსპორტის მეურნეობას. მძარცველთა ჯგუფმა ათასნაირი ხერხი იხმარა, რომ ბნელი საქმის კვალი წაეშალა, მაგრამ ტრანსპორტის სახ. პოლიტსამმართველომ სინათლეზე გამოიტანა მათი „გმირობა“.

აღნიშნული პირები ახლო მომავალში წარსდგებიან პროლეტარულ სასამართლოს წინაშე. მოძრაობის დარგის ყველა მუშა მკაცრ სასჯელს მოითხოვს პატიოსან მშრომელთა სახელის გამტეხ ნაძირალებისათვის.

რკინისგზელი.

მუშკორთა წერილებიდან

ავარები გვაწუხებენ. მე-9 სამილიციო რაიონში ლიუტერანის შესახვევის გვერდზე არის სომეხთა სასაფლაო, სადაც ავარები იყრიან თავს და მთელი დღე ყომარს და ზარებს თამაშობენ.

თამაშის დროს მათ ხშირად ჩხუბი მოსდით და ლანძღვა-გინებით იქაურობას იკლებენ. მათი აურ-ზაური და ლრიანცელის გამო ახლო მცხოვრებთ მოსვენება არა გვაქვს.

ნეტა ვიცოდეთ ვინ გვიხსნის ამ ავარებისაგან?

მილიცია, შენ რაღას გვეტყვი?

ინდოშნაძე.

გაუნათებელი ქუჩა. ახალი სანაპირო ქუჩა, სადაც უკვე დაიწყო მოძრაობა, სრულიად არ არის განათებული. რასაც ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს რაიმე უბედური შემთხვევა. საჭიროა ამ ქუჩის განათება.

ბა—ლი.

მოაწერეთ ხელი სესხს!

რეალიზაციის შეღავათიანი პირობები

ა. ფ. ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტებით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია შეღავათიან პირობებში გაგრძელდება 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში იწარმოებს როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური ხელის მოწერა შეღავათიან პირობებში. ის კოლექტივები, რომლებიც ხელის მოწერას ჩამოაყალიბებენ ამ პერიოდში—ობლიგაციების ღირებულებას გადაიხდიან 8 თვის განმავლობაში, ხოლო ინდივიდუალურად ხელის მომწერნი [illegible] თვის განმავლობაში. კოლექტიურათ ხელის მომწერმა პირველ გადახდაზე (1 ნოემბრამდე) თითოეულ ობლიგაციის ღირებულებიდან უნდა შეიტანოს 2 მან. 40 კაპ., მეორე გადახდაზე (1928 წლის 1 სექტემბრამდე)—2 მან. 40 კაპ., მესამე გადახდაზე (1929 წლის 1 იანვრამდე)—3 მან. 60 კაპ., მეოთხე გადახდაზე (1 თებერვლამდე)—3 მან. 60 კაპ., მეხუთე გადახდაზე (1 მარტამდე)—3 მან. 60 კაპ., მეექვსე გადახდაზე (1 აპრილამდე)—3 მან. 60 კაპ., მეშვიდე გადახდაზე (1 მაისამდე) 3 მან. 60 კაპ. მერვე გადახდაზე (1 ივნისამდე)—3 მან. 60 კაპ., და მეცხრე გადახდაზე (1929 წლის 1 ივლისამდე) 3 მან. 60 კაპ., კოლექტიურათ ხელის მომწერლებს ობლიგაციები დაეთმობათ ნომინალურ ფასში. კოლექტიურათ ხელის მომწერლებს სარგებელი ეძლევათ მთელ ობლიგაციაზე 1928 წლის 1 სექტემბრიდან.

ინდივიდუალურათ ხელის მომწერლებს პირველ გადახდაზე (1 ნოემბრამდე) მთელ ობლიგაციაში გადახდებათ—7 მან. 50 კაპ., მეორე გადახდაზე (1 დეკემბრამდე)—7 მან. 50 კაპ., მესამე გადახდაზე (1929 წლის 1 იანვრამდე)—5 მან. და მეოთხე გადახდაზე (1 თებერვლამდე) 5 მან. ინდივიდუალურათ ხელის მომწერლებს ქალაქებში ობლიგაცია დაეთმობათ იმ ფასში, რა ფასიც იქნება დაწესებული ობლიგაციებზე ხელის მოწერის დღეს. სოფლებში კი ინდივიდუალურათ ხელის მომწერლებს ობლიგაციები დაეთმობათ ნომინალურ ფასში.

ნაღდ ფულზე შეძენის დროს მთელ ობლიგაციაში 25 მანეთის ნაცვლად გადახდებათ 24 მან. 50 კაპ. ობლიგაციების გაყიდვა ნაღდ ფულზე იწარმოებს ყველა ბანკებში, შემნახველ სალაროებში, ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ორგანოებში და ყველა იმ დაწესებულებებში, რომლებიც სესხის რეალიზაციაში მოწყობილი იქნებიან კონტრაგენტებათ.

სესხის ქრონიკა

25.000 მანეთი

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატში 15 სექტემბერს შესდგა კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ი. ფანცხავამ.

მოხსენების შემდეგ კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ საბჭოთა ქვეყნის მშრომელი მასების კეთილდღეობის ზრდა დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციასთან, ხოლო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შესაძლოა მხოლოთ მშრომელი მასების ფართო დახმარებით. ამიტომ ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდ საქმეში და ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ხელი მოაწეროს არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასის რაოდენობისა.

კრების შემდეგ დაიწყო ხელის მოწერა. ხელი მოაწერა ყველა თანამშრომელმა, რომლების ერთი თვის ხელფასი შეადგენს 25.000 მანეთს.

პაპიროსი „ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი“

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის სააგიტაციო კამპანიის გაფართოების მიზნით თამბაქოს ტრესტმა დაადგინა, გამოუშვას ახალი პაპიროსები „ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი“-ს სახელწოდებით.

რადიო სააგიტაციო კამპანიაში

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, სააგიტაციო კამპანიაში მაქსიმალურათ იქნება გამოყენებული რადიო. ამ დღეებში დაიწყება მოხსენებების გადაცემა რადიოთი. რადიო-მოხსენებები მოეწყობა სისტემატიურათ.

ადგილებს დაეგზავნათ სააგიტაციო მასალა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, ადგილებს დაეგზავნათ სააგიტაციო მასალა. დანარჩენი მასალების ბეჭდვა ქართულ ენაზე სწარმოებს დაჩქარებითი წესით და დამზადების შემდეგ ეს მასალები დაუყონებლივ დაეგზავნებათ ადგილებს.

ორი გამოცემა

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი გამოშვებულ იქნება ორი გამოცემით: პირველი გამოცემა—პროცენტიან მომგებიანი—250.000.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო მეორე—უპროცენტო მომგებიანი—250.000.000 მან. რაოდენობით. პირველი გამოცემის ობლიგაციების მთელი შემოსავალი (სარგებელი) გაიცემა ნაწილი პროცენტების სახით და ნაწილი მოგებების სახით (გათამაშებით). ხოლო მეორე უპროცენტო-მომგებიან გამოცემის მთელი შემოსავალი გადადებული იქნება გასათამაშებლად

მოგების შანსი იზრდება ყოველი ტირაჟის შემდეგ

პროცენტიან მომგებიანი გამოცემის ყოველ 845 ობლიგაციას პირველ ტირაჟში მოუწევს ერთი მოგება, მაგრამ რადგანაც მოგებული მონაწილეობენ, მოგების შანსი თანდათან იზრდება და უკანასკნელ გათამაშებაში ერთი მოობლიგაციები შემდეგ გათამაშებებში აღარ გება მოუწევს ყოველ 164 ობლიგაციას.

ვინაიდან უპროცენტო-მომგებიანი სესხის მთელი შემოსავალი გადადებულია მხოლოთ მოგებათათვის, ამ გამოცემის ობლიგაციებს გაცილებით მეტი შანსი აქვს მოგების, ვიდრე პროცენტიან-მომგებიან გამოცემის ობლიგაციებს. უპროცენტო-მომგებიან სესხის პირველ ტირაჟში ერთი მოგება მოუწევს ყოველ 164 ობლიგაციას, ხოლო უკანასკნელ ტირაჟში (რადგან მოგებული ობლიგაციები აღარ მონაწილეობენ შემდეგ გათამაშებაში) ერთი მოგება მოუწევს ყოველ 76 ობლიგაციას.

მუშების დაწინაურება

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას მოაწყოს დაწინაურებულ მუშების კურსები-თათბირები.

კურსების მოწყობის მიზნით თბილისის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილება აღრიცხვაზე აიყვანს ყველა დაწინაურებულ მუშებს, რომლებიც მუშაობენ თბილისის საბჭოს და თბილისის აღმასკომის დაწესებულებებსა და წარმოებებში. ამ აღრიცხვასთან ერთად საორგანიზაციო განყოფილება გამოარკვევს, თუ რა პირობებში უხდება მუშაობა თვითეულ მათგანს.

აღრიცხვის დამთავრების შემდეგ საორგანიზაციო განყოფილება ჩაატარებს დაწინაურებულ მუშების კურსებს—თათბირებს, რომელზედაც მოსმენილი იქნება დაწინაურებულ მუშების მოხსენებები მათი მუშაობისა და მუშაობაში შემჩნეულ დეფექტების შესახებ. ამ თათბირებზე დაგროვილ მასალების მიხედვით შემუშავებული იქნება პრაქტიკული მითითებები, რომლებითაც დაწინაურებულმა მუშებმა უნდა იხელმძღვანელონ მომავალი მუშაობის დროს.

გარდა ამისა თათბირებზე ჩატარებული იქნება მთელი რიგი საუბრები საბჭოთა მუშაობის, საბჭოთა აღმშენებლობის და სხვ. საკითხების შესახებ.

ეს თათბირები დაწინაურებულ მუშებს საშუალებას მისცემს არ დაკმაყოფილდენ მარტო თავისი ცოდნითა და გამოცდილებით და მუშაობის დროს იხელმძღვანელონ სხვა დაწინაურებულ მუშების გამოცდილებითაც.

მიმდინარე წელს ასეთი თათბირები მოეწყობა მხოლოდ სექტემბერში, ხოლო 1929 წლიდან თათბირები გაიმართება ყოველ კვარტალში.

საორგანიზაციო განყოფილების გეგმით, აგვისტოსა და სექტემბერში განზრახულია ათი აქტიური მუშის დაწინაურება საპასუხისმგებლო საბჭოთა სამუშაოზე.

კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების მეორე ყრილობა

მეექვსე სხდომა

14 აგვისტოს, დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ქუთაისის მაზრის ინსტრუქტორის ამხ. მარდალეიშვილის მოხსენება კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ ქუთაისის მაზრაში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქუთაისის მაზრაში ამჟამად 22 კოლმეურნეობა ითვლება, რომელიც აერთიანებს 501 წევრს. კოლმეურნეობებში მიწადმოწყობის საკითხი ვერ არის მთლიანად მოგვარებული, რის გამოც, მათ უხდებათ საფონდო მიწებით სარგებლობა. ამას გარდა, ქუთაისის მაზრის კოლმეურნეობები არ ეწევიან იმ საქმიანობას, რომელიც მათი წესდებითაა გათვალისწინებული. იარაღ-მანქანებით მომარაგება მოისუსტებს, რადგანაც სამისოთ გაცემული სესხი დაგვიანებით მოგვდის. კოლექტივების წმენდის დროს გამორიცხულია 14 შეძლებული გლეხი.

საერთოდ კოლმეურნეობები ქუთაისის მაზრაში შესაძლებელია განვითარდეს მემინდვრეობის, მევენახეობის, მებაღეობის, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის და ტექნიკურ კულტურათა დარგებში. საჩვენებელი კოლექტივები მოეწყო ხონში და სოფ. იანათში.

ამხ. მარდალეიშვილის მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ქანთარიას მოხსენება კოლმეურნეობათა ინსტრუქტორების მუშაობის მეთოდების შესახებ. მომხსენებელი ახასიათებს ინსტრუქტორის მნიშვნელობას კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში და აღნიშნავს, რომ ინსტრუქტორმა თავისი მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიაქციოს კოლმეურნეობის წევრთა სოციალურ შემადგენლობას; კოლმეურნეობა უნდა აერთიანებდეს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას. ამიტომ ინსტრუქტორმა კოლმეურნეობებში არ უნდა დაუშვას კულაკები. ამას გარდა ინსტრუქტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს გეგმების შედგენას, რათა წინასწარ განსაზღვრულ იქნეს კოლექტივების სამეურნეო ასპარეზი და გარკვეულ იქნეს მათი საშუალებები.

ინსტრუქტორებმა კოლმეურნეობებში უნდა ჩააბან აგრონომები და სოფლის სხვა კვალიფიციური მუშაკები.

დასასრულ, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ინსტრუქტორებმა კოლმეურნეობის საქმიანობაში უნდა ჩააბან გლეხობის ფართო აქტივი და მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ კონტრაქტაციის და კოლმეურნეობების ინდუსტრიალიზაციის საკითხებს.

მოხსენების შემდეგ ყრილობამ ინსტრუქტორებს დაუნაწილა სამუშაო რაიონები.

მეშვიდე სხდომა

საღამოს სხდომაზე განხილულ იქნა ჩაის, ბამბის, თამბაქოს და ხორბლის კონტრაქტაციის საკითხები. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხაბურზანია, რომელმაც აღნიშნა, რომ წელს „საქართველოს ჩაი“-მ ჩაის პლანტაციების გასაშენებელი სივრცე 2.733 ჰექტარით განსაზღვრა. მუშაობის ცენტრი ჩაის პლანტაციების გაშენების საქმეში გადადის კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობები იმუშავებენ საფონდო მიწებზე, მათ აგრონომიულ დახმარებას მიაწვდის „საქართველოს ჩაი“. ამგვარად, აღნიშნულ დარგში კოლმეურნეობათა მშენებლობა სწრაფი ტემპით წავა წინ. რაც შეეხება ხორბლეულის კონტრაქტაციას, კოლმეურნეობებმა წელს მთელი თავისი მოსავლის სამი მეოთხედი ჩააბარეს საკრედიტო ამხანაგობებს. წელს საქართველოში კონტრაქტაციით ითესება 7.000 ჰექტარი ხორბალი.

დასასრულ, მომხსენებელი შეეხო ბამბისა და თამბაქოს კონტრაქტაციის საკითხს და აღნიშნა, რომ ჩვენი კოლმეურნეობებისათვის ეს ახალი საქმეა, რომელსაც კარგი პერსპექტივები აქვს.

საკავშირო ყრილობა

ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხებზე

15 სექტემბერს თბილისში იხსნება მეოთხე საკავშირო ყრილობა ტუბერკულოზთან ბრძოლის საკითხებზე. ამის გამო ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სანიტარულ-ეპიდემიური განყოფილების გამგეს ექიმ ნაზარეტიანს, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მეოთხე საკავშირო ყრილობა გაიხსნება რუსთაველის თეატრში. ყრილობაზე დაესწრება საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებს 400-მდე დელეგატი და უცხოეთიდან ჩამოსული მეცნიერები. ყრილობაზე დასწრებას აპირებს რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. სემაშკო და უკრაინის ჯანმრთელობის სახ. კომისარი ამხ. უფიმოვი.

ყრილობის საზეიმო სხდომის შემდეგ სტუმრების პატივსაცემად გაიმართება კონცერტი. ყრილობის ერთ-ერთი სხდომა დაეთმობა უცხოეთის (ევროპის) მეცნიერების მოხსენებებს. ყრილობის დღეებში რუსთაველის თეატრის დარბაზში გაიმართება ტუბერკულოზთან ბრძოლის მიღწევების გამოფენა.

საქართველოდან ყრილობაზე გაკეთებული იქნება 6 მოხსენება, მათ შორის 5 მეცნიერული და ერთი საორგანიზაციო ხასიათის. ამ მოხსენებებს გააკეთებენ: თბილისის სახ. უნივერსიტეტის კურორტოლოგიის კათედრის პროფესორი მიხილიცკი, ექიმი გოპაძე, დოცენტი აბაკელია, ასისტენტი ნანეიშვილი, ლექტორი გლიავა, და ექიმი დავთიანი.

დელეგატები თბილისში ჩამოვლენ 13 სექტემბერს. ამავე დღეს გაიხსნება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო საქართველოს კონფერენცია.

ყრილობის დამთავრების შემდეგ დელეგატები დაათვალიერებენ საქართველოს კურორტებს და ყველა ღირსშესანიშნავ ადგილებს. ამ მიზნით თბილისში, ბათომში, ბორჯომში, კავკავში და სხ. ეწყობა საექსკურსიო ბაზები.

ყრილობის მოსაწყობათ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატთან დაარსებულია საორგანიზაციო ბიურო. ბიუროს უკანასკნელი სხდომა შესდგება 13 სექტემბერს. ამ სხდომაზე შემუშავდება ყრილობის მუშაობის გეგმა.

ბინები დელეგატებისათვის დამზადებულია. საორგანიზაციო ბიურომ შუამდგომლობა აღძრა თბილისის აღმასკომის წინაშე, რათა დელეგატებს მიეცეს ტრამვაის უფასო ბილეთები და აბანო შეღავათიან ფასებში.

ამერიკელ მეცნიერის კუნიტის გამგზავრება

ამერიკის სამეცნიერო მუშაკთა დელეგაციის წევრი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. კუნიტი გუშინ საღამოს თბილისიდან გაემგზავრა ბათომში. გამგზავრების წინ საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ კუნიტმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ჩვენი დელეგაცია საბჭოთა კავშირში გაეცნო მეცნიერების სხვადასხვა დარგებს. განსაკუთრებით დელეგაციას აინტერესებდა საბჭოთა სკოლის სტრუქტურა.

მე ამ მიზნით დავათვალიერე სამრეწველო ცენტრების უმაღლესი სასწავლებლები. მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ლაბორატორიები და მივიღე მთლიანი შთაბეჭდილება სამეცნიერო დარგში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გულწრფელად უნდა განვაცხადო, რომ სამეცნიერო მუშაობა საბჭოთა კავშირში უკეთესად არის დაყენებული, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში ნახულმა მოლოდინს გადააჭარბა.

მე ვესაუბრე საბჭოთა კავშირის პროფესორებს და დავრწმუნდი, რომ ისინი კარგად არიან გაცნობილნი საერთაშორისო მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა უკანასკნელ მიღწევებს.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩემზე საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა სოფლის მასწავლებლობამ, რომელთანაც ხანგრძლივი საუბრის დროს მე დავრწმუნდი, რომ ისინი სათანადოდ მომზადებულ პედაგოგიურ ძალას წარმოადგენენ.

ამერიკაში დაბრუნებისას მე დიდის ენთუზიაზმით გამოვალ მოხსენებებით სამეცნიერო წრეებში და ჩემს კოლეგებს გავაცნობ საბჭოთა კავშირის მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიღწევებს. იმედს გამოვსთქვამ, რომ მომავალში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის სამეცნიერო კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება.

სამწუხაროდ მე ვერ მოვასწარი დაწვრილებით გავცნობოდი იმ სამეცნიერო მუშაობას, რომელიც საქართველოში სწარმოებს. მაგრამ ის, რაც ვნახე, ცხადყოფს, რომ თქვენში მუშაობა ამ დარგში რაციონალურ ნიადაგზეა დაყენებული.

წითელ ჯარში მორიგ გაწვევის წინ

გასაწვევ ახალგაზრდების განაწილება ჯარის სხვადასხვა სახის ნაწილებში

სამხ.-საზღვაო სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებულია ინსტრუქცია ნამდვილი სამხედრო სამსახურში მიღებულ მოქალაქეთა განაწილების შესახებ წითელი ჯარის სხვადასხვა სახის ნაწილებში.

ქვეითი ჯარში დაინიშნებიან ჯანმრთელი, ღონიერი, და მარჯვე ახალგაზრდები, სიმაღლით არა ნაკლებ 153 სანტიმეტრისა.

არტილერიაში დაინიშნებიან ახალგაზრდები მაგარი აგებულობით და საუკეთესო მხედველობით და მსმენელობით. სიმაღლე საჭიროა არა ნაკლებ 160 სანტიმეტრისა. ყურადღება მიექცევა, რომ არტილერიაში გასაგზავნ ახალგაზრდებმა იცოდნენ სამჭედლო, საზეინკლო და სადურგლო საქმე.

ცხენოსან ნაწილებში დაინიშნებიან ახალგაზრდები სიმაღლით 160—174 სანტიმეტრამდე, წონით არა უმეტეს 73 კილოგრამისა, სავსებით ჯანმრთელნი, მაგარნი, კარგი მხედველობით და მსმენელობით. ცხენოსან ნაწილებში დასანიშნათ საჭიროა ცხენის მოვლის და ცხენოსნობის ცოდნა.

საკავშირო ნაწილებში გაიგზავნებიან ახალგაზრდები, რომლებიც იცნობენ სატელეგრაფო და სატელეფონო საქმეს.

რადიო-მოყვარულნი, რომლებმაც დაამთავრეს გასამხედროებული რადიო-კურსები, გაიგზავნებიან პირველ რიგში რადიო-ნაწილებში.

საინჟინერო ნაწილებში დაინიშნებიან დურგლები, მჭედლები, ქვისმთლელები, კალატოზები, მექანიკოსები და სარკინიგზო საქმის მცოდნენი.

ქიმიურ ნაწილებში დაინიშნებიან ახალგაზრდები სავსებით ჯანმრთელნი, კარგი მხედველობით, მსმენელობით და განვითარებულ ყნოსვა-კერძოდ.

საჰაერო ნაწილებში დაინიშნებიან ახალგაზრდები საუკეთესო მხედველობით და მსმენელობით, რომლებიც იცნობენ სამოტორო საქმეს და უმუშავნიათ ავიო-მშენებელ ქარხნებში.

შეღავათი მოწაფეებს

1905 წელში დაბადებული მოქალაქენი, რომლებსაც გასული წლის გაწვევის დროს ავადმყოფობის გამო, გაუგრძელდათ ჯარში გაწვევის ვადა ერთი წლით და ამ დროს შევიდნენ რაიმე სასწავლებელში, მომავალი გაწვევის დროს ისარგებლებენ გაწვევის ვადის გაგრძელებით საერთო წესით.

პროფტექნიკურ განათლების შესახებ

ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შესაფერ კვალიფიკაციის სპეციალისტების საჭირო რაოდენობის გამორკვევა და მათი მომზადება განათლ. კომისარიატის პროფგანათლების მთავარი მმართველობის საქმეა. ძნელი გამოდგა იმის გამოანგარიშება და გათვალისწინება, თუ როგორი კვალიფიკაციის და რამდენი სპეციალისტი ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას. სპეციალისტების მომზადება მარტო პროფგანათლების მთავარ სამმართველოს არ შეუძლია, თუ ს. მ. უ. ს. და სხვა სათანადო ორგანოებმა არ გაუწიეს მას დახმარება. მრავალჯერ მოხდა ცდები, მაგრამ ჯერ-ჯერობით ჩვენი პროფტექნიკური განათლება მაინც არაა მტკიცე გეგმიან საფუძველზე დამყარებული. რამდენი გვინდა ჩვენ დაბალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რამდენი გვესაჭიროება, მაგ. ინდუსტრიალური, ან სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმი და სხვ., ეს საბოლოოდ გამორკვეული არაა. ამიტომაა, რომ პროფტექნიკურ სკოლების მტკიცე ქსელი დღემდე ვერ ჩამოყალიბდა. მაინც აშკარაა, რომ დაბალ და საშუალო პროფტექნიკურ სკოლების ეხლანდელი ქსელი საკმაო არაა. ვინაიდან ჩვენი სამეურნეო, კოოპერატიული და სხვ. ორგანოები ვერ იძლევიან სწორ ცნობებს მათთვის საჭირო სპეციალისტების შესახებ, აქამდე ვარაუდით ხდება პროფტექნიკური განათლების დარგში ხელმძღვანელობა.

ცნობილია, რომ სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმები, მაგ., კოოპერატიული ორგანიზაციებისათვის ამზადებენ საშუალო კვალიფიკაციის მუშაკს. მაგრამ კოოპერაცია ვერ უწევს მათ სათანადო ხელმძღვანელობას, მზრუნველობას. მას ძლიერ სუსტი და ფორმალური კავშირი აქვს ამ ტექნიკუმებთან. ამავე დროს ის აწყობს სხვადასხვა კოოპერატიულ კურსებს, რომლებიც ნაკლებ მომზადებულ მუშაკებს უშვებენ. კოოპერაციამ ვერ გაიგო, რომ სამრეწველო-ეკონომ-ტექნიკუმები მისთვის ამზადებენ მუშაკებს. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ სამრეწველო ეკონომიურ ტექნიკუმის კურს დამთავრებულნი, რომლებიც შედარებით კარგი კოოპერატორები, ბუხჰალტრები, სტატისტიკოსები და სხვ. არიან, უმუშევრად დადიან. სამაგიეროდ საბუხჰალტრო ან კოოპერატიულ კურსებზე ნამყოფი დაბალი კვალიფიკაციის მუშაკები ადგილს შოულობენ. ცხადია, პრაქტიკულ მუშაობაში ტექნიკუმ-დამთავრებულნი, რომლებიც 4 წელიწადს სპეციალურ საგნებს სწავლობენ, გაცილებით უკეთესად მომზადებული იქნებიან და მათი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება. ეს დიდი გაუგებრობაა, რომ ზოგი სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანო ალმაცერად უყურებს ჩვენი უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტებს. თუ რაიმე ნაკლი აქვს ჩვენს სპეცტექნიკუმებს და უმაღლეს სასწავლებლებს, ის უნდა გამოსწორდეს თვით დაინტერესებულ დაწესებულებათა დახმარებით, მაგრამ მათში ცოდნა მიღებულნი მაქსიმალურად უნდა იქნან გამოყენებული. ამას ამბობს საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას უკანასკნელი პლენუმის დადგენილებაც.

ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება სხვადასხვა კვალიფიკაციის სპეციალისტები: დაბალი, საშუალო და მაღალი. მათ შორის რაოდენობის მხრივ ერთგვარი პროცენტი უნდა იქნეს დაცული. მაგ., დაბალი და საშუალო კვალიფიკაციის მუშაკები მაღალზე გაცილებით მეტია საჭირო. როგორც ზემოთ ვსთქვით, ჯერ ჩვენ არა გვაქვს სწორი ციფრები, თუ რამდენი დაბალი, საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები გვესაჭიროება უახლოეს წლებში და არც ის ვიცით დანამდვილებით, გამოუშვებთ თუ არა უახლოეს წლებში საკმაო სპეციალისტთა რაოდენობას. ხშირად ჩვენი ვარაუდი არ მართლდება. ხან ჩვენ დაახლოებით ვარკვევთ იმას, თუ რამდენი მუშაკი დაგვჭირდება ამა თუ იმ დარგში, მაგრამ ვერ ვანგარიშობთ იმას, თუ რამდენს მოვამზადებთ. მაგალითისათვის ავიღოთ უმაღლესი განათლების მქონე მუშაკები. განათლების სახ. კომისარიატის ცნობით, ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ესაჭიროება უმაღლეს სწავლა მიღებული ახალი სპეციალისტები სხვადასხვა დარგში 3.150 კაცი, ანუ საშუალოდ ყოველ-წლიურად 600—650 კაცი. იმავე კომისარიატის ცნობით, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები გამოუშვებენ 4.000 კაცს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები არ ამზადებენ შემდეგ სპეციალისტებს: ვეტერინარებს, კბილის ექიმებს, ფარმაცევტებს, ზოოტექნიკებს და მიწად-მომწყობებს კოლმეურნეობისათვის, და სხვ. ამრიგად უმაღლესი სასწავლებლები ზოგიერთ დარგში თითქოს უშვებენ გაცილებით იმაზე მეტს, რაც ჩვენ გვესაჭიროება. მაგრამ, მეორე მხრით, მთელ რიგ სპეციალისტებს სრულიად ვერ ვამზადებთ. ამასთანავე აქ საყურადღებოა თვით ვარაუდის სისწორე. მართლა გამოუშვებს ჩვენი უნივერსიტეტი და პოლიტექნიკური ინსტიტუტი 4.000 კაცს 5 წლის განმავლობაში? საეჭვოა. შეიძლება იმდენს მაინც გამოუშვებს რამდენიც ჩვენ გვესაჭიროება, ე. ი. 3150 კაცს ვნახოთ რას გვეუბნება ნამდვილი? განათ. კომისარიატის სტატისტ. განყოფილების ციფრები ასეთია: 1922-23 წლიდან 1926-27 წლამდე, ე. ი. 5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტს გამოუშვია 819 კაცი პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ამავე წლებში გამოუშვია 529 კაცი, სულ 1348 კაცი. ყველასათვის აშკარაა, რომ უნივერსიტეტი და პოლიტ. ინსტიტუტი ძლიერ დატვირთული არიან მსმენელებით, რომლებსაც სრულიად არ ყოფნით კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები და სხვ რომ პრაქტიკული მუშაობა აწარმოონ. ამიტომ აუცილებელია სტუდენტთა რიცხვის შემცირება. ამ ჟამად კი უნივერსიტეტში 7 ათასზე მეტი სტუდენტია. ცხადია, ამდენ მსმენელს უნივერსიტეტი ვერ დაიტევს. ამიტომ საჭიროა სტუდენტთა ნორმალური რაოდენობის მიღება, რომ სტუდენტობამ ხელსაყრელ პირობებში აწარმოოს მეცადინეობა და სათანადო მომზადება მიიღოს. ასეთ პირობებში ჩვენ არ უნდა ველოდეთ გამოშვებულთა რიცხვის საგრძნობ ზრდას. ამასთან, უმაღლეს სასწავლებელთა პროლეტარიზაციის პირველ ხანებში მსმენელთაგან აკადემიური მეცადინეობის საჭირო დონეს არ უნდა ველოდეთ, რადგან მატერიალური პირობები ღარიბებს ხელს უშლიან ამ მხრივ და აძნელებენ მათ მიერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებას. მთელ საბჭოთა კავშირში შემჩნეულია, რომ ძლიერ ცოტა ამთავრებს უნივერსიტეტს. უნდა ველოდეთ თუ არა გამოშვებულთა რიცხვის ზრდას. მაგრამ ვსთქვათ შესაფერი პირობები შევქმენით მეცადინეობისათვის და გამოშვების პროცენტი 2-ჯერ გავზარდეთ, რაც ჩვენ მოგვცემს 2.696 კაცს. 3.150-ს ადა 2.696 შორისაც მაინც დიდი მანძილია. ამგვარად, 4.000 კაცის გამოშვებაზე ლაპარაკი მოკლებულია საფუძველს. შეიძლება ასეთ ვარაუდს შედეგათ მავნე შედეგები მოყვეს. ამიტომ, ყველა კატეგორიის სპეციალისტების საჭირო რიცხვის გამოანგარიშებასთან ერთად, აუცილებელია იმის სწორი გათვალისწინებაც, თუ რამდენ სპეციალისტს მოვამზადებთ.

ახლა შევეხოთ საკითხს, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ჩვენი პედაგოგიური ტექნიკუმები მასწავლებლობაზე არსებულ მოთხოვნილებას. ჩვენ ამჟამად გვესაჭიროება რამოდენიმე ათასი საშუალო კვალიფიკაციის პედაგოგი საბჭოთა სკოლებისათვის. როცა საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადავალთ, მაშინ პედაგოგიურ არმიის რიცხვი ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს. ვამზადებთ თუ არა ჩვენ საკმაო რაოდენობის პედაგოგებს? არა. ჩვენ გვაქვს 12 პედაგოგიური ტექნიკუმი პედაგოგიურ ინსტიტუტის ჩართვით. მომავალ წლიდან უკანასკნელი პედაგოგიურ ფაკულტეტს შეუერთდება. ორივეში 1926-27 წ სწავლობდა 898 მსმენელი. არც ერთ პედტექნიკუმს ჯერ გამოშვება არ დაუწყია (მხოლოდ პედინსტიტუტი უშვებს წელს 54 კაცს). როცა გამოშვებები სისტემატიურად დაიწყება. მაშინ ყოველწლიურად უნდა ველოდეთ არა ათასებს, როგორც გვესაჭიროება, არამედ არა უმეტეს 300 კაცისა. ეს ხომ წვეთია ზღვაში. გასულ წელს საქ. კომპარტიის ცეკამ გამოიტანა სპეციალური დადგენილება პედაგოგიური განათლების გაფართოების და გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ მეორე წელი გადის მის შემდეგ და არავითარ ცვლილებას ამ მხრით ადგილი არა აქვს. პედაგოგიური განათლება სუსტი ადგილია პროფტექნიკურ განათლებაში, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

დაბოლოს, აღსანიშნავია ერთი ნაკლი, რომელიც თან სდევს ჩვენს პროფტექნიკურ განათლებას. ეს არის დაბალი, საშუალო და მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებაში საჭირო შეფარდების დაუცველობა. ამხ. კრუპსკაიამ კომაკადემიის სხდომაზე სთქვა: „იმ დროს, როცა ჩვენ ქვეყანას ყველაზე მეტად ესაჭიროება საშუალო მუშაკები, ამა თუ იმ დარგის ტექნიკები და განათლებულ კვალიფიკაციურ მუშების მომზადება,—სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო განათლების დარგში დაბალ სკოლებში სწავლობს მხოლოდ 5.000 მოწაფე; საშუალოში—14.000 და უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში 22.000 კაცი. გამოდის დიდი თავი, პატარა სხეული და ფრიად სუსტი და მოკლე ფეხები. ეს მახინჯი მოვლენაა, რომელსაც ადგილი აქვს სპეციალურ განათლების სხვა დარგებშიაც“.

მართალიც, ჩვენ ყველაზე მეტად გვესაჭიროება უბრალო სპეციალური მუშაკები, განათლებული, მომზადებული, ახალი ტიპის კვალიფიკაციური მუშები. უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა შერჩევით უნდა ხდებოდეს. ჩვენში შექმნილია ყალბი შეხედულება, რომ თუ უმაღლესი სკოლა არ დაამთავრე, ისე არაფერად გამოდგები. ამიტომ ყველა სტიქიურად მიილტვის უმაღლესი სასწავლებლისაკენ. გერმანიაში ერთ ინჟინერზე ოთხი ტექნიკოსი მოდის, ჩვენში ძლივს ერთი. იმისათვის რომ დაბალი და საშუალო კატეგორიის სპეცმუშაკები მოვამზადოთ, საჭიროა დაბალ და საშუალო პროფტექნიკურ ქსელის გეგმიანად გაფართოვება. რას გვეუბნებიან ციფრები, რამდენს ვამზადებთ ჩვენ მაღალ და საშუალო ან დაბალ სპეცმუშაკებს?

1927 წ. ციფრების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო განათლების დარგში ასეთი მდგომარეობა იყო: დაბალ სასოფლო-სამეურნეო სკოლებში სწავლობდა 536 მოწაფე, სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმებში 996, უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტი და პოლიტ. ინსტიტუტი) 1.890 მსმენელი. **ტექნიკურ განათლების დარგში:** საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში სწავლობდა 541 მოწ., ინდუსტრიალურ ტექნიკუმში 712, უმაღლეს სასწავლებლებში-კი 2263. **პედაგოგიური განათლება:** პედაგოგიურ ტექნიკუმებში (პედინსტიტუტის ჩართვით) სწავლობდა 898, უმაღლეს სასწავლებლებში კი 1.615 მსმენელი. **ეკონომიური განათლება:** სამრეწველო-ეკონომიურ ტექნიკუმებში სწავლობდა 839 მოწაფე; უმაღლეს სკოლებში—2.300. **სამკურნალო განათლება:** აქაც ასეთივე მდგომარეობაა. ჩვენ გვაქვს ერთი მედიკური ტექნიკუმი, რომელიც შედარებით ძლიერ მცირე რიცხვს უშვებს მუშაკებისას, უმაღლეს სასწავლებელში კი სწავლობდა 957 მსმენელი.

1927-28 სასწ. წელშიც შეფარდება დაახლოებით იგივე დარჩა, როგორიც იყო 1926-27 სასწავლო წელში.

აქედან სჩანს, რომ საშუალო და დაბალ კვალიფიკაციის მუშაკები, რომელთა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს უმაღლეს ცოდნა-დამთავრებულებთან შედარებით, ძლიერ ცოტა მზადდება (2-3 ჯერ ნაკლები).

პროფგანათლების სკოლების ქსელი სწორედ იმ არსებას წააგავს, რომელსაც თავი უზარმაზარი აქვს, სხეული პატარა და ფეხები სუსტი და მოკლე. ეს არანორმალური მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, თორემ მთელი ჩვენი სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობა დიდად შეფერხდება.

სპეციალისტების მომზადების შესახებ საქ. კომ. (ბ) ცეკას ივლისის პლენუმმა დაადგინა შემდეგი: გაფართოებულ იქნეს ტექნიკუმების კონტინგენტი და ქსელი იმგვარად, რომ ხუთწლედის ბოლოში შეფარდება ინჟინერებს და ტექნიკოსებს შორის იყოს არა ნაკლებ 2:3-სა.

საჭიროა მეტი გეგმიანობა სპეციალისტების მომზადების დარგში.

დ. ორაგველიძე.

ქობულეთის მხარე

(წერილი ბათომიდან)

„ქობულეთი სიტყვა ქობულიდან წარმოსდგებაო“—მითხრა ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა. „ეს მხარე წინად სახელ-განთქმული, ქებული მხარე იყო და ბოლოს სახელადაც ქებულეთი, შემდეგ კი ქობულეთი დაარქვეს“-ო.

რამდენად მართალია ზემო-თქმული სიტყვები, რა მოგახსენოთ, მხოლოდ როცა ქობულეთის მდებარეობას, ბუნებას და ამჟამად წარმოებულ აღმშენებლობასაც გაეცნობით. ზემო აღნიშნული სიტყვები ქობულეთის შესახებ მართლაც გეჭაშნიკებათ.

მდიდარი იყო ქობულეთი მუდამ ბუნებით. ერთ დროს დასავლეთ საქართველოს სიამაყესაც წარმოადგენდა ის კულტურულადაც, მაგრამ დროთა ვითარებამ მას ბევრი უბედურება არგუნა, ათასგვარ სხვადასხვა ტომის ხალხის ფეხი სთელავდა [illegible]. ნამდვილი პატრონი ამ კუთხეს არ ჰყავდა და მისი სიმდიდრე და სილამაზე სხვას ხმარდებოდა.

მეფის მთავრობასაც კარგად ესმოდა ამ კუთხის ავ-კარგი და საშუალებას აძლევდა თავის მოხელეებს, ერთგულ ჩინ-ორდენებს ფართოდ მოეკიდებინათ ფეხი ამ მხარეში და ეშენებინათ დიდებული სასახლე-ბაღები. რამდენიმე ათეული მეფის [illegible] რამდენმა ძველმა მეფის მოხელეებმა ჯაიშენეს სასახლეები და ბაღები. შენდებოდა და კეთდებოდა ყველაფერი, მაგრამ ქობულეთის სამკვიდრო მცხოვრებლებისათვის, ნამდვილი პატრონებისათვის იოტის ოდენა არაფერი იყო.

იქ სადაც სასახლეებს აგებდა მეფის მთავრობა, სადაც აუარებელ თანხას ჰყრიდა ლამაზი და მაღალი თაღების გასაკეთებლად, ერთ კაპიკს არ ხარჯავდა გზების გასაყვანად, არხების გასაჭრელად, სკოლების ასაგებად და სხ..

იქ, სადაც ერთი ქეიფობდა და მხიარულობდა, მეორე შიმშილით კვდებოდა. იქ, სადაც სიქეიფოდ და საჰაეროთ მოდიოდნენ შორი მხრიდან, ადგილობრივი მცხოვრებნი იქიდან გარბოდა და თავის სამკვიდროს სცილდებოდა.

ასე იყო წინად, მაგრამ სულ სხვა არის დღეს. ქობულეთმა ყველაზედ უკეთ იგემა საბჭოთა ხელისუფლების ნაყოფი. ერთბაშად გაიდევნა ქობულეთიდან ძველი „კაცები“. დაეცალა მათი სასახლე და ბაღები, გაიწმინდა ჰაერი მათი შხამისაგან და მთელ სიმდიდრეს მშრომელი ხალხი დაეპატრონა.

სულ ახლა დღეს ქობულეთი, სადგურიდან შვიდ-რვა ვერსის მანძილით ფართო და ლამაზი გზა გაყვანილი, წყლებზე, სადაც წვიმებში გასვლა არ შეიძლებოდა აგებულია ხიდები, გახსნილია სკოლები, ბავშვთა ბაღი, კლუბი და სხვა კულტურული დაწესებულებები.

ქობულეთის მცხოვრებლები გულხელ დაკრეფილი არ შეხვდნიან საბჭოთა წყობილების დამყარებას. მათ მაშინვე მოკიდეს მუშაობას ხელი. ქობულეთელი ახალგაზრდები, რომლებიც ბევრად არ განირჩევიან გურულებიდან ზნე-ჩვეულებით, გამოსულობით, მუშაობაში და საზოგადო საქმეში ჩაბმით, მაშინვე დაეწაფნენ სწავლას და ღია სკოლის კარებით ფართოდ ისარგებლეს. დღეს ქობულეთს მრავალი გამოჩენილი სწავლა-დამთავრებული ახალგაზრდა ჰყავს და მრავალი კიდევ ეზრდება. სულ სხვანაირი შესახედია დღეს ქობულეთი, იქ მშრომელთა სასახლეებია, იქ მათთვის გაშენებული კურორტი და ბაღებია, სადაც დასვენებასთან ერთად ჯანმრთელობასაც იძენენ. ქობულეთი საკურორტო ადგილია მისი იშვიათი ჰაერით, წმინდა ზღვით და ფართო პლიაჟით ბევრს იზიდავს სხვადასხვა კუთხიდან. ივნისიდან ოქტომბრამდე აქ აუარებელი მოაგარაკენი მოდიან, ზღვის ნაპირი სავსეა მათით და ასე მთელი ზაფხულის განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ აჭარისტანის მთავრობაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კუთხეს და ყოველგვარ დახმარებას აძლევს. დიდი მომავალი აქვს ქობულეთს ამ მოკლე ხანში, აჭარის-წყლის ჰიდრო-სადგურის დამთავრება ქობულეთს ერთი ორად ააყვავებს და გამშვენიერებს. ქობულეთის ახლო-მახლო მდებარე სოფლებიც არ არიან კარ-ჩაკეტილნი, თვითეულ გლეხს კარგად აქვს შეგნებული სწავლის მნიშვნელობა და თითეული სოფელი სკოლას აშენებს. მანამდე თუ იჭვის თვალით უყურებდა ვინმე სწავლას, დღეს ეს უკვე აღარაა. ქობულეთელ გლეხს კარგად ესმის თავისი ინტერესები და უკან არავის უნდა ჩამორჩეს განათლებაში.

ქობულეთის მხარე განთქმულია აგრეთვე მანდარინებისა და ფორთოხლის მოსავლით ყოველ გლეხს აქვს გაშენებული ეს მცენარეები და კარგ მოსავალსაც ღებულობს. თუმცა აქ ორი წლის ცივმა და უჩვეულო ზამთარმა ბევრად დააზიანეს მანდარინისა და ფორთოხლის ხეები.

ქობულეთის მხარე, როგორც გურია, სიმინდის მოსავლით სარგებლობს. თუმცა აქ ბრინჯის თესვაც არის შემოღებული, რაც კარგ მოსავალს იძლევა.

პ. ოგოლი.

ქრონიკა

ამხ. მუსაბეკოვის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან კავკავში გაემგზავრა საკავშირო ცაკის და აზერბეიჯანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი.

დანიელი აგრონომის ჩამოსვლა

გუშინ ღამით, თბილისში ჩამოვიდა დანიელი აგრონომი ტ. ელინგერი.

ელინგერი საქართველოში გაეცნობა აგრო-დახმარების საქმეს და საბჭოთა მეურნეობებს.

სამხრეთის მცენარეულობის ნედლეულის ინსტიტუტი

საბჭოთა კავშირის მრეწველობა დიდი რაოდენობით ხარჯავს სამხრეთის ქვეყნებში მომავალ მცენარეულობის მედლეულს, რაზედაც იხარჯება ძალიან დიდი თანხები. როგორც ფიქრობენ, შესაძლოა ამ ნედლეულობის მოშენება საბჭოთა კავშირის სამხრეთის ტერიტორიაზე. ამ საკითხის გამოსარკვევად განზრახულია მოეწყოს სამხრეთის მცენარეულობის ნედლეულის ინსტიტუტი. საქართველოს მიწად-მოქმედების სახ.კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო, რომ ეს ინსტიტუტი მოეწყოს თბილისში, რის შესახებაც აღძრულია სათანადო შუამდგომლობა.

ინსტრუქტორების გადამზადება

დღეს ცეკავშირში გაიხსნება ა.კ. სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტრუქტორების გადასამზადებელი კურსები. კურსებზე წარმოდგენილ იქნებიან საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის რესპუბლიკების და ავტონომიურ რესპუბლიკების სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტრუქტორები. კურსებზე მეცადინეობა გაგრძელდება ერთი თვე.

აბანო ლენინის რაიონში

ამ მოკლე ხანში თბილისის აღმასკომი შეუდგება აბანოს აგებას ლენინის რაიონში. ამჟამად სწარმოებს მოსამზადებელი მუშაობა, როგორც ასაგებ ადგილის აგეგმვა და სხ.

ამერიკელ ჟურნალისტის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან გაემგზავრა ამერიკის სამეცნიერო მუშაკთა დელეგაციის წევრი, ჟურნალ „აზია“-ს თანამშრომელი და გაზ. „უორლდ უორკლ“-ის კორესპონდენტი მოროუ ხინდუსი.

შრომის კოლექტივების მომარაგება

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულმა საქართველოში შეიმუშავა შრომის კოლექტივების სასურსათო და სამრეწველო საქონლით მომარაგების გეგმა.

საძოვრების გაუმჯობესება

ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრებში მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა გამოჰყო მიწის ნაკვეთები, სადაც აწარმოებს ცდებს საძოვრების გასაუმჯობესებლად. ამ ნაკვეთებზე ითესება გაუმჯობესებული ჯიშის ბალახის თესლები. ამავე მიზნით ბორჩალოს და ახალქალაქის რაიონებში მიწადმოქმედების კომისარიატი აწარმოებს სამელიორაციო სამუშაოებს.

სპეციალისტ მერძევეების მომზადება

მერძევეობის სპეციალისტების მომზადების მიზნით მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა ლეჩხუმის მაზრაში 6 აგვისტოს გახსნა სპეციალური მერძევეობის კურსები. კურსებზე ირიცხება 30 ადგილობრივი გლეხი. მერძევეობასთან ერთად მსმენელებს ასწავლიან საქონლის მოვლასაც. კურსებს ხელმძღვანელობს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ მივლინებული სპეციალისტი ამხ. ციმაკურიძე.

მოქალაქეთა საყურადღებოთ

ქალაქ თბილისის კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 20, 21 და 22 აგვისტოს თბილისის გარნიზონის ერთ-ერთი ნაწილი მდინარე „თათრის ხევი“-ს და „ტახტები“-ს მთის რაიონებში აწარმოებს საბრძოლო სროლას შაშხანა თოფებიდან.

მეფუტკრეობის კურსები

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატს ზუგდიდში მოწყობილი ქონდა მეფუტკრეობის მოკლევადიანი (ორ კვირიანი კურსები, რომელიც მოისმინა 41 ადგილობრივმა გლეხმა. მსმენელთა ამ რაოდენობიდან გამოცდები ჩაბარა 18 კაცმა.

ჟურნ. „კაპიტალის ტყვეების ხმა“

გამოვიდა და ურიგდება ხელის მომწერთ, საქ. რემედასის ცენტრ. კომიტეტის ერთდროული გამოცემა ჟურნ. „კაპიტალის ტყვეების ხმა“.

პრემიების გათამაშება ხელის მომწერთათვის დანიშნულია ა-წ. 20 აგვისტოდან.

დღეს მუშათა კლუბებში

— მედსანშრომის მუშათა კლუბში—სიმფონიური კონცერტი ხესსინის ხელმძღვანელობით.

— ახ. მუშათა კლუბში—მსახიობ არმიანის ხელმძღვანელობით დაიდგმება პიესა „დეგაევის გამცემლობა“.

— მშენებელთა კლუბში—ჭიათურის მუშათა სატირის გასტროლები.

— საბჭ. და სავაჭრო მუშაკთა კლუბში—საღამო-კონცერტი.

— ცენტრ. მუშათა კლუბში—კინო.

— საქართველოს მთიელთა საზოგადოების საზაფხულო კლუბში—გაიმართება საღამო-სეირნობა და კონცერტი.

— ხელოსანთა კლუბში—საღამო სხვადასხვა გასართობებით.

დღეს კინოებში

ეთერში—„რობინზონ კრუზო“.
დარბაზში—„რობინ გუდი“.
პალასში—„კრუჟევა“.
პროლეტარში—„მგლის შვილი“.
განთიადში—„საყვარელი მაწანწალა“.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

გუშინ, დღისით, მლაშე ტბასთან იპოვეს მძიმედ დაჭრილი პავლე პეტრეს ძე სტრუნგესი.

როგორც გამოირკვა, სტრუნგესი 15 აგვისტოს სახლიდან გასულა მლაშე ტბისაკენ სანადიროთ და თან წაუღია ყუმბარა, რომელიც უცაბედათ აუფეთქდა ხელში. ყუმბარის ნატეხი მას მოხვდა თავში. სტრუნგესი გაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

ქურდობა

გაქურდეს ლიუბა ტიმოფეევას ბინა (ლენინის ქ. № 14), წაიღეს სხვადასხვა ნივთები.

—კომუნალურ ქუჩაზე გარიმ-ოღლის ჯიბიდან ამოაცალეს ფული და სხვადასხვა საბუთები. ამ საქმეზე დააპატიმრეს ყურბან-ოღლი.—ბოქლომის გატეხის საშუალებით ვიღაც ბოროტმოქმედმა განიზრახეს მ. ფრანგულიანცის დუქნის (პეტრიწის მოედ. № 38) გაქურდვა, მაგრამ საქონლის წაღება ვერ მოახერხეს.—გაქურდეს თედორე გენგურის ბინა (იურიევის ქ. № 49), მოპარულია 110 მანეთის საოჯახო ნივთები.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სამუშაო გეგმა

საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი ამჟამად ადგენს მომავალ წელში საქართველოს სასოფლო-მეურნეობაში განსახორციელებელ ღონისძიებათა ნაკრებ გეგმას, რომელიც შეთანხმებული იქნება სასოფლო მეურნეობის საკონტროლო ციფრებთან საერთო ეკონომიურ პოლიტიკის ღონისძიებებთან ერთად. გეგმით გათვალისწინებულია კონკრეტიული ღონისძიებებიც, როგორც მაგალითად, მოსახლეობის კოოპერაციაში დაჩქარებით შეკავშირება; სოფლის, ღარიბი და საშუალო ფენების ჩაბმა კოლექტიურ მეურნეობებში; კოლექტიურ მეურნეობათა საქმიანობის გაფართოება და მათი გავლენის გაძლიერება გლეხურ მეურნეობებზე. გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე მიწათმოწყობის დაჩქარებით გატარება.

სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციაში მონაწილე დაწესებულებათა მუშაობისათვის გეგმიანი ხასიათის მიცემის მიზნით, შემუშავებული იქნება აღნიშნული დაწესებულებათა საალმშენებლო გეგმებს შეთანხმების წესი; გამორკვეული იქნება საწარმოთა ტიპები, რომლებიც საჭიროა სას. მეურნეობის, სხვადასხვა დარგების პროდუქციის გადასამუშავებლათ; შემუშავებული იქნება ღონისძიებები სას.-სამ. კოოპერაციის ძირითად ქსელისთვის ფართო ტეხნიკურ დახმარების აღმოსაჩენათ და მიღებული იქნება ზომები, რომ ამ ქსელის აღმშენებლობაში მოზიდული იქნეს კოოპერაციაში შეკავშირებული მოსახლეობის საშუალებები, გეგმით განზრახულია აგრეთვე მოსახლეობის მომარაგება მუშა-საქონლით და ამ მომარაგების ფინანსიურათ უზრუნველყოფა.

განზრახულია გაუმჯობესებული თესლეულობის სახელმწიფო ფონდის შექმნა და მოსახლეობის მომარაგება აღნიშნული თესლეულით.

მიწათმოქმედების დარგში გამოკვლეული იქნება, თუ რით არის გამოწვეული გლეხის მეურნეობათა დაქუცმაცება და გამონახული იქნება ღონისძიებები დაქუცმაცების თავიდან ასაცილებლად.

კოლექტიური მეურნეობანი გაერთიანებული იქნება ცალ-ცალკე კავშირებში. გაერთიანებულ კოლმეურნეობათა სისტემაში ჩაბმული იქნებიან სამანქანო, სატრაქტორო და მელიორატიული ამხანაგობები.

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი აწყობს სპეციალურ კურსებს, რომელზედაც მომზადებული იქნებიან კოლმეურნეობათა და მათი გაერთიანების ორგანიზატორ-ხელმძღვანელები. სოფლის სკოლებში, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში და უმაღლეს სას.-სამ. სკოლებში განზრახულია მიწის კოლექტიური წესით დამუშავების სწავლების შემოღება.

ექსკურსიები

ექსკურსია ბაკურიანში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილება შაბათს, 18 აგვისტოს აწყობს პროფკავშირთა წევრების ექსკურსიას ბაკურიანში.

ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 250 კაცი, რომლებიც თბილისიდან გაემგზავრებიან სპეციალური მატარებლით შაბათს ნაშუადღევის 4 საათსა 45 წუთზე.

ექსკურსია თბილისში დაბრუნდება 21 აგვისტოს დილით. ექსკურსიის ხელმძღვანელია გ. გაჩეჩილაძე.

საექსკურსიო სეზონი ბათომში

მიუხედავათ წვიმიანი ზაფხულისა ბათომში მრავალი ექსკურსანტი იყრის თავს საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეებიდან. აჭარისტანის საექსკურსიო ბიუროს ცნობებით, წელს ბათომში ჩამოვიდა: 1-ლ ივნისამდე 628 კაცი, ივნისში—9.476 კაცი, ივლისში—19.450 კაცი. სულ პირველ აგვისტომდე ბათომში დაათვალიერა 29.554 ექსკურსანტმა. ამ რიცხვში არ შედის ტურისტები და ერთეული ექსკურსანტები, რომლებიც არ სარგებლობენ საექსკურსიო ბიუროთი. ბიურომ ჩაატარა მასიური ექსკურსიები ჩაქვაში, ბოტანიკურ ბაღში, აჭარის - წყალის სადგურზე და სხვა ადგილებში.

სასამართლო

შური იძია

ლადია ერ.—ძე ომანაძეს და პ. ჩაკვეტაძეს ერთმანეთთან ცუდი განწყობილება ჰქონდათ. მათი დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა, როცა ერთ დღეს ჩაკვეტაძემ სილა გააწნა ომანაძეს. ამ დღიდან ისინი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდენ ერთმანეთს.

— პ. ჩაკვეტაძეს ვაწანებ ჩემს გალახვას, თუ ბიჭი ვყოფილვარ, ჩემის ხელით ჩავაძაღლებ მაგ არამზადას,—იმუქრებოდა ომანაძე.

გადის ხანი. ომანაძე საჯაროთ გაიძახის: ჩაკვეტაძეს გადაუხდი სამაგიეროსო.

— ლადიასაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მართლა არ მოჰკლას ჩაკვეტაძე. მოვაწყოთ საქმე ისე, რომ ორთავე შევარიგოთ, იძახოდენ მეზობლები.

დატრიალდენ შუა კაცები, მაგრამ არ მოხერხდა შერიგება.

ომანაძემ გადასწყვიტა ჩაკვეტაძის მოკვლა, მეზობლებში კი ხმა გაავრცელა, რომ მას მოკვლას უპირებს ჩაკვეტაძე.

ღამეა. ჩაკვეტაძე ბრუნდებოდა თავის სახლში. როცა ის მიუახლოვდა სახლის ალაყაფის კარებს, მას თავს წაადგა სახეგამურული კაცი, რომელმაც ვინტოვკა მოუღირა გულზე და შესძახა:

— გაჩერდი, ხელი არ გაანძრიო.

— ვინ ხარ?

— მე ის ვარ, რომელიც შენ ამას წინად „შარიფათიანად“ გალახე,—სთქვა ომანაძემ და ესროლა.

მძიმედ დაჭრილი ჩაკვეტაძე გაიშხლართა მიწაზე.

ჩაკვეტაძე მიღებული ჭრილობისაგან დიდი ხნის ექიმობის შემდეგ განიკურნა.

ომანაძე დააპატიმრეს.

საქმე ამ დღეებში გაირჩა ლეჩხუმის სამაზრო სასამართლოში. თავმჯდომარეობდა ამხ. მ. კუჭავა, სახალხო მსაჯულებათ იყვნენ: ქ. ჩაკვეტაძე და გრ. ჭანტურია, ბრალს სდებდა პროკურორი ფალიანი.

სასამართლომ ომანაძეს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამნისტიით გაუნახევრდა.

—:—

მხეცი ადამიანი

ამ დღეებში ქუთაისში სამაზრო სასამართლომ ამხ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით გაასამართლა იაკობ პავლეს ძე კლიმჩუკი.

რა ჩაიდინა კლიმჩუკმა?

მან მიიჩვია თავისი მეზობლის ს. ნიქაშავილის 4 წლის გოგონა, რომელსაც აძლევდა ტკბილეულობას და ეალერსებოდა.

ამა წლის 18 მაისს, კლიმჩუკმა პატარა გოგონა შეიტყუილა სახლში და გარყვნა. უნდა აღინიშნოს, რომ კლიმჩუკი 59 წლის კაცია.

როცა ბავში სახლში დაგვიანებით მივიდა, დედამ ჰკითხა, თუ რად დაიგვიანა.

ბავშმა მორთო ტირილი და დედას უთხრა:

— იაკობა ბიძიამ ჩამკეტა ოთახში და წყალით დამასველაო.

ბავშის დედამ მომხდარი ამბავის შესახებ განაცხადა მილიციაში. კლიმჩუკი დააპატიმრეს.

სასამართლოში კლიმჩუკი უტიფრად გაიძახოდა: ყოველივე ეს კერძო ინტერესებზე აგებული ცილისწამებააო.

საექიმო შემოწმებით ბავშის გახრწნის ფაქტი დადასტურდა.

სასამართლომ კლიმჩუკს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

—:—

ტრაგედია ქეიფობის შემდეგ

ერთ დღეს ეპიფანე და გრიგოლ ასათიანმა ნადიმი გამართეს. სტუმრებიც შეზარხოშდნენ და მასპინძელიც. როცა ქეიფი დამთავრდა, სტუმრები თავის სახლში გადაიპატიჟა კოწია გარდაფხაძემ (ამბავი ხდება სოფ. ტვიშში (ლეჩხუმის მაზრა).

საულ ახვლედიანი ეპიფანე ასათიანს შეეჯიბრა პირველობაზე ღვინის სმაში.

— მომიტანეთ ყანწი,—დაიძახა თამადა საულ ახვლედიანმა.

მიუტანეს ყანწი.

დალია და გადასცა ეპიფანე ასათიანს.

ეპ. ასათიანმა შეატყო, რომ თამადა მთვრალია და ხმა არ გასცა.

— კაცო, დალიე ჩქარა სხვებიც უცდიან ყანწს.

ეპიფანე თავჩაქინდრული ზის და ყურადღებასაც არ აქცევს თამადის სიტყვას.

— ცოცხალი ხარ თუ არა ყმაწვილო, თუ ღვინის სმა არ შეგიძლია ეხლავე განაცხადე.

ასათიანი ხმას არ იღებს.

მომიტანეთ ერთი ცარიელი მურაბის ბანკა,—ეუბნება ახვლედიანი მასპინძელს.

მიუტანეს ბანკა.

ახვლედიანმა მოუქნია ასათიანს მურაბას ქურჭელი, მაგრამ ააცილა.

ასათიანი წამოვარდა ზეზე.

— ბიჭოს! ცოცხალი ყოფილა,—ჩაილაპარაკა ახვლედიანმა.

ასათიანმა იწყინა ეს და პიანგრ-მოანგრია სუფრა.

შეიქნა დიდი აურ-ზაური, ქალებისა და ბავშების კივილი.

ახვლედიანს მიეშველა მისი „რიზმა“.

ნათო ახვლედიანმა ჯოხი ჩაარტყა თავში ასათიანს.

საულ და მამანტი ახვლედიანებმა დასცეს იატაკზე ასათიანი და შესდგენ ფეხებით. ზოგი ჯოხს ურტყამდა და ზოგიც კეტს.

ახვლედიანებს ახლოს ვერავინ ეკარება.

დიდის ვაი-ვაგლახით მეზობლებმა გრძნობადაკარგული ასათიანი გაიტანეს გარეთ.

ასათიანი სისხლისაგან დაიცალა და იქვე დაეცა უსულოთ.

„დამკვრელი ვაჟკაცები“ დააპატიმრეს.

მათი საქმე გაირჩა ლეჩხუმის სამაზრო სასამართლოში ამხ. მ. კუჭავას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ინ. ჩხეტიანის და ქ. ბურჯალიანის და პროკურორ ფალიანის მონაწილეობით.

სასამართლომ ნათო ტარიელის ასულს და საულ ავთანდილის ძე ახვლედიანებს მიუსაჯა სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

მამანტი ავთანდილის ძე ახვლედიანს მიესაჯა 1 ნახ. წლით თავისუფლების აღკვეთა.

ამნისტიის ძალით ყველა მსჯავრდადებულებს სასჯელი გაუნახევრდა.

თ.

ღარიბ გლეხობის ფონდი

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის 1926—27 წლის მოგებიდან ღარიბი გლეხობის ფონდში გადარიცხულია 31.500 მან. ამ თანხიდან საქართველოს ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში შესაკავშირებლათ გამოყოფილია 27.150 მან., ხოლო სამხრეთ ოსეთის ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში შესაკავშირებლათ—980 მანეთი.

„სოფლის კავშირმა“ და საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკმა ზემო ნაჩვენები თანხა სას.-სამ. საკრ. ამხანაგობებს გაუნაწილეს შემდეგნაირათ: სიღნაღის მაზრის სას.-სამ. საკრ. ამხანაგობებს მიეცათ—1.575 მან. თელავის მაზრის — 1.260 მან., დუშეთის მაზრის—1260 მან., ახალქალაქის მაზრის—1.323 მან., ახალციხის მაზრის—1.200 მან. ბორჩალოს მაზრის 1.190 მან. ,თბილისის მაზრის—1.260 მან., ქუთაისის მაზრის—3.623 მან., რაჭის მაზრის—1.575 მან., ლეჩხუმის მაზრის—1.575 მან., შორაპნის მაზრის—2.361 მან., ოზურგეთის მაზრის—2.520 მან., სენაკის მაზრის 2.174 მან., ზუგდიდის მაზრის 1.292 მან. და ზემო სვანეთის ამხანაგობებს 598 მან.

აღნიშნული თანხები სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა გამოიყენონ მხოლოდ ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში შესაკავშირებლათ, მათი საპაიო თანხის პირველი ნაწილის დასაფარავათ. ასე რომ ეს თანხა კოოპერაციაში შეაკავშირებს დაახლოვებით 5.630 ღარიბ მეურნეს.

ტყიბულის მაღაროებში

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით. ტყიბულის მაღაროებში ამჟამად მუშაობა სწარმოებს ორი გვირაბის გასაღრმავებლად. აღმოსავლეთის უბანში გვირაბის გაჭრა განზრახულია 625 მეტრის სიგრძეზე. ეს გვირაბი ამჟამად უკვე გაჭრილია 550 მეტრის სიგრძეზე. წინასწარი ვარაუდით ამ გვირაბიდან გამოღებული უნდა იქნეს — 1.900.000 ფუთი ქვანახშირი.

დასავლეთ უბანში გვირაბი ამჟამად გაჭრილია 373 მეტრის სიგრძეზე. ეს გვირაბი კიდევ უნდა გაიჭრას—400 მეტრის სიგრძით. სპეციალისტების დასკვნით, ეს გვირაბი მოგვცემს 70.000.000 ფუთ ქვა-ნახშირს. ამ გვირაბების გათხრა დამთავრდება ორ თვეში, რის შემდეგაც დაიწყება ბუდობებში ნახშირის გამოსაღებ მოწყობილობის გამართვა. ნახშირის ექსპლოატაცია დაიწყება 1929 წელში.

მომავალი წლის სამუშაო გეგმის თანახმად ტყიბულიდან გამოზიდული უნდა იქნას — 6.500.000 ფუთი ქვა-ნახშირი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამთავრა ტყიბულის მაღაროების კაპიტალური ხარჯების გეგმა 1928—29 წლისათვის. ამ გეგმის თანახმად ტყიბულის მაღაროების კაპიტალურ სამუშაოებისათვის მომავალ წელს საჭირო იქნება 910.000 მანეთი. ამ თანხიდან 369.000 მანეთი გადაიდება მუშათა საბინაო მშენებლობისათვის.

ტყიბულის მაღაროებში ამჟამად შენდება 6 მუშათა სახლი 48 ბინით. აღნიშნული სახლების ასაგებათ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადადებული აქვს 240.000 მანეთი.

სას. სამ. კოოპერაციის მოანგარიშეთა გადამზადება

თანახმად სადირექტივო ორგანოების განკარგულებისა, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები ახლო მომავალში გადაყვანილი უნდა იქნან ახალ წესდებაზე, რომელიც მოითხოვს მოანგარიშეების განსაკუთრებულ გამზადებას. ამის გამო „სოფლის კავშირმა“ და საქართველოს სას.-სამ. ბანკმა გადასწყვიტეს მოაწყონ მოანგარიშეთა გადასამზადელი კურსები, რომელიც გაიხსნება 25 აგვისტოს. კურსები იქნება ორკვირეული და მოანგარიშეთა მთელი რაოდენობა გადამზადებული იქნება ორ წყებათ, ასე რომ მეცადინეობა კურსებზე გასტანს დაახლოებით ერთ თვეს.

კურსებზე ლექტორებათ მოწვეული არიან სასოფლო სამეურნეო კოპერაციის და სას.-სამეურნეო ბანკის ინსტრუქტორები. კურსების მოწყობა ჯდება 8.000 მან. ამ თანხიდან 5.000 მანეთი გაიღო ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, ხოლო დანარჩენი თანხა პროპორციონალურად უნდა გაიღონ „სოფლის კავშირმა“ და საქართველოს სას.-სამ. ბანკმა.

კურსების გამგეთ მოწვეულია ამხ. გ. კუკვაძე.

საქ. პროფსაბჭოში

ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გასადიდებლად

ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ბიუჯეტის განმანაწილებელმა კომისიამ ა.-კ. ბიუჯეტისათვის დამატებით გაიღო 360.000 მანეთი. ამ თანხიდან საქართველოს, ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გასადიდებლად მიეცა 84.000 მანეთი.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა აღნიშნული თანხა მოხმარდეს გამასწორებელ სახლების, ტყის მცველების, სასანიტარო დაწესებულებათა მოსამსახურეების შტატის გაფართოებას. სათანადო კავშირების ცენტრალურ გამგეობებს წინადადება მიეცათ მონაწილეობა მიიღონ დამატებით შტატების და ხელფასის ნორმების შემუშავებაში. კავშირებმა მიღებული თანხა პირველ რიგში უნდა გამოიყენონ ნორმალური მუშაობის საწარმოებლად.

ადგილკომის თავმჯდომარის უკანონო მოქმედება

ქუთაისის რკინის გზის გაერთიანებული ადგილკომის მიერ სამუშაოდან მოხსნილი და კავშირიდან გამორიცხული იქნა რკინის გზის სამასალო საწყობის გზირი ისიდორე დოლიძე, ვინაიდან მან გაასაჩივრა ადგილკომის უკანონო მოქმედება. პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილებამ წინადადება მისცა ქუთაისის სამპროფბიუროს გამოეკვლია დოლიძის კავშირიდან გამორიცხვის და მისი სამუშაოდან მოხსნის საკითხი.

როგორც გამოირკვა, ადგილკომს წინადადება მიუცია ადმინისტრაციისათვის მოეხსნა დოლიძე სამუშაოდან. ადგილკომის ზეგავლენითვე იქნა გამორიცხული კავშირიდან ამხ. დოლიძე. სამპროფბიურომ ადგილკომს საყვედური გამოუცხადა და საჭიროდ სცნო დოლიძის სამუშაოზე აღდგენა.

ს.პ.კ.ს. პრეზიდიუმმა სამპროფბიუროს მიერ მიღებული ზომები არ სცნო საკმარისად და დაავალა სამტრედიის საუბნო კომიტეტს სასწრაფოდ გამოიკვლიოს გაერთიანებულ ადგილკომის მუშაობა ამხ. დოლიძის კავშირიდან გამორიცხვასთან დაკავშირებით და დასვას საკითხი მისი გადარჩევის შესახებ, თუ გამოკვლევის მასალები დაადასტურებენ ადგილკომის უკანონო მოქმედებას.

კურსების მოწყობის წესი

სახკომსაბჭოს დადგენილებით ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოსა და დაწესებულებას დაევალა ამა თუ იმ კურსების (მანქანით გადაწერის, მოანგარიშეობის, საქმის წარმოების და სხვ.) მოწყობის და მსმენელებით შევსების საკითხი თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეუთანხმონ შრომის სახალხო კომისარიატს.

შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა, გადასინჯოს განათლების სახალხო კომისარიატთან და დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად იმ კურსების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი, რომელნიც მოწყობილი არიან დღევანდლამდე.

მასვე დაევალა განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ამ დადგენილების განსახორციელებლად.

აჭარისტანის და აფხაზეთის სახკომსაბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცაკ-ს დაევალა გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

ავიაქიმში

ავიაქიმის უჯრედების ხელმძღვანელ ორგანოების გადარჩევა

მიმდინარე წლის 1-ლ სექტემბრიდან დაიწყება კამპანია თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების ბიუროების და სარევიზიო კომისიების გადარჩევის ირგვლივ.

გადარჩევის კამპანია ჩატარდება თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის გაძლიერება და გაუმჯობესების ლოზუნგით. აგრეთვე მიქცეული ექნება ყურადღება საზოგადოებრივ და ფინანსიურ დისციპლინის გაუმჯობესებას.

კამპანიის დროს უაღრესი ყურადღება მიექცევა სოფლად მუშაობას, რადგან ხსენებული მუშაობა წარმოადგენს თავდაცვა-ავიაქიმის ერთ-ერთ სუსტ მხარეს.

თავდაცვა-ავიაქიმი და წითელი ჯარის მანევრები

მიმდინარე წლის წითელი ჯარის მანევრებში თავდაცვა-ავიაქიმი მიიღებს უახლოეს მონაწილეობას.

საბჭოთა კავშირის სამხ.-რევოლ. საბჭომ წინადადება მისცა სამხედრო ოლქების სარდლობას გამოარკვიონ თავდაცვა-ავიაქიმის მონაწილეობის ფორმები მანევრებში.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მომარაგების განყოფილების მიერ გაცემული იქნება სურსათ-სანოვაგე ავიაქიმის წევრებისათვის თავდაცვა-ავიაქიმის ხარჯზე.

ავიაქიმელები მანევრების დროს მიიღებენ იარაღს და ვაზნებს.

ინსტრუქტორების მომზადება

მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელი ჯარის რიგებიდან გაშვებული იქნებიან გრძელვადიან შვებულებაში ძველი მსახური წითელ არმიელები, რომლებმაც დაჰყვეს ყაზარმაში ორი წელიწადი.

შვებულებაში გაშვების წინ წითელ ყაზარმაში ჩამოყალიბდება კურსები შვებულთა მოსამზადებლად სოფლად მუშაობისათვის ავიაქიმის ხაზით.

კურსების საშუალებით შვებულნი გაეცნობიან თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობის ფორმებს და მეთოდებს, წრეების ორგანიზაციას და ხელმძღვანელობის საკითხს.

შვებულნი, რომელნიც წარმატებით გაივლიან კურსებს, გამოიყენებიან ავიაქიმის ინსტრუქტორებათ.

რკინისგზებზე

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის უკანასკნელ ვადათ დანიშნა 1931 წლის პირველი ოქტომბერი. აღნიშნული ვადიდან დაიწყება მატარებლების მოძრაობა ელექტრონის ძალით ხაშურიდან-ზესტაფონამდე.

ამ მიზნით, მთავარ ელექტრო სამმართველოს ეთხოვა, რომ აღნიშნულ ვადისათვის ამუშავებული იქნეს რიონჰესი.

წინასწარი პროექტის მიხედვით, გზათა სახალხო კომისარიატმა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საერთო ღირებულება 17,5 მილიონ მანეთით განსაზღვრა.

მომავალ წელში, უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის გაღებულ იქნება 3,7 მილიონი მანეთი.

უღელტეხილის ელექტროფიკაცია საგრძნობლად გაადვილებს ტვირთების გადაზიდვას დიდის რაოდენობით. ელექტროფიკაციის შემდეგ სურამის უღელტეხილი დღე და ღამეში გაატარებს 32 წყვილ მატარებელს, თვითეულს 1.500 ტონის სიმძიმით, ხოლო ვაგონების გადაბმის ავტომატიური წესის შემოღების შემდეგ, თვითეული მატარებლის წონა აყვანილ იქნება 3.000 ტონამდე.

საწვავი მასალის გამოცდა

ამიერ-კავკ. რკინის-გზების ბაქოს უბანზე ამ დღეებში ჩატარდა „ვედა“-ს მარკის პარაფინსებურ მაზუთის გამოცდა. გამოცდა სწარმოებდა სპეც. სადღელ მატარებლების, სერია „ე“-ს ორთქლმავალზე.

ჩატარებულმა გამოცდამ დაამტკიცა, რომ პარაფინსებურ მაზუთის წვა, მაღალი ტემპერატურის პირობებში (ე. ი. სიცხ. ამინდებში) არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. სიძნელეს წარმოადგენს, აღნიშნულ მაზუთის გადასხმა, რადგანაც იგი ძალიან ეკვრება ჭურჭელს. ამიტომ გზების გამგეობამ სთხოვა გზათა სახ. კომისარიატს, რათა შეჩერებულ იქნას პარაფინსებურ მაზუთით ამიერ-კავკ. რკ. გზების მომარაგება.

შტატების გადიდება

1926—27 წელთან შედარებით, ამიერ-კავკ. რკინის გზების საშემოსავლო განყოფილების მუშაობა 8 პროცენტით გაიზარდა. მომავალში საქონლის გადაზიდვის ზრდასთან დაკავშირებით აღნიშნული მუშაობა უფრო მეტად გაფართოვდება.

ამავე დროს გასულ წელთან შედარებით საშემოსავლო განყოფილების შტატი შემცირდა 40 პროცენტით. მუშაობის ზრდასთან დაკავშირებით გზების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გზათა სახ. კომისარიატის წინაშე, რათა აღნიშნული განყოფილების შტატი გადიდებულ იქნას 15 პროც.

პროფილის შემოწმება

ამიერ-კავკ. რკინის გზების მთავარი ხაზის, პროფილის შემოწმება დასრულდა ბაქომდე.

ახალი საცხოვრებელი სახლი

სად. ნავთლუღში ახალი საცხოვრებელი სახლის ასაგებათ, რკ. გზების გამგეობამ გაიღო 22.000 მანეთი.

ბაქო-ბათომის ნავთსადენისათვის

ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობამ ბაქო ბათომის ნავთსადენისათვის შეიძინა რამოდენიმე შიდაწვის მამოძრავებელი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 17 აგვისტო

დღეს, 17 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანის განმარტება.
სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.
საქართველოს მოსახლეობა უკანასკნელ აღწერის მიხედვით.
შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები.
ტეხნიკური კონსულტაცია.
ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი.
ტუბერკულიოზი და მისი გავრცელება.
რადიო-გაზეთი.
საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.
კონცერტი.
ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა გადაცემული იქნება მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 17 აგვისტოს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ვალერიან არჩვაძე, აბას გაბრიელიანცი, ელენე მელიქიანი, ბარბალე ქართველიშვილი, პელაგია თოხაძე, პეტროს ოგანესიანცი, პელაგია ელბაქიძე, ალექსანდრა პოპოვა, მარტან ხახანოვი, გიორგი მურადოვი, სარქის ტერ-ხაჩატუროვი, სედრაკ დედუკოვი, ლეონილა სახოიანი, არშაკ ბარსეგოვი, ნიკოლოზ პოპოვი და გიორგი დოლიძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ლევან მნაცაკანოვი, არჩილ ქურხული, იოსებ ბახტაძე, აკიმ გრუზენკო, გიორგი ტერძიევი, გიორგი თედეევი, ანნა მამიკონიანი, სერგო კერესელიძე, როხაძე, სვიმონ ქობულაძე, მიხეილ ჯაფარიძე, თამარ სერებრიაკოვა, არუთინიანი, მარგარიტა ალიხანოვა, სერგო ტოლჩიევი, ცელლა შტეინბერგი, ლიდა გოლდენბერგი, ტატიანა ევსეევა, ევგენია ზაზუაგაევა, ვერა ბანძელევიჩი, ანნა მჭედლიშვილი, გრიგოლ სტურუა, ივანე კოპაძე, ანდრო სარაული, აკაკი ცინცაძე და ქეთევან კიკნაძე.

მედსექციიდან: ალექსანდრე გიორგაძე, ავეტიქ ტერ-ოგანეზოვი, გერასიმე აბრამოვი, მარიამ ტრასენკო, სირანუშ მანუკიანცი, აიკანუშ ფირუმოვა, ეკატერინა პეტროსიანი, მარიამ ვაშაკიძე, ნინო ლაპარტყავა, შუშანიკა ონალკიანცი, მარგარიტა პეტროსიანი, ტატიანა შაროვა, ნინო გრაჩოვა, მარიამ ვოლკოვა და ანნა ტერ სარქისიანი.

რკინის-გზელთა მეშვიდე სექციიდან: ელიოზ გარამაშვილი, ნინო გეხტმანი, ევდოკია სობოლევსკაია, ალექსანდრე შკვარცოვი და დავით ჟვანია.

იურიდიული დახმარება

რკინისგზელ. დავით გიორგისძე ბაბლიძეს (პროფ. კავშ. წევრი № 18988)

კითხვა:

6 წელიწადია, რაც შევირთე ცოლად 3 მცირეწლოვანი შვილებიანი ქვრივი ქალი, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩა ერთსართულიანი ქვის სახლი, პატარა ეზოთი. სახლი დამტკიცებულია ცოლის სახელზე მამის სიცოცხლეში ნოტარიული წესით. 6 წელიწადია უვლი ამ სახლს და მის შესაკეთებლად გაწეული მაქვს ხარჯები. ამჟამად გამოჩნდა ჩემი ცოლის ძმის შვილი 18 წლის ვაჟი და მოითხოვს წილს ცოლის ქონებიდან, ე. ი. თავის პაპის ქონებიდან. ეს ვაჟი დღემდის სცხოვრობდა და სცხოვრობს თავის დედასთან, რომელიც, პირველი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, გაჰყვა სხვას, სადაც ეს ვაჟი ეწევა ამჟამად მეურნეობას.

აქვს თუ არა ჩემი ცოლის ძმის შვილს უფლება მოითხოვოს წილი იმ ქონებიდან, რომელიც დღემდის წარმოადგენს ჩემი ცოლის საკუთრებას და აქვს დამტკიცებული ნოტარიული წესით მამის სიცოცხლეში, რომელიც გარდაიცვალა 1913 წელში და მას შემდეგ ეს ქონება ჩემი ცოლის მფლობელობაშია.

პასუხი:

თქვენი ცოლის ძმისშვილს არა აქვს უფლება მოითხოვოს წილი შეკითხვაში აღნიშნულ სახლიდან, რადგან ეს სახლი თქვენ მიერ განმარტებულ პირობებში შეადგენს თქვენი ცოლის საკუთრებას. მით უმეტეს, რომ დღიდან თქვენი სიმამრის გარდაცვლისა კარგა დრომ განვლო.

—:—

პ. გლუნჩაძეს

კითხვა:

შეველი ზედსიძეთ სხვა სოფელში. იმ ოჯახში დამხვდა სულ 3 სული: 5 წლის შემდეგ მოკვდა სიდედრი, რომელიც დავმარხე ჩემის ხარჯით. შემდეგ დავბრუნდი ისევ ჩემს სოფელში, მოვიწყვე სახლკარი, წამოვიყვანე ცოლის დაც, გავზარდე, ვარჩინი სრულ ჰასაკამდე და გავათხოვე ჩემსავე სოფელში. ცოლისეულ პატარა ნაკვეთ ვენახს და სამოსახლო მიწას ვუვლიდი და ვსარგებლობდი მერამოდენიმე ხნის შემდეგ მოკვდა ჩემი ცოლიც. ეხლა მედავება ჩემი ცოლის და უძრავ ქონებაზე, როგორც მემკვიდრე. მე მას ვაძლევ ნახევარს, მაგრამ არ მჯერდება. გთხოვთ განმარტებას, ერგება მას რამე თუ არა.

პასუხი:

დღიდან თქვენი ჩასიძებისა თქვენ შეიქენით სიდედრის კომლის სწორუფლებიანი წევრი. ამიტომ ამ კომლის ქონების სარგებლობის უფლება გეკუთვნოდათ თქვენ თანახმად სხვა კომლის წევრებთან, მათ შორის თქვენი ცოლის დასთან ერთად. თუ თქვენი გადმოსვლით თქვენს სოფელში კომლის დანარჩენ წევრებთან ერთად თქვენ არ შედით სხვა კომლში და განაგრძობდით წინანდელ ადგილზე მეურნეობას, ამ მეურნეობაში მონაწილეობა ეკუთვნის კომლის ყველა წევრს, თუ რომელიმე მათგანი კანონიერი წესით არ გამოირიცხა კომლის წევრობიდან. თუ თქვენი ცოლის და ქორწინებით შევიდა ახალ კომლში, მას, თანახმად მიწის კოდექსის მე-40 მუხ. შენიშვნისა, მიწის სარგებლობის უფლება ძველ კომლში დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

ოფიც. განკარგულებანი და დადგენილებანი

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

უმუშევართა სწავლების კურსების მოწყობისა და შევსების წესის შესახებ.

რათა საანგარიშო-საკანცელარიო საქმის იმ მომუშავეთა რიცხვი და პროფესიონალური შემადგენლობა, რომელთაც სხვადასხვა კურსები ამზადებენ, შეესაბამებოდეს ამ დარგის ნამდვილ მოთხოვნილებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოს და დაწესებულებას ამა თუ იმ კურსების (მანქანით გადამწერისა, მოანგარიშეობისა, საქმის წარმოებისა და სხვ.) მოწყობისა და მსმენელებით შევსების საკითხები თვითეულ ცალკე შემთხვევაში შეუთანხმონ შრომის სახალხო კომისარიატს.
2. წინადადება მიეცეს შრომის სახალხო კომისარიატს გადასინჯოს, განათლების სახალხო კომისარიატთან და დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად, იმ კურსების არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი, რომელნიც მოწყობილ იქნენ ამა დადგენილების გამოცემამდე.
3. მიენდოს შრომის სახალხო კომისარიატს გამოსცეს, განათლების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების განსახორციელებლად.
4. წინადადება მიეცეს აჭარისტანის ს.ს.რ.-სა და აფხაზეთის ს.ს.რ.-ს სახალხო კომისართა საბჭოებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:
ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი:
მეგრელიშვილი.

1928 წ. აგვისტოს 27.
ქ. ტფილისის სასახლე.

პარტიული კალენდარი

დღეს, 17 აგვისტოს, დილის 11 საათზე ცეკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება საუნივერსიტეტო კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ყურულაშვილი, კანდელაკი დ., ასრიბეკოვი, ჯულელი, ტოროშელიძე, ორახელაშვილი მარიამ, კანდელაკი ვასო (ზაკსოიუზიდან), მიქაძე, გეგენავა (პროლეტ. სტუდ.), გვაზავა, სალუქვაძე, ზახაროვი და ბარნაბაშვილი, სამოხვალოვი.

—

სახ. უნივერსიტეტთან არსებული ამხ. მ. კახიანის სახელობის მუშფაკის კოლექტივთა ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 17 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე მუშფაკის შენობაში მოწვეულია კომუჯრედის გაფართოებული კრება კომკავშირის უჯრედთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი მწუხარებას გამოსთქვამს ოზურგეთის მაზრის სოფ. ჯურუყვეთის წითელი ჯვრის საექიმო პუნქტის გამგე

ექიმ ფილარეტ ლაბაძის

ა. წ. აგვისტოს 14-ს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაცვალების გამო.

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი დედა ივდითი, ძმები გრიშა, გრიგოლი დიმიტრი და ალექსანდრე გორდელაძე ბი, დები: ლეოლინა ზიმინისა, ლიდა ორჯონიკიძისა და მარიამ გორდელაძე, რძლები: ანა, ეკატერინე და გალია გორდელაძეები, სიძე ამბროსი ზიმინი, იაკობ ორჯონიკიძე, ძმის შვილები: თამარა, გუგუცა, თინა, რუსუდან, ოთარი და თეიმურაზ გორდელაძეები, დის შვილები: ნინა, მირო, ლილი და ვერა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ. 15 აგვისტოს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ აგარაკ სურამში გარდაიცვალ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელენე ყაისარის ასული გორდელაძე

გამოსვენება ა/წ. 18 აგვისტოს ნაშუადღევის სამ საათზე თბილისის სადგურიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე

ქ. ხონში კვირას, 19 აგვისტოს 12 საათზე აცხოვრის სასაფლაოზე გადაიხდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ დაუვიწყარ

პელაგია სპირდონის ას. ჩომახიძე-აბულაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დამწუხრებულნი ქმარი კლიმენტი აბულაძე და და-ძმანი ჩომახიძეები. 3335

ძირულის სათემო პარტიული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე კომიტეტის წევრის და ენერგიული მუშაკის

ვლადიმერ იოსების ძე ჩანკვეტაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. ნ. 1504

ლანჩხუთის მედ-სანშრომის ადგილკომი, ექიმები და ფარმაცევტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის

ექიმ ფილარეტ ლაბაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 1500

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ნ. კოლინი სეზონის საუკეთესო სურათში **საყვარელი მაწანწალა**
საზაფხულო ეთერი	ამერიკული კინო-რომანი **რობინზონ კრუზო** 1 და 2 სერია ერთად
საზაფხულო დარბაზი	დუგლას ფერბენკსი მსოფლიო შედევრში **რობინ გუდ**
საზაფხულო პალასი	მხატვრული სურათი **КРУЖЕВА** დადგმა—იუტკევიჩის
პროლეტარი ავლაბარი	**მგლის შვილი** ჯეკ ლონდონის რომანის მიხედვით

1—14

მალე!

კინო-დარბაზი
მხატვ. სურათი
გრიბალი
დადგმა რეჟისორ
საბინსკისა

კინო-პალასი
საუკეთესო ფილმი
საზღვარ-გარეთის ნაწარ.
პიერ ბენუას
რომანის მიხედვით
კენიგსმარკ

ყველგან
დიდის წარმატებით
ნ. 1502

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კ ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ)ფოსტისგვერდით

ქუთაისში (დროებით)
მედიცინის დოქტორი
მ. ფ. მგალობელი
ქალ რი სნეულებანი (მხოლოთ) იღებს ს ღ 6—7 ს. ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18.
3212

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 — 12 — საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი
დღეს, 17 აგვისტოს,
სიმფონიური კონცერტი
ცნობილი დირიჟორის **ა. ბ. ხესსინის** ხელმძღვანელობით,
მოსკოვის მუს. დრამის მსახიობ ქალის გრიბოვას მონაწილეობით.
პროგრამაში—ლისტი და ვაგნერი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის
ბაღში—კინო. სიმფონიურ კონცერტზე აღებული ბილეთები გამოდგება კინოსთვისაც
ხვალ, 18 აგვისტოს, კონცერტი გაიმართება მუშათა ცენტრ კლუბში. ნ 1490

ქ. ფოთის აღმასკომი ამით აცხადებს, რომ ამა, 1928 წ. 30 აგვისტოს, დღის 12 საათზე, დანიშნულ
საჯარო ვაჭრობით გაცემა
ერთი წლის ვადით ქ. ფოთის რაიონის
სათევზაო სამრეწველო წყლები
მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ კონდიციას აღმასკომში.
ნ. 1498 3—1 ქ. ფოთის აღმ. სკომის პრეზიდიუმი.

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლ. აღმასრულებ.
ნესტორ იზორია
ამით აცხადებს, რომ ის 22 აგვისტოს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 30 ბაიდარის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის რუბენ გიორგის-ძე იახმანოვის ერთსართულიან აგურის სახლის ნახევარ უფლებას, შემდგარი 4 საცხოვრებელი ოთახისაგან, დახურულია კრამიტით, შეფასებულს 400 მანეთად, რაშო ზირაქიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად ყოფ. აღმას. საქ. ოლქის სასამართლოსაგან 3 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 28755 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ს.ს.ს. კოდ. 311—31 მუხ. დაცვით. ნ. 1503

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
შ. ს. ლაბაძე
ამით აცხადებს, რომ ის სოფ. შუქრუთში 20 აგვისტოს, 1928 წლის დღის 9 საათზე გაჰყიდის **საჯარო ვაჭრობით** სიმონ გიგოს-ძე ნოზაძის ბელელს, ჭურებს, ხეებს, ღორებს და სხვა მოძრავ ქონებას შეფასებულს ყველა 365 მანეთად, გრიგოლ ალექსი-ძე გძელიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ჭიათურის სახელმწიფო სანებარო კანტორის პროტესტმქნილ თამასუქზე წარწერისა 30 ნოემბერს 1928 წ. № 664. 3338

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. რკ. გზ. გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1928 წელს 22 აგვისტოს დილის 10 საათიდან
თბილ. სალიკვიდაციო საწყობში
(გორის ქუჩა № 34)
სააუქციონო
ვაჭრობით გაიყიდება
ა.-კ. რკ. გზ. სხ ადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთი და ბარგი ს.ს.რ.კ. რკინის გზის წესდების 94 მუხლის თანახმად:
1) პირველ ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო წარმოება, დაწესებულებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები.
2) იმ შემთხვევაში თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგება ან ყველა ტვირთები არ გაიყიდება, მეორე ვაჭრობა შესდგება 1928 წელს 25 აგვისტოს.
3) მეორე და შემდგომ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ ყველა მსურველებს.
ის ტვირთი, რომელიც გაუყიდავი დარჩა წინანდელ ივლისის ვაჭრობიდან, გაიყიდება ამ ვაჭრობაში ხელმეორედ, შეფასების თანხიდან.
დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში—მუშაობის დროს, ხოლო ვაჭრობის დღეს—ვაჭრობის დაწყებამდე.
დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ნ. 1497

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ ყოფ. „ნოეს“, პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დ ყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმ დავაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 10ბ მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს- დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ ელისაბედის) № 3. 25—2

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი ანა ელისბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3337

დავკარგე დაზღვევის წიგნაკი № 5199 ავეტიკოვის სახელზე, ჩ. გ. 3334

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხო წიგნაკი № 12/4 მიწა-ტყის პ./კ. საწ. წიგნაკი № 4074, პარტბილეთი № 0862614 და იარაღის ტარების მოწმობა № 9117 ალექსანდრე ბეჟარიონის-ძე მელიას სახელზე, ჩ. გ ნ. 501

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 8624 ს. შარაშენიძის სახელზე, ჩ. გ. 3339

დავკარგე: ამშენებელთა კავშირის წიგნაკი № 7983 ილია ოდიშარიას სახელზე, ჩ. გ 3339

დავკარგე: სამხედრო საარიცხვო ბარათი № 90 ლუკა ბარათელის სახელზე, ჩ. გ. 3339

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 782 დავით ილარიონის-ძე მერკვილაძის სახელზე, ჩ. გ. 3336

დავკარგე: სამხედრო საარიცხვო წიგნაკი ფორმა № 7 გაცემული თბილისის მე-9 კომისარიატის სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ ძელიტონ ნიკოლოზის ძე პაველიანის სახელზე, ჩ. გ. 3354

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.